


178
1961/2



178/2
საბჭოთა
სამართალი
1





საბჭოთა სამართალი

№ 4

ივლისი—აგვისტო


1961 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

მოწინავე—გავაძლიეროთ ბრძოლა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ	3
ა. ფალიაშვილი—სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი და აუცილებლობა	8
წერილები ახალ კოლმეხვზე	
ბ. ტყეშელაძე—დანაშაულის განმეორების საკითხები ახალ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში	15
გ. მოხესიანი—გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე	21
მ. კეკელია—სასამართლო ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ XVII საუკუნის II ნახევრის საქართველოში	29
სახალხო მსაჯულთა დასახმარებლად	
ე. ტაკიძე—მართლმსაჯულების განხორციელება ახალი ამოცანების დონეზე	36
ა. მანაჩაძე—სახალხო სასამართლოების სისტემა და მსაჯულთა უფლებამოვალეობანი	41
სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა	
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 31 მაისის დადგენილება № 1	45
ბ. დევიდარიანი—მიწათსარგებლობის უფლების თაობაზე წარმოშობილი დავების უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხისათვის სასამართლო პრაქტიკაში	48
გ. ცირაშუა—სასამართლო-საპროკურორო პრაქტიკა აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ	51
ლ. ზაიჩიკი—საქარო სათანადო დასკვნების გამოტანა	56
გ. ვაჩიშვილი—ახალი შესაძლებლობანი სასამართლო ექსპერტიზის დარგში	60
შ. ეხიტაშვილი—სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება დანაშაულის გახსნის საუკეთესო პირობა	63
მასალები საქართველოს დიპლომატიის ისტორიისათვის	
ი. ცინცაძე—მძევლის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში XVI-XVII ს. ს.	66
ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 100 წლისთავისათვის	
გ. ნადარეიშვილი—სისხლის აღების ჩვეულება და ჰუმანიზმი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელში“	76
ნარკვევები	
ს. პრავა—„სობი“	79
ინფორმაცია	90
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	93

8578





Передовая—Усилить борьбу с особо опасными преступлениями . . . 3
 А. Палиашвили—Основание и необходимость назначения судебной экспертизы 38

СТАТЬИ О НОВЫХ КОДЕКСАХ

Г. Ткешелиадзе—Вопросы повторности преступления в новом советском уголовном законодательстве 15
 Г. Мосесян—Обстоятельства, которые должны быть доказаны по уголовному делу 21
 М. Кекелия—О некоторых вопросах судостройства в Грузии во второй половине XVII века 29

В ПОМОЩЬ НАРОДНОМУ ЗАСЕДАТЕЛЮ

Е. Такидзе—Осуществление правосудия на уровень новых задач 36
 А. Махарадзе—Система народных судов и права и обязанности заседателей 41

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

Постановление № 1 Пленума Верховного Суда ГССР от 31 мая 1961 года 45
 Г. Девдариани—К вопросу подеудности споров о правах землепользования в судебной практике 48
 Г. Цирамуа—Судебно-прокурорская практика об исключении имущества из описи 51
 Л. Зайчик—Необходимо сделать соответствующий вывод 56
 Г. Вачейшвили—Новые возможности в области судебной экспертизы 60
 Ш. Эситашвили—Использование научно-технических средств—хорошее условие раскрытия преступления 63

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ДИПЛОМАТИИ ГРУЗИИ

Я. Цинцадзе—Вопрос о заложниках в истории русско-грузинских отношений в XVI-XVII в. в 66

К 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ ВАЖА-ПШАВЕЛА

Г. Надарейшвили—Обычай кровной мести и гуманизм в произведении Важа-Пшавела „Гость и хозяин“ 76

ОЧЕРКИ

С. Прага—„Соц“ 79
 Информация 90
 Критика и библиография 93

სარედაქციო კოლეგია

შპს № 1266
 ტირაჟი 5.000
 შპ 03204

მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
 პ. ბერძენიშვილი, მ. ვეფხვაძე, გ. ინჭიკიშვილი,
 თ. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე),
 ე. ტაკიძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-88-05

გადაეცა წარმოებას 28/VI-61; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/IX-61 წ. ანაწილების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. ცკ-ის კვ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ издательства ЦК КП Грузии
 Тбилиси, ул. Ленина № 14.

შავკლიერით გრძელა განსაკუთრებით სერიოზულად წინააღმდეგ

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებასა და დანაშაულთან ბრძოლის საქმეში ყოველთვის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა დარწმუნება, ხელახლად აღზრდა, გამოსწორება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების მიერ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭა სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა მიმართ დარწმუნებისა და გამოსწორების ღონისძიებებს. განსაკუთრებული ადგილი ამ მეტად დიდი მნიშვნელობის საქმეში დათმობილი აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივების ზემოქმედებას.

პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში ხშირია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივებისათვის გამოსასწორებლად იმ პირთა გადაცემის შემთხვევები, რომელთაც პირველად ჩაიღინეს მცირე მნიშვნელობის დანაშაული.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრიობის ზეგავლენის გამოყენება ისეთი პირების მიმართ, რომლებიც შემთხვევით აცდნენ სწორ გზას, ჩაიღინეს მცირე მნიშვნელობის დანაშაული ან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სხვა დარღვევანი, ყველაზე უფრო სწორ და საიმედო ღონისძიებას წარმოადგენს და ზეგავლენის ამ მეთოდს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თუნდაც მცირეოდენად შესუსტდეს სახელმწიფოს როლი სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევებთან ბრძოლის საქმეში.

სოციალისტური საზოგადოება, საბჭოთა ხალხი ერთი წუთითაც ვერ შეურიგდება იმას, რომ საზოგადოების სრულიად უმნიშვნელო ნაწილი, მუქთახორები, პარაზიტები და სისხლის სამართლის საშიში დამნაშავენი არღვევდნენ საბჭოთა ხალხის შრომით ცხოვრებას, ხელყოფდნენ მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, იტაცებდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკუთრებას და საბჭოთა მოქალაქეთა პირად ქონებას. საბჭოთა ხალხის ნება-სურვილის შესაბამისად კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მიაჩნიათ, რომ იმ პირთა მიმართ, ვინც ჩაიდენს საზოგადოებრივად განსაკუთრებით საშიშ, მძიმე დანაშაულს, ვინც ბოროტად არ ემორჩილება სოციალისტურ საერთო ცხოვრების წესებს, გამოყენებულ უნდა იქნას სახელმწიფო იძულების, დასჯის მკაცრი ზომები.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამბობდა, რომ სასამართლო, მილიციის და პროკურატურის ორგანოები კვლავაც „განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას რათა ზეგავლენა მოახდინონ იმ პირებზე, რომლებიც ბოროტად არ ემორჩილებიან სოციალისტური საზოგადოების ნორმებს და რომელთა აღზრდა არ ხერხდება“.¹

როგორც ამის შესახებ საუბრით სწორად აღნიშნავს საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი ამხ. რ. ა. რუდენკო სტატიაში, რომელიც გამოქვეყ-

¹ სკკპ XXI რიგგარეშე ყრილობის მასალები, გვ. 118.

ნებულია გაზეთ „ივესტიას“ მიმდინარე წლის 7 მაისის ნომერში, სასამართლოს პროკურატურის და მილიციის ორგანოებმა მთელ რიგ ადგილებში შესუსტებული ბრძოლა იმ პირთა მიმართ, ვინც ბოროტად არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, ეს ორგანოები შემწყყნარებლობას იჩენდნენ ისეთ დამნაშავეთა მიმართაც კი, რომელთაც ბრალი მიუძღოდათ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულში, რაც საბჭოთა ხალხის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

სოციალისტურ ჰუმანიზმს არაფერი აქვს საერთო საშიშ დამნაშავეებთან ბრძოლის შესუსტებასთან, პირიქით: იგი მოითხოვს, რომ საბჭოთა საზოგადოება სავსებით დაცული იყოს რეციდივისტებისაგან და მათგან, ვინც ჩადის მძიმე და განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს.

სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები, მკვლელები, ბანდიტები, მძარცველები და სხვა ბოროტი დამნაშავენი უნდა დაისაჯონ კანონის მთელი სისასტიკით. ასეთია მშრომელთა ფართო მასების მოთხოვნა და ამიტომ მთელი საბჭოთა ხალხი დიდი მოწონებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულებას „განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.“

ახალი კანონი პირველ რიგში ითვალისწინებს ბრძოლის გაძლიერებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ, ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გასაღების მიზნით დამზადებისა და გასაღებისათვის, და აგრეთვე განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს, თავს ესხმიან თავისუფლების აღკვეთის ადგილების ადმინისტრაციას და ამ მიზნით ქმნიან დანაშაულებრივ დაჯგუფებებს.

სოციალისტური საკუთრება მთელი საბჭოთა ხალხის საკუთრებას წარმოადგენს, იგი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძველს შეადგენს. ჩვენი კონსტიტუციის 131-ე მუხლის თანახმად, საბჭოთა კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების, ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო.

ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, ხალხის მტრები არიან.

სოციალისტური საკუთრების დაცვებისათვის ადრე მოქმედი კანონები ითვალისწინებდნენ სასჯელის საკმაოდ მკაცრ ზომას — ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით, რაც ძალაში რჩება მომავალშიაც. მაგრამ მიუხედავად ამ სახის დანაშაულის საერთოდ შემცირებისა, ჯერ კიდევ აქვს ადგილი სახალხო დოვლათის განსაკუთრებით დიდი ოდენობით დაცვების ცალკეულ შემთხვევებს. საბჭოთა, კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შესაძლებლად დაინახა სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება სოციალისტურ საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დაცვებისათვის.

უკანასკნელ ხანში რიგ რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოს რესპუბლიკაშიც გამოვლინებულ იქნა სხვადასხვა ჯურის საქმიანობის, პარაზიტუ-

ლი ელემენტების და სხვა დამნაშავეთა მიერ სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტები, მაგრამ, როგორც ჩანს, სისხლის სამართლის ამჟამად მოქმედი კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის ზომები საკმარის არაა განსაკუთრებით საშიში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საბჭოთა ხალხის დოვლათის განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამტაცებლები, ეს ხორცმეტები და ნაძირალები ფაქტიურად ხალხის მტრები არიან და ამიტომ ისინი, როგორც ბანდიტები და მკვლელები და სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენნი უნდა დაისაჯონ დაუნდობლად, კანონის მთელი სისასტიკით, თვით სიკვდილით დასჯითაც კი.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 31 მაისის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებულია 96¹ მუხლი, რომელიც სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის, რა ხერხითა და გზითაც არ უნდა იყოს იგი ჩადენილი, სასჯელის ზომად აწესებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ათი წლიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან სიკვდილით დასჯას, ქონების კონფისკაციით.

ეს კანონი სერიოზულ გაფრთხილებას წარმოადგენს იმ პირთათვის, რომლებსაც გარკვეული მიდრეკილება აქვთ მიითვისონ და გაფლანგონ საბჭოთა ხალხის გვირგვინი შრომით მოპოვებული სახალხო დოვლათი.

უდიდეს და აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს სახელმწიფოს და მამასადამე მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს ისეთი დანაშაული, როგორიცაა ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი ქმედობა რეწვის ხასიათს ატარებს. ამიტომ, ახალი კანონით დაწესებულია, რომ რეწვის სახით ყალბი ფულის გასაღების მიზნით დამზადება ან გასაღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან თხუთმეტ წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით, ან სიკვდილით და ქონების კონფისკაციით.

არის შემთხვევები, როდესაც პატიმრობაში მყოფი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები და ის პირები, რომლებიც მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სასჯელის მოხდის დროს აწყობენ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, ბოროტად არღვევენ რეჟიმს, ტერორით აშინებენ გამოსწორების გზაზე დამდგარ მსჯავრდებულებს, თავს ესხმიან თავისუფლების აღკვეთის ადგილების ადმინისტრაციას, რაც იწვევს თავისუფლების აღკვეთის ადგილების მუშაობის დეზორგანიზაციას და საგრძნობლად ხელს უშლის საბჭოთა ზელისუფლების დასჯითი პოლიტიკის ძირითადი მიზნის — დამნაშავეთა გამოსწორებისა და ხელახლად აღზრდის განხორციელების საქმეს. ამიტომ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულებით დაწესებულია, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, აგრეთვე მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები, რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილას გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, აგრეთვე ქმნიან ამ მიზნით დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, ან აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში, — ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით, რვიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით. ეს კანონი ხელს შეუწყობს

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმართა შორის დისციპლინის განმტკიცებას, მათ გამოსწორებას და ხელახლად აღზრდას.

ცნობილია, რომ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები და მის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ითვალისწინებენ მსჯავრდებულთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან სასჯელის ვადის სულ ცოტა ნახევრის ფაქტიურად მოხდის შემდეგ, პირობით — ვადამდე განთავისუფლებას, ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლას უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ ისინი სანიმუშო ყოფაქცევითა და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცებენ თავის გამოსწორებას, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულისათვის, პირობით — ვადამდე განთავისუფლება ან მოუხდელი სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა დაიშვება სასჯელის არა ნაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ. (გარდა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა).

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთ პირობებში განსაკუთრებით საშიში დამნაშავენი თავისუფლებოდნენ სასამართლოს განაჩენით განსაზღვრულ სასჯელის ვადის მთლიანად მოხდამდე, რაც ხელს უშლიდა მათ გამოსწორებას და მშრომელთა მასებში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა, მით უმეტეს, რომ ხშირად ასეთი პირები კვლავ იდენდნენ დანაშაულს.

ცხადია, რომ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა პირობით — ვადამდე განთავისუფლების ასეთი პრაქტიკა საგრძნობლად ამცირებდა სასამართლო განაჩენის გამაფრთხილებელ მნიშვნელობას და უარყოფით გავლენას ახდენდა დანაშაულთან ბრძოლის საქმეზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულების თანახმად განსაკუთრებით საშიში ყველა დამნაშავე მთლიანად მოხდის დანიშნულ სასჯელის ვადას. ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ დაიშვება არა მარტო განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ, არამედ ისეთი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართაც, როგორცაა: განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, ბანდიტიზმი, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება, სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცება განსაკუთრებით დიდი ოდენობით, განზრახ მკვლელობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში, გაუპატიურება, რომელსაც მოჰყვა მძიმე შედეგები ან არასრულწლოვანის გაუპატიურება, ყაჩაღობა, დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა ან მექრთამეობაში შუამავლობა, და აგრეთვე იმ პირთა მიმართ, რომლებიც აღრე იყვნენ პირობით — ვადამდე განთავისუფლებული ან რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალათ უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ ამ პირებმა სასჯელის მოუხდელი ვადის განმავლობაში ჩაიდინეს ახალი განზრახი დანაშაული, რისთვისაც ისინი არიან თავისუფლების აღკვეთით დასჯილი.

ამრიგად, პირობით — ვადამდე განთავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა ბისხლის სამართლის მოქმედი კოდექსისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 5 მაისის ბრძანებულების თანახმად შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომელთაც ბრალი მიუძღვით სა-

ზოგადოებრივად უფრო ნაკლებად საშიშ დანაშაულთა ჩადენაში. უდალამ რომ სასამართლო განაჩენთა აღსრულების ასეთი წესები დადებით გავლენას იქონიებს დანაშაულებრიობასთან ბრძოლის საქმეში.

უკანასკნელ დროს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რესპუბლიკებსა და ოლქებში გამოვლინებულ იქნა სახელმწიფოებრივი დისციპლინის უხეში დარღვევის, თვალის ახვევისა და გეგმების შესრულების ანგარიშებში წამატების შეუწყუნარებელი ფაქტები. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მკაცრად დასაჯა ყველა, ვისაც დანაშაული მიუძღოდა ამ უმზგავსობაში, ზოგი მათგანი მოიხსნა დაკავებული პოსტიდან და პარტიიდან გაირიცხა.

ისეთი აღამიანები, რომლებიც სახელმწიფოს ატყუებენ, საყოველთაო ზიზღისა და მკაცრი დასჯის ღირსი არიან, ამიტომ საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 24 მაისის ბრძანებულებას „გეგმის შესრულების ანგარიშგებაში წამატებისა და სხვა დამახინჯებისათვის“.

ეს ბრძანებულება აწესებს, რომ სახელმწიფო ანგარიშებში წამატება და გეგმების შესრულების შესახებ სხვა განზრახ დამახინჯებული საანგარიშგებო მონაცემების წარდგენა მიჩნეული უნდა იქნას სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებად, რომელიც ზიანს აყენებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას, და ის პირნი, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ამაში, დაისჯებიან თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით.

სისხლის სამართლის დანაშაულებრიობასთან ბრძოლის საქმეში მცირეოდნადაც არ შეიძლება შესუსტებულ იქნას სახელმწიფოს ზეგავლენის როლი. პირიქით, საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერდეს სახელმწიფოებრივი ზემოქმედება და სასტიკი ბრძოლა ვაწარმოოთ სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ, მკვლელების, მოძალადეების, მეჭრთამეების, სპეკულანტების, ბოროტი ხულიგნების, მუქთახორების, პარაზიტებისა და ყველა იმ პირთა მიმართ, ვინც ხელს უშლის საბჭოთა ხალხს კაცობრიობის დიადი და ნათელი მომავლის — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ თავისი მუშაობა დანაშაულთა დროულად გახსნის, დამნაშავეთა გამოვლინების, საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის საქმეში. ეს ორგანოები მუდმივ კავშირში უნდა იმყოფებოდნენ საბჭოთა საზოგადოებრიობასთან და ემყარებოდნენ მათ აქტიურ დახმარებას.

სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის საუბრედი და აუდიტორია

ა. ფალიაშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სასამართლო ექსპერტის დასკვნა დიდ დახმარებას უწევს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება-განხილვაში და ჭეშმარიტების დადგენაში.

სასამართლო ექსპერტიზის რომელი სახეც არ უნდა იყოს, იქნება იგი ექსპერტ-კრიმინალისტი, თუ სასამართლო სამედიცინო დასკვნა, ექსპერტ-ბუღალტრის, თუ სასამართლო ფსიქიატრის დასკვნა, ყოველთვის წარმოადგენს მტკიცების ერთ-ერთ წყაროს.

საქმის გამოძიებისა და განხილვის პროცესში საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების წინაშე ხშირად ისმება ისეთი საკითხი, რომლის გადასაწყვეტად საჭიროა მეცნიერული, ტექნიკური ან სხვა სპეციალური ცოდნის გამოყენება. სწორედ, ასეთი საკითხების გადასაწყვეტად ინიშნება სასამართლო ექსპერტიზა. ამრიგად, სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველს წარმოადგენს საგამომძიებლო ან სასამართლო ორგანოების წინაშე წამოჭრილი ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად ექსპერტის სპეციალური ცოდნის გამოყენება.

მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს სპეციალური ცოდნა, რომელიც საჭიროა მათ წინაშე წამოჭრილი საკითხის გადასაწყვეტად, მაინც მათ უფლება არა აქვთ აიღონ თავიანთ თავზე ექსპერტის ფუნქციები.

ექსპერტის დასკვნა მოცემული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ექსპერტის მიერ კანონით გათვალისწინებულ ფორმებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტის დასკვნას არა აქვს აუცილებელი მნიშვნელობა გამომძიებლის ან მოსამართლისათვის. ისინი არ არიან შეზღუდული არავითარი ფორმალური მტკიცებითა და მათზე დამოკიდებული საქმის გარემოებათა მიხედვით — დაუშვან ესა თუ ის მტკიცება, მიანიჭონ ან არ მიანიჭონ ექსპერტიზის დასკვნას მტკიცებულებითი მნიშვნელობა. არც ერთ მტკიცებას, მათ შორის ექსპერტიზის დასკვნასაც, არა აქვს წინასწარ დადგენილი მტკიცებულებითი ძალა.

ხშირ შემთხვევაში გამომძიებელი და მოსამართლე თვითონ წყვეტენ საკითხს, დანიშნოს თუ არა მოცემულ შემთხვევაში ექსპერტიზა. მაგრამ, ამასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობასაც. ასე, მაგალითად, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71 მუხლის საფუძველზე ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა: 1) სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის დასადგენად; 2) ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის

გამოსარკვევად; 3) მოწმის ან დაზარალებულის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის გამოსარკვევად; 4) ექვმიტანილის, ბრალდებულის ან დაზარალებულის ასაკის დასადგენად იმ შემთხვევაში, როდესაც ამას საქმისათვის მნიშვნელობა აქვს და დოკუმენტი ასაკის შესახებ არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ საკითხების წრე, რომლის დასადგენად საჭიროა აუცილებლად დანიშნოს ექსპერტიზა, საგამომძიებლო-სასამართლო პრაქტიკაში უფრო ფართოა, ვიდრე ამის შესახებ ნათქვამია კანონში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში, აგრეთვე სსრ კავშირის პროკურატურის საუწყებო მითითებებში არა ერთხელ იყო მითითებული სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის აუცილებლობის შესახებ შემდეგ შემთხვევებში: ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნა — რკინიგზის, წყლის, საავიაციო და საავტომობილო ტრანსპორტზე ავარიის, კატასტროფის შემთხვევებში და ტექნიკის უშიშროების წესების დარღვევის დროს, როდესაც ამ უკანასკნელს მოჰყვა მარცხი; კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნა — ფულისა და სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების გაყალბების შემთხვევაში; საქონელმცოდნეობის ექსპერტიზის დანიშვნა — არახარისხოვანი და არასტანდარტული საქონლის გამოშვების დროს; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა — ვენერული სენის შეყრისა და გაუპატიურების საქმეებზე; საბუღალტრო ექსპერტიზის დანიშვნა — სახელმწიფო ქონების დიდი რაოდენობით დატაცების საქმეებზე.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში უნდა იქნეს დანიშნული სასამართლო ექსპერტიზა მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ასეთის ჩატარება გამომძიებელს, პროკურორს, ან მოსამართლეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს გარემოება დაედება საფუძველად განაჩენის გაუქმებას.

ასე მაგალითად, სემოჩკინის საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ გაუქმებული იქნა სასამართლოს განაჩენი იმ მოტივით, რომ საქმეზე არ იყო ჩატარებული ფსიქიატრიული ექსპერტიზა;¹ პატკოვას და ბაბიჩის საქმეზე რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს მიერ გაუქმებული იქნა განაჩენი იმ მოტივით, რომ საქმეზე არ იყო ჩატარებული ტექნიკური ექსპერტიზა მარცხის მიზეზის დასადგენად;² ჯანტიშვილის საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა განაჩენი იმ მოტივით, რომ სასამართლომ არ დანიშნა საავტომობილო-ტექნიკური ექსპერტიზა ავარიის მიზეზის დასადგენად.³

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულო არ არის, გამომძიებელი ან მოსამართლე თვითონ წყვეტენ საკითხს, დანიშნოს თუ არა ექსპერტიზა მოცემულ კონკრეტულ პირობებში. ასე მაგალითად, საკითხის გადასაწყვეტად: ვის მიერ არის შესრულებული ციფრი „1“ საჭიროა ექსპერტ-კრიმინალისტის სპეციალური ცოდნა, ასე რომ არის საფუძველი ექსპერტიზის დანიშვნისათვის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში კრიმინალისტი-

¹ Судебная практика Верховного суда СССР № 3, 1956 г. стр. 25.

² Определение судебной коллегии по уголовным делам Верховного суда РСФСР от 25 марта 1959 г.

³ Социалистическая законность № 11. 1955 г. стр. 93.

კური ექსპერტიზას დანიშვნა სრულებითაც არ არის მიზანშეწონილი, რადგან ამ საკითხის გადაწყვეტა კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების გზით პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია აღნიშნული ფაქტო დადგენილი იქნას სასამართლოს მტკიცების სხვა წყაროებით. მათგან, მაგალითად, საკითხი, როდის უნდა დაინიშნოს ექსპერტიზა, როგორც წესი, არას ტაქტიკური და იგი გადაწყვეტილი უნდა იქნას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალების და სასამართლოს ექსპერტიზის შესაძლებლობის გათვალისწინებას გზით.

სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნა უნდა მოხდეს ოპერატიულად ე. ი. იმ მომენტში, როგორც კი დაისმება საკითხი ამა თუ იმ ფაქტის ექსპერტიზის ჩატარების გზით დადგენის შესახებ. ექსპერტიზის დანიშვნის გაჭინაურებას ხშირ შემთხვევაში შეუძლია იქამდე მიგვიყვანოს, რომ შემდგომ მისი ჩატარება უკვე შეუძლებელი გახდეს.

ამ მხრივ საყურადღებოა ს-ის სისხლის სამართლის საქმე. ს-ს ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან თავისი ოჯახის წევრების თავიდან მოცილების მიზნით გადაასხა საწვავი ნივთიერება მძინარე ცოლს, ქალიშვილსა და ვაჟს, დასწავისინი, ცეცხლი წაუკიდა სახლს. წარდგენილ ბრალდებას ს. კატეგორიულად უარყოფდა. წინასწარ გამოძიების პროცესში ქიმიური ექსპერტიზა არ იყო ჩატარებული. დაბრუნა რა მოცემული საქმე შემდგომმა სასამართლო ორგანომ დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, მიუთითა ქიმიური ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობაზე შემდეგი საკითხის გადასაწყვეტად: ხომ არ იყო გადასხმული ნავთი ან ბენზინი იატაკის ფიცრებზე და ბალიშებზე, სადაც ეძინათ ს-ის ოჯახის წევრებს. ექსპერტიზის ჩატარების შედეგად საკითხი ვერ იქნა გადაწყვეტილი, რადგან დანაშაულის ჩადენის დროიდან ექსპერტიზის ჩატარებამდე გავდა ორ წელზე მეტი და ამ პერიოდში საწვავი სითხე უკვე აორთქლდებოდა.¹ აქედან გამომდინარე, უკვე შეუძლებელი გახდა ფაქტის დადგენა, ჰქონდა თუ არა მოცემულ შემთხვევაში ადგილი განზრახ ცეცხლის წაქიშობას ოჯახის წევრებზე.

საჭიროა, ამასთანავე, აღინიშნოს, რომ სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის და ჩატარების ოპერატიულობა არ უნდა ხდებოდეს საქმის გამოძიება-განხილვის ხარისხისათვის ზიანის მიყენების გზით. თუ, მაგალითად, საქმის გარემოებათა მიხედვით საჭიროა სტაციონარული ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა, რომლის ჩატარებაც თუმცა თხოულობს დიდ დროს (როგორც წესი 30 დღემდე), გამოძიებელმა და მოსამართლემ უნდა დანიშნოს მხოლოდ ეს ექსპერტიზა და არა ამბულატორიული ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის ჩატარებაც თხოულობს მხოლოდ რამდენიმე დღეს. უნდა აღინიშნოს, რომ საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკაში ამ მოთხოვნის დარღვევას არა იშვიათად აქვს ადგილი.

ასე, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა თავის დადგენილებაში სასამართლოს განაჩენის გაუქმების ერთ-ერთ მოტივად ზავადსკის საქმეზე ის მოიყვანა, რომ გამოძიებლის მიერ დანიშნულ იქნა ამბულატორიული ფსიქიატრიული ექსპერტიზა, მაშინ, როდესაც საქმის გარემოებათა მიხედვით

¹ Определение судебной коллегии по уголовным делам Верховного суда РСФСР от 28 декабря 1959 г.

საჭირო იყო დანიშნულიყო სტაციონარული ფსიქიატრიული ექსპერტიზა.¹ ანალოგიურ დარღვევას ჰქონდა ადგილი ვორონინის საქმეზე² და ტოკაევის საქმეზე.³

აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ექსპერტიზის დანიშვნის და ჩატარების ოპერატიულობა ყოველთვის შეთავსებულნი უნდა იყოს საქმის გამოძიებისა და განხილვის ხარისხთან.

ზევით ჩვენ განვიხილეთ სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი, რომლებიც ძირითადად ეხებოდა პირველადი ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაციას, ახლა საჭიროა შევჩერდეთ განმეორებითი სასამართლო-ექსპერტიზის დანიშვნის სპეციფიკურობაზე.

განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის და ჩატარების საკითხი შეიძლება დაისვას გამომძიებლის და სასამართლოს წინაშე მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც ეს უკანასკნელი კრიტიკული თვალსაზრისით შეაფასებენ პირველადი ექსპერტიზის დასკვნას, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართო კრიტიკული შეფასება საქმარისი არ არის განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნისათვის. ამასთან ერთად საჭიროა, რომ გამომძიებელმა, მოსამართლემ დაადგინოს პირველადი ექსპერტიზის დასკვნის ნაკლოვანებანი, რომლებიც გამოიყენება განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის მოტივად ან მოტივებათ. განმეორებითი სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის მოტივები მრავალფეროვანია, ძირითად მათგანზე მითითებულია საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლში.

ამრიგად, განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველს წარმოადგენს პირველადი ექსპერტიზის დასკვნის ნაკლოვანებანი. განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა აუცილებელია იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი ექსპერტიზის დასკვნის ნაკლოვან მხარეებს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ექსპერტიზის დასკვნის სისწორეზე, სრულყოფაზე, დასაბუთებაზე, ობიექტურობაზე და ექსპერტიზის დასკვნას საქმისათვის კვლავ ძირითადი მნიშვნელობა აქვს. ყველა სხვა შემთხვევაში გამომძიებელზე და სასამართლოზეა დამოკიდებული, დანიშნოს თუ არა მოცემულ შემთხვევაში განმეორებითი სასამართლო ექსპერტიზა.

როგორც პირველადი, ისე განმეორებითი სასამართლო ექსპერტიზა შეიძლება აგრეთვე დანიშნული იქნეს პროცესის მონაწილეთა თხოვნისა და შუამდგომლობის საფუძველზე. გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო ვალდებული არიან გულდასმით განიხილონ პროცესის მონაწილეთა შუამდგომლობა სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და დააკმაყოფილონ იგი, თუ კი გარემოებას, რომელიც ექსპერტიზის ჩატარების გზით უნდა დადგინდეს, აქვს მნიშვნელობა მოცემული საქმისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში უარი ექსპერტიზის ჩატარებას შესახებ უნდა იქნას დასაბუთებული სპეციალურად გამომძიებლის დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით.

¹ Бюллетень Верховного суда СССР № 2, 1960 г. стр. 15.

² Постановление Пленума Верховного суда СССР от 27 июня 1953 г.

³ Судебная практика Верховного суда СССР № 5, 1953 г. стр. 21.

საგამომძიებლო-სასამართლო პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა როდესაც გამოძიებელი, მოსამართლე უარს ეუბნება პროცესში მონაწილეებს, განსაკუთრებით კი ბრალდებულს (სამართალში მიცემულს) ან მის დამცველს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ამ გარემოებას არ ასახულებს დაწერილებითი სპეციალურ საპროცესო დოკუმენტში. ასე მაგალითად, აკმატოვას საქმეზე, სასამართლოში მიცემულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა აღძრა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნების შესახებ იმ მოტივით, რომ საჭირო იყო დამატებითი მასალების შეგროვება სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად. სასამართლომ ამ კანონიერ შუამდგომლობაზე დამცველს დაუსახუთებელი უარი განუცხადა. ეს გარემოება კი შემდგომში ვახდა საფუძველი, რათა სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს გაეუქმებინა სასამართლოს განაჩენი¹.

რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ისეთ გარემოებას, როდესაც პროცესის ზოგიერთმა მონაწილემ არ იცის ყველა ის უფლება, რაც მას მინიჭებული აქვს კანონის მიხედვით სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების საკითხში. ასეთ გარემოებას შედეგად ის მოჰყვება, რომ პროცესში მონაწილეები, განსაკუთრებით ბრალდებული და სამართალში მიცემული, ვერ იყენებენ კანონით მინიჭებულ ყველა უფლებას.

ახლა, როდესაც გაფართოვდა პროცესში მონაწილეთა წრე, ისმება კითხვა, თუ რა უფლებით უნდა სარგებლობდნენ ექსპერტიზის ჩატარების და შეფასების დროს ეჭვმიტანილი, დაზარალებული, დამნაშავე, დამცველი და პროცესის სხვა მონაწილენი

საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლების მითითების შესაბამისად შეიძლება ჩამოვყალიბოთ პროცესის მონაწილეთა უფლებები სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნის, ჩატარებისა და შეფასების საკითხებზე. პროცესის მონაწილეებს წინასწარი გამოძიების და სასამართლოში საქმის განხილვის დროს უფლება აქვთ:

1. იშუამდგომლონ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
2. მიუთითონ პირადად ექსპერტზე, რომელმაც უნდა ჩატაროს ექსპერტიზა;
3. წერილობით შეადგინონ ის კითხვები, რომელზედაც მათ სურთ, რომ ექსპერტმა გასცეს პასუხი;
4. წარადგინონ ექსპერტის ჩასატარებლად დამატებითი მასალები;
5. დაათვალიერონ ექსპერტიზის ობიექტები და გამოთქვან ამასთან დაკავშირებით თავიანთი შუამდგომლობა;
6. მისცენ ახსნა-განმარტება ექსპერტს საჭირო საკითხებზე;
7. საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ ექსპერტიზის ჩატარებაში;
8. განაცხადონ ექსპერტის აცილების შესახებ;
9. ითხოვონ ექსპერტის დაკითხვის შესახებ და გაეცნონ ექსპერტის დაკითხვის ოქმს;
10. პირადად გაეცნონ ექსპერტის დასკვნას;

¹ Бюллетень Верховного суда СССР № 1, 1960 г. стр. 30.

11. იშუამდგომლონ დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;
12. პირადად მისცენ ექსპერტს შეკითხვები;
13. იშუამდგომლონ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ წინასწარი გამოძიების დამთავრების დროს საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით;
14. იშუამდგომლონ ექსპერტის სასამართლო დარბაზიდან გაყვანის შესახებ;

ჩამოთვლილი უფლებების განხორციელების მიზნით გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო და პირი, რომელიც გამოკვლევას აწარმოებს ვალდებული არიან განუმარტონ პროცესში მონაწილეებს თავიანთი უფლებები და უზრუნველყონ ამ უფლებათა განხორციელების შესაძლებლობა. ამისათვის აუცილებელია, რომ პროცესის მონაწილეებს დროზე გაცნონ თავიანთი უფლებები. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროცესის მონაწილეს უნდა გაეცნოს თვით ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება ან განჩინება. ყველა ამ წესების დაცვა იქნება იმის გარანტიას, რომ პროცესში მონაწილენი სრულად გამოიყენებენ თავიანთ უფლებებს სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზაციის დამისი შეფასების დროს.

ექსპერტიზის ხარისხიანად ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამომძიებლის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების სწორად შედგენას. პრაქტიკაში არა იშვიათად ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება (განჩინება) დგება ძალიან მოკლედ და გაურკვეველად. ზოგჯერ კი სპეციალური დადგენილება (განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ საერთოდ არ დგება. ყველაფერი ეს იწვევს ექსპერტიზის ჩატარების გაზვიადებას.


ასე მაგალითად, ნ-ის საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისათვის ერთ-ერთ მოტივად ის მოიყვანა, რომ სასამართლოს მიერ არ იყო გამოტანილი სპეციალური განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ¹.

დადგენილება (განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ წარმოდგენს პროცესუალურ დოკუმენტს, რომლის საფუძველზე ტარდება სასამართლო ექსპერტიზა, ამისათვის იგი შედგენილ უნდა იქნას დაწვრილებით და ყველა საჭირო წესების დაცვით.

დადგენილება (განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისაგან (შესავალი, აღწერილობითი და დასკვნითი), საკითხები მასში განხილული უნდა იქნენ გარკვეული თანმიმდევრობით. უპირველეს ყოვლისა დადგენილებას (განჩინებას) უნდა ჰქონდეს გარკვეული დასახელება, სადაც უნდა იყოს აღნიშნული რა სახის ექსპერტიზა ინიშნება, მაგალითად: „დადგენილება განმეორებითი ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნისა“.

დადგენილების (განჩინების) შესავალ ნაწილში უნდა იყოს აღნიშნული შემდეგი მონაცემები: თარიღი, ვის გამოაქვს დადგენილება (გვარი, თანამდებობა, სასამართლო ან საგამომძიებლო ორგანოს დასახელება), რომელ საქმეზეა გამოტანილი დადგენილება (განჩინება), ვინ არის მიცემული პასუხისმგებლობაში (გვარი, სახელი, მამის სახელი და კანონის რომელი მუხლით არის დაკვალიფიცირებული დანაშაული).

¹ Судебная практика Верховного суда СССР № 6, 1954 г., стр. 38.



დადგენილების (განჩინების) აღწერილობით ნაწილში იხილება საკითხები შემდეგი თანმიმდევრობით: ა) საქმის გარემოება მოკლედ. უფრო დაწვრილებით იხილება ყველა ის გარემოება, რაც დაკავშირებულია ექსპერტიზის ობიექტების აღმოჩენასთან და ამოღებასთან. ბ) რომელი საკითხების გადასაწყვეტადაა საჭირო ექსპერტიზის სპეციალური ცოდნა, გ) თუ კი ინიშნება განმეორებითი ექსპერტიზა, უნდა აღინიშნოს სად, ვის მიერ, რომელი საკითხების გადასაწყვეტად იქნა ჩატარებული ექსპერტიზა და რა დასკვნა იქნა მიცემული ექსპერტიზის მიერ, დ) ვინ უზამდგომლობს და რა საკითხების გადასაწყვეტად თხოულობს ექსპერტიზის დანიშვნას, თუ კი უზამდგომლობა ეხება განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნას დამატებით უნდა აღინიშნოს, თუ რა მიზეზის გამო ესა თუ ის პროცესის მონაწილე არ ეთანხმება პირველადი ექსპერტიზის დასკვნას. ე) გამოძიებელი ან მოსამართლე, როდესაც ისინი თავისი ინიციატივით ნიშნავენ განმეორებით ექსპერტიზას, ვალდებული არიან დაწვრილებით დაასაბუთონ ყველა ის გარემოება, რის გამოც ისინი არ ეთანხმებიან პირველადი ექსპერტიზის დასკვნას და მიუთითონ იმ მოტივებზე, რომლის მიხედვითაც ნიშნავენ განმეორებით ექსპერტიზას. ეს მოთხოვნილება არის პროცესუალური და გამომდინარეობს საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-70 მუხლიდან, ვ) აღინიშნება კანონის ის მუხლები, რომლითაც გამოძიებელი ან სასამართლო ხელმძღვანელობდნენ ექსპერტიზის დანიშვნის დროს. დასკვნითი ნაწილი უნდა იქნას შედგენილი პუნქტებად.

I პუნქტში უნდა იყოს აღნიშნული, თუ რომელ საექსპერტო დაწესებულებას ევალება ექსპერტიზის ჩატარება. აქვე შეიძლება კონკრეტულად მითითებული იქნას ექსპერტიზის გვარი და ექსპერტების რაოდენობა, ანდა იმ ექსპერტიზის გვარი, ვისაც არ უნდა დაევალოს ექსპერტიზის ჩატარება.

II პუნქტში უნდა იყოს ჩამოთვლილი ექსპერტიზის გამოსაკვლევი ობიექტები.

III პუნქტში უნდა ჩამოითვალოს შესაძარბელი ობიექტები.

IV პუნქტში უნდა იყოს აღნიშნული ყველა ის კითხვები, რომლებზედაც ექსპერტმა უნდა გასცეს პასუხი. კითხვები უნდა იქნას დასმული გარკვეულ, თანმიმდევრულ და ნათელ ფორმაში.

V პუნქტში უნდა ჩამოითვალოს ყველა ის დამატებითი მასალები, რომელიც იგზავნება ექსპერტიზის განკარგულებაში. ასეთ მასალებად შეიძლება გადაიგზავნოს მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, მოწმის ან ბრალდებულის დაკითხვის ოქმი, ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთის ამოღების ოქმი, ავადმყოფობის ისტორია, ცნობები ფიზიკურ ნაკლოვანებათა შესახებ, პირველადი ექსპერტიზის აქტი და ა. შ.

VI-პუნქტში უნდა იყოს მითითებული იმის შესახებ, რომ ექსპერტი გაფრთხილებული იქნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197 და 198 მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ.

ამ საკითხის გაშუქებით მთავრდება ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების (განჩინების) შედგენა და მას ხელს აწერენ სასამართლო ექსპერტიზის დამნიშნავი პირი ან პირები.

მას შემდეგ, როდესაც ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილება (განჩინება) გაეცნობა პასუხისმგებელში მოცემულ პირს, ხოლო თუ საჭიროა პროცესის სხვა მონაწილეებსაც, ექსპერტიზა ითვლება დანიშნულად.

დანაშაულის განმეორების საქმეებში ახალ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში

ბ. ტყეშელაშვილი

დანაშაულის განმეორებით ჩადენა, როგორც წესი, მოწმობს პირის დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, მის მიდრეკილებას დანაშაულისადმი. ამის გამო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34-ე მუხლის 1 პუნქტის, (საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის 1 პუნქტი) შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება „დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჩაუდენია დანაშაული“.

განმეორების დროს პირველსა და მეორე დანაშაულს შორის დროის დიდი ინტერვალი არ უნდა არსებობდეს, თორემ შეუძლებელი გახდება განმეორების ნიშნის მიხედვით პირის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების დადგენა. საერთოდ, ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია დანაშაულის განმეორება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სასამართლო დანაშაულის განმეორებას ცნობს მაშინაც, როდესაც პირველი დანაშაულის ჩადენიდან გასულია ხანდაზმულობის ვადა ან როდესაც პირი ნასამართლობის არმქონედ ითვლება.¹ სამწუხაროდ, ასეთ შეხედულებას ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიც ემხრობა.

„თუ ძირითად საწყისებში, — წერს პროფ. ა. გერცენზონი, — დათქმული იყო, რომ წარსულში დანაშაულის ჩადენა არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირი ცხოვრობდა სამართალში არყოფილად, ან როდესაც გასულია ხანდაზმულობის ვადები, საფუძვლები არ შეიცავენ ასეთ დათქმას. ამრიგად 34-ე მუხლის ტექსტიდან გამომდინარეობს, რომ დანაშაულის განმეორებით ჩადენა, საერთო წესისამებრ, შეიძლება განხილული იქნას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად (ხაზი ჩვენია — გ. ტ.). მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს პირველი დანაშაულის ხასიათის მიხედვით არ მისცეს მას დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა (34-ე მუხლის 1 პუნქტის მე-2 ნაწილი)“². ამრიგად, ა. გერ-

¹ კანონის ასეთი უმართებულო შეფარდების მაგალითები მოჰყავს ა. ივანიცკის წერილში „Грубое нарушение закона“ (იხ. „Советская юстиция“, 1961 № 4, стр. 13).

² А. А. Герцензон, Об основах уголовного законодательства Союза ССР и союзных республик, Госюриздат, М., 1959, стр. 59.



ცეზონის შეხედულებით, სასამართლოს უფლება აქვს ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან ნასამართლობის მოხსნის მიუხედავად ცნოს დანაშაულის განმეორება. ასეთი შეხედულება, უგულვებელყოფს კანონით დადგენილ ობიექტურ კრიტერიუმს და უპირატესობას ანიჭებს სასამართლოს მიხედულობას.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა, ვფიქრობთ, უმართებულოა შემდეგი მოსაზრების გამო:

მართლაც, 1958 წლის საფუძვლების 34-ე მუხლის 1 პუნქტი არ შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ წინათ რაიმე დანაშაულის ჩადენა არ შეიძლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად იქნეს მიჩნეული, თუ მოცემული პირი ცნობილია სამართალში არყოფილად, ან თუ პირველი დანაშაულის ჩადენისა ან ამ დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანის დროიდან გავლო ხანდაზმულობის ვადა. მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს დავსკვნათ, რომ 1958 წლის საფუძვლების მიღების შემდეგ დანაშაულის განმეორების შემთხვევაში აღარ მოქმედებს ნორმები ხანდაზმულობისა და ნასამართლობის შესახებ. კანონმდებელმა მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკისა და ადგილის ეკონომიის მოსაზრებებით მიზანშეუწონლად ცნო სპეციალურად და ამასთან გახეორებით აღენიშნა ხანდაზმულობისა და ნასამართლობის ვადების მნიშვნელობა დანაშაულის განმეორების შემთხვევაში, უკეთუ ამ ვადებს განმეორების შემთხვევაში უარყოფდით, ეს უადრესად მავნე და უმართებულო დასკვნამდე მიგვიყვანდა.

ვარაუდი დამნაშავეის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების შესახებ ყოველგვარ ნიადაგს კარგავს ორ დანაშაულებრივ ქმედობის ჩადენას შორის დიდი ხანგრძლიობის დროს. „განმეორების ცნებას ეს პრინციპი რომ არ მივუყენოთ, — აღნიშნული იყო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1947 წ. 26 ნოემბრის განჩინებაში პ. საქმეზე, — მაშინ გაუქმებული იქნება ნორმები ნასამართლობის მოხსნის და ხანდაზმულობის ვადების შესახებ, და ქურდობა „განმეორებულად“ უნდა ჩაგვეთვალა, თუნდაც პირველი ქურდობა ჩადენილი ყოფილიყო ოცი წლის ან მეტი ხნის წინათ, მაშინ, როდესაც პირველ და მეორე ქურდობას შორის სწორედ შედარებით მოკლე დროის გასვლა შეიძლება ცნობილი იქნეს იმის მაჩვენებლად, რომ ბრალდებული მიეჩვია ან ეჩვევა არსებობის წყაროს შექენას პარაზიტული საშუალებებით“¹.

ამასთან ერთად, მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოება: საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად არ ჩაითვლება... პირი, რომელიც ითვლება სამართალში არყოფილად ამ კოდექსის 57-ე მუხ-

¹ იხ. მ. მ. ისაგვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 4 ივნისის ბრძანებულებანი, სახელგამი, თბილისი, 1949, გვ. 20.



ლის შესაბამისად ან ამნისტიის ან პატიების აქტის ძალით“. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივი საერთოდ გახმეორების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, მაშინ ა. ვერცენზონის შეხედულება არალოგიკურ დასკვნამდე მიგვიყვანდა: განმეორების ყველაზე საშიშ შემთხვევაში ნასამართლობის მოხსნა შეუძლებელს გახდიდა პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობას, ხოლო განმეორების შედარებით უფრო ნაკლებად საშიშ შემთხვევაში ნასამართლობის მოხსნის მიუხედავად წინანდელი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად უნდა გვეცნო. სინამდვილეში, თუ კანონმდებელი საჭიროდ ცნობს ნასამართლობის მოხსნის მნიშვნელობას განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს, მით უმეტეს არ შეიძლება უგულვებელყოთ ამ პრინციპის მნიშვნელობა განმეორების სხვა, უფრო ნაკლებად საშიშ შემთხვევებში.

ამრიგად, მხოლოდ ხანდაზმულობის ან ნასამართლობის ვადების გავლამდე არის შესაძლებელი ახალი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს წინათ ჩადენილი დანაშაულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ცნობა.

ხანდაზმულობის ან ნასამართლობის ვადების გავლამდე ახალი დანაშაულის ჩადენა ავტომატურად როდი ავალებს სასამართლოს დანაშაულის განმეორება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ცნოს. საფუძვლების 34-ე მუხლის 1 პუნქტის მე-2 ნაწილის შესაბამისად, „სასამართლოს უფლება აქვს არ მიანიჭოს პირველ დანაშაულს მისი ხასიათის მიხედვით დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა“. ამრიგად, თავისთავად მეორე დანაშაულის ჩადენა როდი იძლევა საფუძველს სასჯელის ზომის დამძიმებისათვის. კერძოდ, თუ პირველად ჩადენილი დანაშაული მეორეჯერ ჩადენილ დანაშაულთან შედარებით მცირემნიშვნელოვანი და არაერთგვაროვანია, არ არსებობს საფუძველი პირველი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩავთვალოთ. ასე მაგალითად, თუ პირმა თავდაპირველად შეურაცხყოფა მიაყენა სხვა პირს, ხოლო შემდეგ სპეკულაცია ჩაიდინა, აქ, ნათელია, ფორმალურად საქმე გვექნება განმეორებასთან. მაგრამ ისიც ნათელია, რომ სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს წინათ ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება არ ცნოს. ასეთივე მდგომარეობა გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე დანაშაული მეტად მცირემნიშვნელოვანია და ამავე დროს სხვაგვარი ხასიათის არის, ვიდრე პირველი დანაშაული. მაგალითად, თუ პირმა პირველად ჩაიდინა მექრთამეობა, ხოლო შემდეგ სხეულის გაუფრთხილებელი დაზიანება, სასამართლო პირველ დანაშაულს არ ჩათვლის დამამძიმებელ გარემოებად მეორე დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს.

თუ პირს წინათ აქვს ჩადენილი დანაშაული, მაშინ ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის პირველი მეტწილად მაშინ მიიჩნევა პასუხისმგებლობის

8758



მამძიმებელ გარემოებად, როდესაც ორივეჯერ ერთი და იგივე დანაშაულის ჩადენილი ან როდესაც ისინი ერთგვაროვანნი არიან¹.

ერთი და იმავე დანაშაულის განმეორებით ჩადენა, რასაც პირობითად შეიძლება სპეციალური განმეორება ვუწოდოთ, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში შეიძლება ორი სახით მოგვევლინოს:

განმეორება შეიძლება აპირობებდეს გარკვეული ქმედობის დანაშაულად ცნობას. მაგალითად, საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად ისევეა საპასპორტო წესების მხოლოდ განმეორებით დარღვევა. სისხლის სამართლის კოდექსი ზოგიერთი დანაშაულის მიმართ საჭიროდ ცნობს ქმედობის არა ორჯერ, არამედ სამჯერ ჩადენას. გარდა ამისა, ზოგჯერ სავალდებულოა პირის მიმართ თავდაპირველად ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ღონისძიების გამოყენება. ასე მაგალითად 228-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ხულიგნობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რათა პირს ჩადენილი ჰქონდეს წვრილმანი ხულიგნობის სამი აქტი, რომელთაგანაც ორი აქტისათვის მის მიმართ ერთი წლის გახმავლობაში გამოყენებული უნდა იყოს ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება.

როგორი დანაშაულობანი შეიძლება ვცნოთ ერთგვაროვანად? ამ საკითხზე პასუხის გაცემა ერთობ ძნელია, უფრო ზუსტად, აქ შეიძლება მხოლოდ საორიენტაციო კრიტერიუმების წამოყენება.

ერთგვაროვნობისათვის ჩვეულებრივად საჭიროა პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ობიექტების იგივეობა. თუ მათი ხელყოფის ობიექტები სხვადასხვაა, მაშინ ერთგვაროვნობა, როგორც წესი, გამორიცხულია. ასე მაგალითად, სასამართლო პრაქტიკამ ცემა და ქურდობა სხვადასხვაგვაროვან დანაშაულობებად ცნო. მაგრამ ხელყოფის ობიექტის იგივეობა საკმარისი როდია დანაშაულთა ერთგვაროვნობისათვის. მაგალითად, სახელმწიფო ქონების გატაცება და სახელმწიფო ქონების განზრახ განადგურება შეუძლებელია ერთგვაროვან დანაშაულობებად ვცნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ხელყოფის ობიექტი ერთი და იგივეა. ეს ორი დანაშაული ერთგვაროვანად იმიტომ არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ობიექტური მხრივ, კერძოდ მოქმედების ხასიათით (ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქონების გატაცებასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში ქონების განადგურებასთან), ისე ბრალის შინაარსითაც (პირველ შემთხვევაში აუცილებელია მითვისების მიზანი, რომელიც მეორე შემთხვევაში გამორიცხულია).

ერთგვაროვნობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბრალის ფორმას. მაგალითად, ერთგვაროვანად არ ჩაითვლება განზრახი და გაუფრთხილებელი მკვლელობა. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრალის ფორმის იგივეობა თავისთავად არ წყვეტს დანაშაულთა ერთგვაროვნობის საკითხს. დანაშაულთა ერთგვაროვნობისათვის განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს ბრალის შინაარსის, მო-

¹ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის პასუხისმგებლობის დამძიმებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ერთი და იმავე, ან ერთგვაროვან დანაშაულთა ჩადენისას. განმეორება შეიძლება პასუხისმგებლობის დამძიმებელ გარემოებად ჩაითვალოს მაშინაც; როდესაც პირი არაერთგვაროვან დანაშაულს ჩადენს. ასეთ სიტუაციასთან გვექნება საქმე, მაგალითად, მაშინ, როდესაც პირი თავდაპირველად ხულიგნობას ჩადენს, ხოლო შემდეგ პასუხისმგებაში მიეცემა იარაღის უკანონო შენახვისათვის.

ტივების იგივეობას (მსგავსებას). მაგალითად, ქურდობა და თაღლითობა ერთგვაროვანი დანაშაულობებია, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ობიექტური მხრივ (ქურდობა გამოიხატება ქონების ფარულად გატაცებაში, ხოლო თაღლითობა ქონების დაუფლებაში მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით). მათ ერთგვაროვნად აქცევს ობიექტთან ერთად მოტივების, გახზრახვის შინაარსის იგივეობა: ორივე შემთხვევაში პირს სურს მიითვისოს სხვისი ქონება. სწორედ ამის გამო სასამართლო პრაქტიკამ ერთგვაროვნად ცნო ქურდობა და გაძარცვა¹, გაფლანგვა და ქურდობა².

ამრიგად, ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულთა ერთგვაროვნობის სათვის, როგორც წესი, აუცილებელია: 1) ხელყოფის ობიექტების იგივეობა და 2) ბრალის შინაარსის (განსაზღვრულ შემთხვევებში მოტივების) იგივეობა (ან მსგავსება).

ორი ან მეტი ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენა ანუ ერთგვაროვანი ვახმეორება შეიძლება უშუალოდ იყოს გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში. ერთგვაროვანი განმეორება გათვალისწინებულია საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე და 150-ე მუხლების შენიშვნაში.

91-ე მუხლის შენიშვნის შესაბამისად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით, გაძარცვით, თაღლითობით, მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით განხორციელებით ჩაითვლება შემდეგ ორ შემთხვევაში: 1) თუ ერთ-ერთი ამ დანაშაულის ჩადენას წინ უძღოდა ზემოაღნიშნულიდან რომელიმე დანაშაულის ჩადენა; 2) თუ პირმა წინადა ჩაიდინა ბანდიტიზმი, ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული ქურდობა, გაძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა.

150-ე მუხლის შენიშვნის შესაბამისად, მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცება ქურდობით, გაძარცვით, თაღლითობით განმეორებითად ჩაითვლება ძაშინ, თუ 1) ერთ-ერთი ამ დანაშაულის ჩადენას წინ უსწრებდა ზემოაღნიშნულიდან რომელიმე დანაშაულის ჩადენა; 2) პირმა წინადა ჩაიდინა ბანდიტიზმი, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება ქურდობით, გაძარცვით, თაღლითობით, მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების მიზნით, ან ყაჩაღობა მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცების მიზნით. ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლების მიზნით და აგრეთვე ყაჩაღობა მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით განმეორებითად ჩაითვლება მაშინ, როდესაც მას წინ უძღოდა ყაჩაღობა (დამოუკიდებელი იმისა, თუ საკუთრების რომელი ფორმის წინააღმდეგ იყო იგი მიმა-

¹ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1946 წ. 5 აპრილის დადგენილება ფ.—ს საქმეზე („Судебная практика Верховного Суда СССР“, 1946, III (XXVII), стр. 3.

² იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1946 წ. 1 ივნისის განჩინება ნ.—ს საქმეზე („Судебная практика Верховного Суда СССР“, 1946, VI (XXX), стр. 1).

როტული) ან ბანდიტიზმი (საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე და 152-ე მუხლები).

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში ერთგვაროვანი განმეორებისათვის მნიშვნელობა არა აქვს ხელყოფის ობიექტის — საკუთრების ფორმას. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ პირმა ქურდობის გზით თავისპირველად გაიტაცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება, ხოლო შემდეგ — მოქალაქეთა პირადი ქონება, საქმე გვექნება ერთგვაროვან ქურდობასთან, რომელიც კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც კვალიფიცირებული ქურდობა (150-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

განმეორების თვალსაზრისით ერთგვარი თავისებურებებით ხასიათდება ისეთი მიძიმე დანაშაულობები, როგორცაა ბანდიტიზმი და ყაჩაღობა. როგორც ცხობილია, საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი განმეორების ნიშნის მიხედვით ისეთ დანაშაულთა კვალიფიკაციისას, როგორცაა ქურდობა, გაძარცვა, თაღლითობა და სოციალისტური ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, მნიშვნელობას არ აძლევს იმას, თუ როგორი თანმიმდევრობით განხორციელდა მათი ჩადენა. მართლაც, ქურდობა განმეორებულად ჩაითვლება მაშინ, თუ მათ წინ უსწრებდა გაძარცვა, თაღლითობა და ა. შ. და პირიქით. რაც შეეხება ბანდიტიზმსა და ყაჩაღობას, ეს ორი დანაშაული განმეორებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ მას წინ უსწრებდა ბანდიტიზმი და ყაჩაღობა. ქურდობა, გაძარცვა, თაღლითობა და სოციალისტური ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თუ ისინი ჩადენილი იქნებიან ბანდიტიზმის ან ყაჩაღობის შემდეგ, განმეორებულად უნდა ვცნოთ. პირიქით, თუ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა წინ უსწრებს ბანდიტიზმს ან ყაჩაღობას, მაშინ აქ განმეორება გაძორიცხულია. ვინაიდან ბანდიტიზმის საზოგადოებრივი საშიშროება უფრო დიდია, ვიდრე ყაჩაღობისა, ამიტომ ყაჩაღობა განმეორებით მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ, თუ მას წინ უსწრებდა ბანდიტიზმი. პირიქით, ბანდიტიზმის განმეორება არ შეიძლება გვექონდეს მაშინ, თუ მას წინ უსწრებდა ყაჩაღობა.

საფუძვლების 34-ე მუხლის I პუნქტის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება როგორც ისეთი დანაშაული, რისთვისაც პირი არ დასჯილა, ისე ისეთი დანაშაულიც, რისთვისაც პირი დასჯილი იქნა. წინამდებარე წერილში ლაპარაკი იყო ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პირი დასჯილი არ ყოფილა წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი მსჯავრდებული იყო პირველი დანაშაულისათვის (რეციდივი), ეს საკითხი ცალკე განხილვას მოითხოვს.

¹ ბანდიტიზმის შემადგენლობა. რომელიც საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლშია გათვალისწინებული, განმეორებას როგორც დამამძიმებელ გარემოებას არ ითვალისწინებს. ამის გამო თუ პირმა ორჯერ ან მეტჯერ ჩაიდინა ბანდიტიზმი, მაშინ ეს გარემოება საფუძვლების 34-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იქნას ბანდიტიზმისათვის 78-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ფარგლებში.

გაქვემოთხანი, რომლებიც უნდა დაგვიხსნან სისხლის სამართლის საქმეზე

2. მოსხიანი

ყოველგვარი შემეცნება, მათ შორის მტკიცების პროცესი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, მიმართულია საქმის განსაზღვრულ გარემოებათა დადგენისაკენ, რომლებიც შეადგენენ მტკიცების საგანს.

სისხლის სამართლის ყოველ საქმეს გააჩნია თავისი მტკიცების საგანი, რომელიც ყოველთვის განსხვავდება სხვა, მათ შორის ერთგვაროვან სისხლის სამართლის საქმეთა მტკიცების საგნისაგან და განისაზღვრება თვითეული საქმის თავისებურებით. ის, რაც აუცილებელია დამტკიცდეს ერთ საქმეზე, შესაძლებელია არ ეხებოდეს მეორე საქმეს ან არ იყოს არსებითი ამ უკანასკნელისათვის. მაგრამ ყოველივე ეს არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ განსაზღვრულ იქნას ზოგადი გარემოებანი, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად ვადწყვეტა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი შემდგენიარად განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე:

„მოკვლევის, წინასწარი გამოძიების წარმოებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს უნდა დამტკიცდეს:

1. დანაშაულის შემთხვევა (დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, ხერხი, მოტივი და სხვა გარემოებანი);
2. ბრალდებულის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში;
3. გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე;
4. დანაშაულით მიყენებული ზარალის ხასიათი და ოდენობა“.

დასახელებული გარემოებანი ზოგჯერ შესაძლებელია არ იყოს კონკრეტულად ცნობილი და მიჩნეული მტკიცების საგნად მოკვლევის, წინასწარი ან სამსჯავრო გამოძიების დასაწყისშივე. მთელ რიგ შემთხვევებში ამისათვის საჭიროა ჩატარდეს განსაზღვრული საგამომძიებლო და სასამართლო მოქმედებანი, გამორკვეულ იქნას მრავალი ვერსია საქმეზე და მხოლოდ ასეთი დიდი და გულმოდგინე მუშაობის შედეგად შეიძლება დადგინდეს ის გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს.

ასე, მაგალითად, დაზარალებულის ძალადური სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას ხშირად არ არის თავიდანვე ცნობილი რას ჰქონდა ადგილი: თვითმკვლელობას, მკვლელობას თუ უბედურ შემთხვევას.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამომძიებელსა და სასამართლოს შეუძლიათ დაუმატონ ან შეცვალონ გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს საქმეზე, მაგრამ ეს მოწმობს არა მტკიცების საგნის შეცვლას, არამედ იმას, რომ იგი თავდაპირველად არ იყო სწორად ან სრულად განსაზღვრული.

გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე, უკვე მომხდარ, ობიექტურ ფაქტებს წარმოადგენენ და ამიტომ აღამიანის ნებისაგან არ არიან დამოკიდებული.

მტკიცების საგნის სწორი განსაზღვრა უშუალოდ დაკავშირებულია საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევასთან და გამომდინარეობს მისგან. სწორედ ამიტომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი ავალდებულებს



სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელსა და იმ პირს, რომელიც მოკვლევას აწარმოებს, რომ მათ მიიღონ ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევისათვის, ე. ი. განსაზღვრავს მტკიცების ფარგლებს სისხლის სამართლის საქმეზე.

ამ წესის დარღვევის შედეგად შესაძლებელია შეიზღუდოს მტკიცების საგანი და ამით არასწორად წარმოგვიდგეს ჩადენილი დანაშაულისა და მასში მონაწილე ბრალეულ პირთა აღსადგენი სურათი, რის გამოც განაჩენი საქმეზე, რომელზედაც დაშვებულია მსგავსი დარღვევა, არ შეიძლება ძალაში იქნას დატოვებული.

მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 17 ივნისის დადგენილებაში ა. შ. ავეტიკოვის საქმეზე ნათქვამია: „გამოუვლინეს რა აკტიკოვის... დანაკლისი... და აღმოჩინეს რა მის ანგარიშებში შესწორებები, წინასწარი გამოძიების ორგანოებმა არ გამოიკვლიეს დანაკლისის მიზეზები, ავეტიკოვის მიერ თავის გასამართლებლად წამოყენებული მოსაზრებები და საქმის სხვა გარემოებანი და წარუდგინეს მას ბრალდება დატაცებაში... თუმცა წინასწარი გამოძიების სტადიაში არ ყოფილა დადგენილი დატაცების კონკრეტული ფაქტები... წინასწარი გამოძიების ორგანოებმა იმის გათვალისწინებით, რაც მითითებულია ამ დადგენილებაში, გულმოდგინედ, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიონ ყველა გარემოება, რომელიც მოცემულ საქმეს ეხება“.

აღნიშნულს მიეყვარათ იმ დასკვნამდე, რომ მტკიცების საგანს საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს იმ გარემოებათა ერთობლიობა, რომლებიც უნდა დამტკიცდეს, მაშინ როცა მტკიცების ფარგლებს შეადგენს მტკიცებათა წყაროების და მათგან ამოკრეფილი მონაცემების განსაზღვრული წრე, რომლებიც გამოკვლეულ და შეფასებულ უნდა იქნას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, რის შედეგადაც დგინდება მტკიცების საგანი.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და განხილვის დროს გამოძიებე-

ლი და სასამართლო ახდენენ ჩადენილი დანაშაულის სურათის აღდგენას, მაგრამ აქ საჭირო არ არის დადგენილი იქნას უკლებლივ ყველა გარემოება, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ობიექტურ სინამდვილეში და რამდენადმე დაკავშირებულნი არიან გამოსაძიებელ საქმესთან. საჭიროა დადგინდეს ისეთი გარემოებანი, რომლებიც შეეხებიან საქმეს, არსებითი არიან მისთვის და მათ ერთობლიობაში საკმარის საფუძველს წარმოადგენენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 304-ე მუხლში მითითებულ საკითხთა გადაწყვეტისათვის.

ობიექტური ზემოპირტების მიღწევისათვის საქმეზე უნდა დადგინდეს გარემოებანი, რომლებიც მოწმობს სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციით გათვალისწინებული განსაზღვრული დანაშაულის შემთხვევის არსებობას ან არარსებობას, როდესაც დადგინდება გარემოებანი, რომლებიც ადასტურებენ დანაშაულის შემთხვევის არარსებობას ან ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის უქონლობას, თანახმად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის 1 და 2 პუნქტებისა, მტკიცების საგანი ამოწურულად ითვლება და სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და განხილვის დროს გამოძიებელი და სასამართლო უპირველეს ყოვლისა ადგენენ თვით გამოსაკვლევ შემთხვევას, რომელიც მტკიცების საგანს ნაწილს შეადგენს (დაზარალებულის სიკვდილი, სხეულის დაზიანების მიყენება, მატერიალურ ფასიულობათა და ნაკლისის არსებობა და სხვა).

მაგრამ დადგენა მხოლოდ შიშველი შემთხვევისა, მისი ჩადენის კონკრეტულ პირობათა გამოკვლევის გარეშე, არ შეიძლება საკმარის საფუძველს წარმოადგენდეს საკითხის არსებითად გადაწყვეტისათვის, რადგან ამ შემთხვევის წარმოშობის მიზეზების, მსვლელობისა და შედეგების დადგენას შეუძლია არსებითი ზეგავლენა მოახდინოს მის გაგებაზე.

მაგალითად, მხოლოდ იმ ფაქტის

დადგენა, რომ ბრალდებულმა დაზარალებულს მიაყენა სხეულის დაზიანება, იმ გარემოებათა გამოკვლევისა და დადგენის გარეშე, რომლებიც მიუთითებენ მიზეზზე, რამაც ბიძგი მისცა ბრალდებულს ჩადენა ეს მოქმედება, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას საკმარის საფუძვლად ამ ქმედობის დანაშაულად ცნობისათვის, რადგან შესაძლებელია აღნიშნული ქმედობის ჩადენა გამოწვეული იყო, მაგალითად, აუცილებელი მოვებით ან უკიდურესი აუცილებლობით.

თვითეული გამოსაკვლევი შემთხვევა უნდა დადგინდეს სრულად და კონკრეტულად, მიეთითოს ჩადენილ მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე, რის მიხედვითაც წყდება საკითხი დანაშაულის შემადგენლობის და ბრალდებულის ბრალეულობის არსებობის შესახებ. ამიტომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 304-ე მუხლი იმ საკითხთან ერთად — მომხდარია თუ არა ქმედობა, რომლის ჩადენაშიც სამართალში მიცემულს ბრალი ედება, ასახელებს სხვა საკითხებსაც: არის თუ არა ქმედობაში დანაშაულის შემაღველობა და სისხლის სამართლის რომელი კანონით არის იგი გათვალისწინებული.

გაათქმა რა განაჩენი მ-ის საქმეზე, სსრ კაგმირის უმაღლესმა სასამართლომ მიუთითა, რომ: „...განაჩენში არ არის მითითებული კონკრეტულად რომელი მოქმედებაშია ცნობილი დამნაშავედ სამართალში მიცემული. განაჩენში ნახმარი ტერმინი „განიავება“ არ ხსნის იმ დანაშაულებრივ მოქმედებათა კონკრეტულ შინაარსს, რომლებშიც სამართალში მიცემული ცნობილია დამნაშავედ, არამედ იძლევა ამ მოქმედებათა მხოლოდ ზოგად დახასიათებას...“

განაჩენით არ არის დადგენილი თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ფასეულობათა განიავება სამართალში მიცემულის მიერ, ვის მიჰყიდა მან ეს ფასეულობანი, რა რაოდენობით და ა. შ.

თუმცა ყველა ამ გარემოების გამორკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს არამარტო იმისათვის, რომ გადაწყდეს საკითხი სამართალში მიცემულის მოქმედებათა კვალიფიკაციის შესახებ, არა-

მედ აგრეთვე მისი ბრალეულობის საკითხისათვის საერთოდ“.

რიგ შემთხვევებში თუმცა ფორმალურად შეიძლება დადგენილი იქნას დანაშაულის შემადგენლობა, მაგრამ ხანდახან მულობის ვადის გასვლის დამადასტურებელ გარემოებათა არსებობისას ან ამისტიის აქტის გამო (უკეთეს იგი გამორიცხავს სასჯელის გამოყენებას ჩადენილი დანაშაულისათვის) სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ბრალდებულის თანხმობაც საქმის ამ მოტივებით შეწყვეტაზე (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი).

ამგვარად, გარემოებანი, რომლებიც აღგენენ დანაშაულის შემთხვევას, უნდა იძლეოდნენ პასუხს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ამა თუ იმ მუხლის დისპოზიციაში მოცემულ ყველა საკითხზე.

საქმეზე უნდა დადგინდეს აგრეთვე ისეთი გარემოებანი, რომლებიც შეეხებიან სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმათა გამოყენებას. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ მე-7 მუხლი განმარტავს სისხლის სამართლის კანონის მოქმედებას დროში, მე-19 მუხლი — თანამონაწილეობის ცნებას და ა. შ.

დანაშაულის შემთხვევის სურათი, რომლის აღდგენაც ხდება, არ იქნება სრული თუ არ დადგინდა გარემოებანი, რომლებიც მიუთითებენ ბრალდებულის დანაშაულებრივ მოქმედებათა ან უმოქმედობათა შედეგებზე, ვინაიდან აღნიშნულ გარემოებათა დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის შემადგენლობის არსებობის, მისი კვალიფიკაციის, ბრალის ხარისხის, სამოქალაქო სარჩელისა და სხვა საკითხთა გადაწყვეტისათვის.

მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი ითვალისწინებს, რომ „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“.

თუ სხეულის განზრახ მიმე დაზიანებამ გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი, იგი დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილ ათ. ხოლო ამ შედეგის დადგომის გარეშე უნდა დაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის 1 ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს უფრო მსუბუქ სასჯელს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ შედეგისათვის, რომელიც მიზეზობრივ კავშირში იმყოფება მის მიერ ჩადენილ მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან, ამიტომ თვითუფლ საქმეზე უნდა დამტკიცდეს აგრეთვე ისეთი გარემოებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტს.

საშურის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ ჩიტაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ მასში, რომ, მუშაობდა რა მძღოლად, დაარღვია მოძრაობის წესები და დაჯახა ავტოციკტერნა შვიდი წლის ბიჭს გლგანდაშვილს, რომელიც მიღებული მძიმე დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

განისილა რა აღნიშნული საქმე სსრ კავშირის გენერალური პროკურორია პროტესტის საფუძველზე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1960 წლის 26 მარტის დადგენილებაში მიუთითა: „სასამართლომ ბრალდებული ჩიტაძის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევა დაინახა იმაში, რომ ჩიტაძის მართვის ქვეშე მყოფ ავტოციკტერნაზე არ იყო სახელმწიფო ნომერი და რომ ფეხის მუხრუჭები გაუმართავ მდგომარეობაში იყო (სუსტად იჭერდნენ). მართალია, აღნიშნული დარღვევები დადგენილია საქმის მასალებით, მაგრამ ისინი არ წარმოადგენდნენ დაზარალებულზე დაჯახების მიზეზს და არ იმყოფებოდნენ მიზეზობრივ კავშირში დამდგარ მძიმე შედეგებთან...“

როგორც საქმიდან ჩანს, ჩიტაძეს, მიუხედავად იმისა თუ როგორ მდგომარეობაში იქნებოდა მუხრუჭები, არ შეეძლო თავიდან აეცდინა დაზარალებულზე დაჯახება. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ავტოციკტერნა, რომელსაც მართავდა ჩიტაძე, საათში 20-25 კმ. სიჩქარით მიდიოდა ქუჩაში.

მის შემხვედრ სატვირთო ავტომანქანის ძარაზე ჩამოკიდებული იყო დაზარალებული. იმ დროს, როდესაც ჩიტაძის მართვის ქვეშე მყოფი ავტოციკტერნის წინა ნაწილი 1,5 მეტრის მანძილზე მიუახლოვდა შემხვედრი ავტომანქანის ძარას, დაზარალებულმა ხელი გაუშვა ავტომანქანას და დაიწყო ქუჩის გადარბენა. შენიშნა რა ავტოციკტერნის უშუალო სიახლოვეს ქუჩაში გადამრბენი ბიჭი, ბრალდებული შეეცადა განზე მიეგრუნებია ავტოციკტერნა და ამით თავიდან აეცდინა დაჯახება, მაგრამ ბიჭი დაეტაკა ბენზინის ავზის ყელს და მიიღო მძიმე დაზიანებანი, რის შედეგადაც გარდაიცვალა“.

ამგვარად, საქმეზე ობიექტიური ჭეშმარიტების მიღწევისათვის უნდა დადგინდეს არა მარტო შემთხვევა ჩადენილი დანაშაულისა, არამედ აგრეთვე მისი მიზეზები, მსვლელობა და შედეგები. მიზეზობრივი კავშირი ამ შედეგებსა და ბრალდებულის მოქმედებას ან უმოქმედობას შორის.

არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩადენილი დანაშაულის დროის, ადგილის, ხერხის და სხვა გარემოებათა დამტკიცებას.

დასახელებული გარემოებანი საშუალებას იძლევიან სწორად იქნას გადაწყვეტილი ბრალდებულის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობის საკითხი, განსაზღვრულ იქნას დანაშაულის კვალიფიკაცია, ბრალდებულის ან პროცესის სხვა მონაწილის მიერ განსაზღვრულ მოქმედებათა ჩადენის შესაძლებლობა, ისინი ხელს უწყობენ დანაშაულის გახსნას და ა. შ.

ასე, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის დროის დადგენამ შესაძლებელია მიგვიყვანოს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტამდე ამინტის აქტის საფუძველზე, სისხლის სამართლის სხვა კანონის შეფარდებამდე, ბრალდებულის ალიბის დადგენამდე და ა. შ.

დანაშაულის ჩადენის ადგილის დადგენა შეადგენს ტერიტორიალური ქვემდებარეობის განსაზღვრის საფუძველს, მან შესაძლებელია ხელი შეუწყოს თვით დანაშაულის შემთხვევის გახსნას, დამნაშავეთა გამოვლინებას და სხვა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ გარე-

მოებათა დადგენასაც, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის ჩადენის ხერხზე.

მაგალითად, ერთერთ პროკურატურაში განახლებულ იქნა წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე ნ. მ.-ის გაუპატიურებისა და მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით. აღნიშნული საქმის გამოძიების დროს გამოძიებელმა შეისწავლა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოში არსებული საქმეები და ყურადღება გაამახვილა ზ-ს საქმეზე, რომელიც მსჯავრდებული იყო გაუპატიურებისა და მკვლელობის მცდელობისათვის, რომელთა ჩადენის ხერხი ემთხვეოდა ნ. მ.-ის გაუპატიურებისა და მკვლელობის ხერხს.

სწორად ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგენილ იქნა ზ-ს ბრალეულობა ნ. მ.-ისა და სხვა რვა ქალის გაუპატიურებასა და მკვლელობაში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დანაშაულობათა ჩადენიდან დიდმა დრომ განვლო.

იმ გარემოებათა დადგენას, რომლებიც მოწმობს დანაშაულის შემთხვევის არსებობას, რიგ შემთხვევებში მიეყვანათ დანაშაულის სუბიექტის დადგენამდეც (მაგალითად: ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება — საქართველოს სსრ სსკ 186 მუხლი, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება — საქართველოს სსრ სსკ 187 მუხლი, ქრთამის აღება — საქართველოს სსრ სსკ 189 მუხლი, ქრთამის მიცემა — საქართველოს სსრ სსკ 190 მუხლი და სხვა).

მაგრამ ასეთ მდგომარეობას ყოველთვის არა აქვს ადგილი, ამიტომ თვითეულ სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს გარემოებანი, რომლებიც მიუთითებენ ჩადენილი დანაშაულის ყველა სუბიექტზე და მათ პიროვნებებზე. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „მოწმე შეიძლება დაიკითხოს ყოველგვარი გარემოების შესახებ, რომელიც უნდა დადგინდეს საქმეზე, მათ შორის ბრალდებულის... პიროვნების... შესახებ“.

ბრალდებულის პიროვნების შესახებ მონაცემების დადგენას მოითხოვს კა-

ნონმდებლობის სხვა მუხლებიც.

ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 91, 92, 93, 94 მუხლები ითვალისწინებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევებს, ე. ი. მოითხოვს ისეთ გარემოებათა დადგენას, რომლებიც მოწმობს ადრე ამავე პირების მიერ საქართველოს სსრ სსკ 78, 96 150—153 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობათა ჩადენას.

მაგრამ იმ გარემოებათაგან, რომლებიც უნდა დამტკიცდეს დანაშაულის სუბიექტის მიმართ, ძირითადია — საკითხი მისი ბრალეულობის შესახებ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ე. ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივი საშიში ქმედობა. თუ პირის მოქმედებამ გამოიწვია მავნე შედეგი, მაგრამ ამ შედეგის მიმართ მისი ბრალი დადგენილი არ არის, მაშინ მას უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა სამოქალაქო სამართალ-წარმოების წესით.

საბჭოთა კანონმდებლობისათვის უცხობა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სისხლის სამართლისათვის ცნობილი ე. წ. ობიექტური შერაცხვა ე. ი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე, როცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის საკმარისია განსაზღვრულ შედეგთა დადგომა, თუმცა პირი, რომელმაც ჩაიდინა ამ შედეგების გამომწვევი მოქმედება ან უმოქმედობა, არ ითვალისწინებდა და არც შეიძლო გაეთვალისწინებია მათი დადგომის შესაძლებლობა.

ბრალი შეიძლება გამოიხატოს ორი ფორმით-განზრახვა და გაუფრთხილებლობა (საქართველოს სსრ სსკ მე-9 და მე-10 მუხლები). თვითეული მათგანი ხასიათდება განსაზღვრული მოქმედებით ან უმოქმედობით, ამიტომ ამ გარემოებათა მიჩნევა მტკიცების საგნად მიგვიყვანს დანაშაულის სუბიექტური მხარის დადგენამდეც.

სისხლის სამართლის საქმეზე უნდა დამტკიცდეს აგრეთვე ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს დანაშაულის ჩადენა.

მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების წინაშე ამჟამად დასახულია დანაშაულობათა სრული აღმოფხვრის ამოცანა, ამიტომ იმ გარემოებათა დადგენა, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის ჩადენას, და ამ გარემოებათა თავიდან აცილება შეადგენს აღნიშნულ ორგანოთა პირდაპირ მოვალეობას (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-60 და 118 მუხლები).

ასე, მაგალითად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეზე შეიძლება დადგინდეს აღრიცხვისა და ანგარიშგების თავმინებებულობა, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე კონტროლის არარსებობა, მატერიალურად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ისეთ პირთა მიღების ფაქტი, რომლებიც ამკარად არ იმსახურებდნენ ნდობას და ა. შ.

არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ისეთ გარემოებათა დადგენას, რომლებიც მიუთითებენ დანაშაულის მოტივზე, რომელიც რიგ შემთხვევებში შეადგენს დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის № 4 დადგენილებაში „განზრახ მკვლელობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, ნათქვამია: „სასამართლოების ყურადღება მიექცეს იმას, რომ განზრახ მკვლელობის საქმეთა განხილვისას საჭიროა ამომწურავად და ყოველმხრივ იქნას გამოკვლეული საქმის ყველა გარემოება და, კერძოდ, გულდასმით გამოამკარავდეს მკვლელობის მოტივები, მიზანი და ხერხები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ მონაცემების დასადგენად, რომლებიც გავლენას ახდენენ დანაშაულის კვალიფიკაციაზე და სასჯელის განსაზღვრაზე. განაჩენში ზუსტად, საჭირო მტკიცებობათა მოყვანით უნდა იქნას გადმოცემული ფაქტები, რომლებმაც სასამართლოს სა-

ფუძველი მისცეს მისულიყო სათანადო დასკვნამდე საქმეზე.

დანაშაულის მოტივების აღნიშვნისას სასამართლოები არ უნდა კმაყოფილდებოდნენ ფორმულირებით ქვენა გრძნობაზე გაურკვეველი მითითების სახით, არამედ ყოველ ცალკე შემთხვევაში კონკრეტულად უნდა მიუთითონ სახელდობრ რაში გამოიხატა ეს ქვენა გრძნობა, რომელმაც დამნაშავე მკვლელობის ჩადენამდე მიიყვანა“¹.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, როგორც საერთო წესი, ეკისრება იმ პირთ, რომლებსაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თექვსმეტი წელი.

მაგრამ მკვლელობისათვის, სხეულის განზრახ დაზიანებისათვის, რამაც ჯანმრთელობის შერყევა გამოიწვია, გაუპატიურებისათვის, ყაჩაღური თავდასხმისათვის, გაძარცვისათვის, ქურდობისათვის, ბოროტი ხულიგნობისათვის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების, ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისათვის, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები, აგრეთვე ისეთ მოქმედებათა განზრახ ჩადენისათვის, რამაც შეიძლება მატარებლის მარცხი გამოიწვიოს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება აგრეთვე იმ პირთ, რომლებმაც აღნიშნული დანაშაულობანი ჩაიდინეს თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკში.

ამგვარად, საქართველოს სსრ სსკ მოითხოვს, რომ რიგ შემთხვევებში აუცილებლად იქნას დადგენილი ბრალდებულის ასაკიც, რადგან მის არასრულწლოვანობისას, ხოლო ზოგჯერ 14 წლის ასაკისათვის მიუღწევლობის დროს, პირს, რომელმაც ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, არ შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

ბრალდებულის ასაკის დადგენის აუცილებლობას მოითხოვს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებიც. მაგალითად, 24-ე მუხლი

¹ Бюллетень Верховного Суда СССР. 1960 г., № 4, стр. 51.

ითვალისწინებს, რომ „სიკვდილით დასჯა არ შეიძლება შეეფარდოს იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი“, 25-ე მუხლის თანახმად, „იმ პირისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, თავისუფლები ალკვეთის ვადა არ შეიძლება აღმატებოდეს ათ წელს“.

ამ ნუსხას ცალკეულ შემთხვევებში ავსებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

მაგალითად, საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს, რომ ექსპერტიზის ჩატარება აუცილებელია „ექვმიტანილის, ბრალდებულის და დაზარალებულის ასაკის დასადგენად იმ შემთხვევებში, როდესაც ამას საქმისათვის მნიშვნელობა აქვს და დოკუმენტი ასაკის შესახებ არ არის“.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის, ექვმიტანილის ან მოწმის ფსიქიური ან ფიზიკური სრულფასიანობა ეჭვს იწვევს, გამოკვლეული უნდა იქნას და დამტკიცდეს გარემოებანი, რომლებიც მოწმობს მათ შერაცხადობას¹ და უნარიანობას სწორად აღიქვან გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, და მისცენ მათ შესახებ სწორი ჩვენებები (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლი).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი რიც შემთხვევებში მოითხოვს ბრალდებულის პიროვნების სხვა მხარეთა დადგენასაც.

ასე, მაგალითად, თანამდებობრივი დანაშაულისათვის პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის დროს უნდა დამტკიცდეს ისეთი გარემოებანი, რომლებიც დაკავშირებულია მის სამსახურებრივ მდგომარეობასთან (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლი).

სხვა შემთხვევებში საჭიროა ისეთ გარემოებათა დადგენა, რომლებიც მოწმობს ბრალდებულის ორსულობას (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის

კოდექსის 24-ე და 25-ე მუხლები) და ფაქტს, რომ ბრალდებულ ქალს კმაყოფაზე ჰყავს რვა წლის ასაკამდე შვილები (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლი), რეციდენტის განსაკუთრებულ საშიშროებას (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლი) და ა. შ.

ბრალდებულის ბრალეულობის ხარისხის დადგენისა და მისთვის სასჯელის დანიშვნისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე და 39-ე მუხლებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა დამტკიცებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა უფრო ფართო წრეს, ვიდრე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები. კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტში დამატებით მითითებულია პასუხისმგებლობის ისეთ შემამსუბუქებელ გარემოებაზე, როგორცაა დანაშაულის ჩადენა პირველად, შემთხვევით მომხდარ გარემოებათა გამო.

მაგრამ ეს ნუსხაც არ არის ამომწურავი და კონკრეტული. საქმის მხედველობაში მიღებით შეიძლება შეივსოს სავამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში. მაგალითად, ასეთ გარემოებად შეიძლება მიჩნეულ იქნას: დიდ სამამულო ომში მონაწილეობის ფაქტი, ოჯახის წევრთა მრავალრიცხოვნობა და სხვა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი დამატებით ითვალისწინებს აგრეთვე ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს. ასეთებია: დანაშაულის ჩადენა ერთი წლის განმავლობაში დამნაშავის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდების შემდეგ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის (39-ე მუხლის მეორე პუნქტი), დანაშაულის ჩადენა დამნაშავისათვის წინას-

წარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ (39-ე მუხლის მე-9 პუნქტი), დანაშაულის ჩადენა მეორე პირის მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით (39-ე მუხლის მე-11 პუნქტი).

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებისაგან განსხვავებით, დამამძიმებელ გარემოებათა წრის გაფართოება არ არის. გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.

დანაშაულის ჩადენა ცალკეულ შემთხვევებში იწვევს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის და მოქალაქეთათვის ზარალის მიყენებას. ასეთ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება: ქურდობა (საქართველოს სსრ სსკ 91-ე და 150-ე მუხლები), ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება (საქართველოს სსრ სსკ მე-100 და 157-ე მუხლები), ყაჩაღობა (საქართველოს სსკ 96-ე და 152-ე მუხლები), გაძარცვა (საქართველოს სსრ სსკ 92-ე და 151-ე მუხლები), თაღლითობა (საქართველოს სსკ 93-ე და 153-ე მუხლები), მითვისება (საქართველოს სსრ სსკ 94-ე და 155-ე მუხლები) და სხვა. შესაძლებელია მიყენებულ იქნას მორალური ხასიათის ვნება (ცილისწამება — საქართველოს სსრ სსკ 177-ე მუხლი, შეურაცხყოფა — საქართველოს სსრ სსკ 138-ე მუხლი, ხულიგნობა — საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლი). ამიტომ სისხლის სამართლის თვითეულ საქმეზე უნდა დადგინდეს აგრეთვე გარემოებანი, რომლებიც მიუთითებენ ზარალის ხასიათსა და ოდენობაზე.

საქართველოს სსრ სისხლის სამარ-

თლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, „დანაშაულით მატერიალურად დაზარალებულ პირს უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს წარუდგინოს ბრალდებულს ან იმ პირს, ვინც მატერიალურად პასუხისმგებელია ბრალდებულის მოქმედებისათვის, სამოქალაქო სარჩელი...“, ამიტომ საქმეზე უნდა დადგინდეს გარემოებანი, რომლებიც მოწმობს იმას, რომ ბრალდებულს გააჩნია ქონება, რომელზეც შეიძლება მიქცეულ იქნას გადახდევინება, უნდა დადგინდეს აგრეთვე ამ ქონების ადგილსამყოფელი.

დანაშაულით მიყენებული ზარალის ხასიათისა და ოდენობის დადგენა რიგ შემთხვევებში საჭიროა აგრეთვე დანაშაულის კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრისათვის (საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 92-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 93-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 94-ე მუხლის მე-3 ნაწილი და სხვა), განაჩენის აღსრულებისათვის (მაგალითად, ამნისტიის გამოყენების დროს) და ა. შ.

ზემოთ განხილული ცალკეული გარემოებანი, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე, არ არის ამომწურავი და თვითეულ შემთხვევაში უნდა შეიფასოს სისხლის სამართლის კონკრეტული საქმის მხედველობაში მიღებით, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების მიღწევისა და სამართალში მიცემულის სწორად დასჯისათვის.

სასაქართველო მრგობანიშნის უმბიართი საქითხის უხსხვხ XVII სუჟუნის II ნახვრის სუჟართუჟლოჟი

ა. ჰუჟელია

უჟუდემიჟოს ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოთქმული იჟნა მოსაზრება, რომ ჟართლ-ჟახეთის სამეფოში XVIII საუ-ჟუნის მეორე ნახვეარში განხორციელ-და მთელი რიგი მნიშვნელოვანი სა-ხელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიე-ბები სახელმწიფო აჟარატის ვარდაჟმნი-სათვის.

უჟუდემიჟოს ნ. ბერძენიშვილის აზრით „ასევე ახალი იჟო მსაჟულთ შუკრებუ-ლების დაწესებულება, ერეკლემ რომ შემოიღო 1778 წელს: ამიერიდან „უო-ველი არზა და საჩივარი მდივანბეგებ-თან მივიდესო“.¹ უჟუდემიჟოს ნ. ბერძე-ნიშვილს ამ მოსაზრების საფუძველზე საქართველოს ისტორიკოსებმა და საქა-რთველოს სახელმწიფოსა და სამარ-თლის ისტორიის საჟითხებზე მომუშავე მეცნიერებმა, განავითარეს ის აზრი, რომ 1778 წელს ჟართლ-ჟახეთის სამე-ფოში მოხდა სასამართლო-რეფორმა, რაც მსაჟულთ შუკრებულების დაარსე-ბაში გამოიხატა.²

ამ საჟითხის განხილვისას პროფ. ი. სურგულაძე, მართალია არ ხმარობს სიტყვა რეფორმას, მაგრამ მსაჟულთ შუკრებულების დაწესება მასაც მნიშ-ვნელოვან მოვლენად მიაჩნია, ის წერს: „სასამართლოს ხაზით XVIII საუჟუნის მეორე ნახვეარში დიდი ცვლილება მოხდა „მსაჟულთ შუკრებულების“ დაწესებულებების ჩამოყალიბებით“.³

როგორც უჟუდემიჟოსი ნ. ბერძენიშვი-ლი, ისე სხვა შუკვლევარები „მსაჟულთ შუკრებულების“ საჟითხის განხილვისას, თავიანთ მოსაზრებათა დასასაბუთებ-ლად იშველიებენ XVIII საუჟუნის II ნახვეარის ცნობილი მდივანბეგის იესე ბართაშვილის მიერ თავის შვილებისა-დმი დატოვებულ „ანდერძის“ შემდეგ ცნობას: „—აჟრილს (1778 წლის—მ. ჟ.) ბრძანება გამოვიდა: უოველი არზა და საჩივარი მდივანბეგებთან (ხაზგასმა ჩემია მ. ჟ.) მივიდესო და ესე მსაჟული იჟოს იმაეების მწერალიო“⁴.

ასევე უველა შუკვლევარი, იესე ბარ-თაშვილის „ანდერძიდან“ ზემოდ მოყ-ვანილ ცნობას უჟავშირებს XVIII საუ-ჟუნის II ნახვეარის საბუთებში დასახე-ლებულ „საქართველოს მსაჟულთა შუ-კრებულების“ გაჩენას და უჟანასჟენელი მიაჩნია სპეციალურ სასამართლო დაწე-სებულებად, რომელიც იესეს ცნობაში იგულისხმება სიტყვაში „მდივანბეგებ-თან“.

გამოჟვეყნებული საბუთებისა და აგრეთვე საარჟივო მასალის შესწავლის საფუძველზე, მივედით იმ დასჟენამდე, რომ ამ საჟითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრე-ბანი არ არის სწორი.

ი. ბართაშვილის გამოთქმა, რომ „უოველი არზა და საჩივარი მდივანბე-გებთან მივიდესო“ არ ნიშნავს 1778 წელს სასამართლო რეფორმის ჩატარე-

¹ საქართველოს ისტორია, 1, ს. ჯანაშვიას რედაჟციით, 1948 წ. გვ. 400.

² „მასალები საქართველოს და ჟავასიის ისტორიისათვის“, შ. მესხიას რედაჟციით, ნაჟ-ვეთი 1. 1948 წ. მ. ლეჟვიშვილის საჟანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მდივანბეგობის ინსტი-ტუტი გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში“, 1952 წ. ნაშრომი ინახება ი. ბ. სტა-ლინის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეჟაში.

³ ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952 წ. გვ. 334.

⁴ „იესე ბართაშვილის ცნოვრება ანდერძი“, ა. იოსელიანის გამოცემა, 1950 წ. გვ. 88.

ბას, რადგანაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, 1778 წელს სასამართლო ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ხასიათის რაიმე ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებლად, პირველ ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ საკითხზე იმის შესახებ, თუ როგორი წესი არსებობდა 1778 წლის აპრილის თვემდის მომჩივანის ან მოადლის (მოპასუხის) მიერ სასამართლოს წინაშე სადაო საკითხის დასმის და მოსამართლეთა მიერ მისი გადაწყვეტისა. ჩვენ შევეხებით მხოლოდ იმ წესს, რომელიც არსებობდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ისეთ ფართო და ყველაზე უფრო ავტორიტეტულ სასამართლო დაწესებულებაში, როგორც იყო მდივანბეგების სასამართლო, რომელმაც აღნიშნულ პერიოდში „დასტურლამალის“ და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ზოგიერთი მოთხოვნა თავისებურად შეცვალა (რა თქმა უნდა მეფის, როგორც უზენაესი მოსამართლის ბრძანების, განკარგულებისა და განჩინების საფუძველზე) და გადაამუშავა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა შესაბამისად.

მომჩივანს შეეძლო საჩივრით მიემართა მდივანბეგებისათვის (ან მდივანბეგისათვის), რომელთა სამუშაო ადგილს წარმოადგენდა „დივანხანა“ ანუ „სამსაჯულო სახლი“. მომჩივანს ასევე შეეძლო საჩივრით ან არზით მიემართა — მეფის, დედოფლის და ბატონიშვილებისათვის, რომლებიც თავიანთ შეხედულებისამებრ საჩივარს ან არზას — გაუგზავნიდნენ „სამართლის ქმნას“.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მდივანბეგები ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე იყვნენ შვიდ ადგილას: თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, ყაზახში, შამშილდეში და ბორჩალოში.¹

მათ მიერ გამოტანილ განაჩენებს ამტკიცებდა მეფე, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა განაჩენი თუ გადაწყვეტილება მეფის დაუმტკიცებლადაც შედიოდა ძალაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ — შესწავლილი მასალები უფლებას იძლევიან ვთქვათ, რომ განაჩენის დამტკიცება მაშინ იყო აუცილებელი, როცა საქმის გარჩევას მდივანბეგებს ან მდივანბეგს მეფე ან რომელიმე მისი ოჯახის წევრი დაავალებდა. ამ შემთხვევაში განაჩენი დამტკიცებული უნდა ყოფილიყო იმ პირის მიერ, ვისი დავალებითაც იგი გაიჩრა.

თუ გავიზიარებთ ზემოდ მოყვანილი მკვლევარების მოსაზრებას რომ 1778 წელს მოხდა სასამართლო რეფორმა, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ იგი უნდა გამოხატულიყო შემდეგში:

ა) ყველა არზა და საჩივარი (როგორც ი. ბარათაშვილი სწერს) უნდა შესულიყო მდივანბეგებთან.

ბ) დაწესებულება, სადაც ყველა არზა და საჩივარი შედიოდა და აერთიანებდა მდივანბეგებს, ამ დაწესებულებას „საქართველოს მსაჯულთ შეკრებულება“ უწოდებოდა.

გ) რეფორმას უნდა გამოეწვია მდივანბეგთა რაოდენობის მკვეთრი გაზრდა.

ჩვენი აზრით 1778 წელს სასამართლო რეფორმა არ მომხდარა და ამ ხანებში არავითარი რადიკალურ სიახლეს სასამართლო ორგანიზაციაში ადგილი არ ქონია. ერეკლეს აღნიშნული ბრძანება, რომლის შესახებ საუბარია იესეს „ანდერძში“, შეიძლება მიჩნეული იქნას მაშინდელ სასამართლოში უკვე არსებული წესის განმტკიცების ცდად, ეს დასტურდება სამართალ-წარმოების სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშნების იგივეობაში XVIII საუკუნის ორივე

¹ დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა აბ. როგავას რედაქციით 1959 წ. მუხლი 554.

ნახევრის განმავლობაში. მოვიყვანოთ სათანადო საბუთები.

1. 1778 წლის წინა პერიოდშიც რამოდენიმე მდივანბეგი ერთად იხილავს საქმეს, ასე მაგალითად: 1776 წლის 17 თებერვალს მეფის დავალებით მდივანბეგები იხილავენ სადაო საქმეს ციხესა და საერთო ხატზე.¹

საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის ფონდი 1448 №1868 საბუთით მომხივანი წერს, რომ წინადაც მიუმართავს მდივანბეგებსათვის, რომლებმაც განაჩენიც მისცენ.

1765 წელს—გიორგი იორამაშვილს მეფე ერეკლესადმი მირთმეულ არზის საფუძველზე დივანბეგები აძლევენ განაჩენს.²

1773 წელს მდივანბეგები არჩევენ წყლის თაობაზე დავის საქმეს.³

მსგავსი განაჩენები, რომლებიც გამოაქვს მდივანბეგებს 1778 წლამდის მრავალია.

2. 1778 წლის აპრილის შემდეგაც მრავალია ისეთი შემთხვევა, როცა მოსამართლეებად გვევლინებიან ისევე ის მდივანბეგები, რომლებიც ზოგჯერ „საქართველოს მსაჯულთშეკრებულების“ წევრებიც არიან, ასე მაგ: 1778 წლის 20 ივლისს მამულზე დავის საქმეს იხილავს ოთხი მდივანბეგი.⁴ 1797 წელს მდივანბეგები არჩევენ საქმეს სადაო მამულის შესახებ.⁵ 1800 წლის ერთი

საბუთის მიხედვით მეფის ბრძანებით მდივანბეგებს გამოაქვთ გადაწყვეტილება მამულის შესახებ.⁶ საბუთებში დასახელებული მდივანბეგები მსაჯულთ შეკრებულების წევრებიც არიან, ასეთი შინაარსის სხვა მაგალითების მოტანაც შეიძლება.

3. 1778 წლის აპრილამდეც გვხვდება ცალკეული მდივანბეგის მიერ საქმის განხილვის შემთხვევები, ასე მაგალითად: 1773 წელს მდივანბეგი რამაზ ანდრონიკაშვილი მეფის დავალებით იხილავს მამულზე დავის საქმეს.⁷ 1775 წელს მდივანბეგი ამილახვრიშვილი იესე იხილავს მოახლის გაწბილების (გაუბატიურების) საქმეს.⁸ იგივე მდივანბეგი 1776 წელს ყმების შესახებ იხილავს საქმეს⁹ და ა. შ.

4. 1778 წლის აპრილის შემდეგაც არ აღკვეთილა ცალკეული მდივანბეგის მიერ საქმის გარჩევის შემთხვევები და ზოგიერთი მათგანი „საქართველოს მსაჯულთ შეკრებულების“ წევრებადაც იხსენიებიან, მაგალითად: მსაჯულთ შეკრებულების ერთ-ერთ წევრად ხშირად მოხსენებული მდივანბეგი ამილახვრიშვილი იესე 1784 წლის ერთი საბუთის მიხედვით ერთპიროვნულად არჩევს სხეულის დაზიანების საქმეს.¹⁰ ასევე 1791 წელს „საქართველოს შეკრებულების“ სასამართლოში შემავალი მდი-

¹ საქ. მეც. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, კოლექცია Hd საბუთი 2241.

² „დოკუმენტები საქართველოს სოციალურ ისტორიიდან, II წ. 5. ბერძენიშვილის რედაქ. 1953 წ. გვ. 60.

³ საქ. მეცნიერ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd კოლექციის საბუთი № 991.

⁴ იქვე, საბუთი № 2241.

⁵ საქართველოს სიძველენი, ტ. III.


⁶ ცენტ. არქივი, ფონდი 1448. საბუთი 5323.

⁷ საქართველოს მეცნიერებათა აკად. ხელნაწ. ინსტ. Hd კოლექციის საბუთი 2221.

⁸ „დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან,“ ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. 1950 წ. წიგ. II, გვ. 90.

⁹ დოკუმენტები საქ. სოციალური ისტორიიდან, წიგ. II, 1953 წ. გვ. 85.

¹⁰ ცენტრალური არქივი ფონდი 1448-ს 801.



ვანბეგი დავით ჩოლოყაშვილი არჩევს სხეულის დაზიანების საქმეს¹, ხოლო 1795 წელს ზურაბ ფურცელაძის არზას რეზოლუციას ადებს რა ერეკლე, საქმის გარჩევას ავალებს მდივანბეგ ემიკადას-სბაშს თეიმურაზს². 1781 წლის ერთი საბუთის მიხედვით ჯავახიშვილი გიორგი ბატონიშვილისადმი მირთმეულ არზაში სწერს: „დღეს დიამბეგ მზეჭაბუკთან ვიჩივლეო“³.

5. 1778 წლიდან ხშირად ერთსა და იმავე მდივანბეგებს ხან „საქართველოს მსაჯულთ შეკრებულების“ სახელით გამოაქვთ განაჩენი და ხან მდივანბეგების სასამართლოში შემავალ პირთა სახელით, ამასთანავე, ზოგჯერ „საქართველოს მსაჯულთ შეკრებულება“ ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეს იხილავს შედარებით მდივანბეგების სასამართლოსთან. მაგალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელთნაწერთა ინსტიტუტის კოლექციის №15 საბუთით, საქართველოს მსაჯულთ შეკრებულება იხილავს მაღალაშვილის საჩივარს ყმის დაბრუნების შესახებ; სასამართლოს შემადგენლობაში მოხსენებული ერთ-ერთი „მდივანბეგი“ ერთი თვის შემდეგ ხუთ სხვა მდივანბეგთან ერთად მდივანბეგთა სასამართლოს სახელით, ხიმშიაშვილი სულხანისა და მისი სახლიკაცების დავის საქმეზე იძლევა განაჩენს⁴, როგორც სჩანს „მდივანბეგი“ პირველ შემთხვევაში მსაჯულთ შეკრებულების სასამართლოს წევრია, მეორე შემთხვევაში კი მდივანბეგთა სასამართლოს წევრი.

1793 წლის 13 თებერვალს მსაჯულთ შეკრებულებას, რომლის შემადგენლო-

ბაში მდივანბეგი ნიკოლოზ აბაშიძე⁵ მოხსენებული, იხილავს იესე მორდალის ყმის, ფრიდონიშვილი ბერის და დიმიტრი მინბაშის კაცის — გიორგი ქართველის შვილს შორის სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით დავის საქმეს⁶. 1793 წლის თებერვალში მდივანბეგთა სასამართლო ხუთი მდივანბეგის შემადგენლობით (მათ შორის ნიკოლოზ აბაშიძე) იხილავს მორდალ გიორგის მიერ ნაზირ ბარამისათვის ჯოხის დარტყმით „თვალის ქვემოლ ქუთუთოს გაჭრასთან დაკავშირებით“ საქმეს. განაჩენში წერია: „რადგან მისის უმადლესობის კარის მოხელეა (ნაზირ ბარამი მ. კ.), ამის გამო სამართალმა დაუორკეცა“ გადასახდელი სისხლის რაოდენობა⁷. ამ ორი საქმიდანაც კარგად ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში საქართველოს მსაჯულთ შეკრებულება (მათ შორის მდივანბეგი ნიკოლოზ აბაშიძე) უფრო მცირე მნიშვნელობის საქმეს იხილავს, ვიდრე მდივანბეგთა სასამართლო იგივე მდივანბეგ ნიკოლოზის მონაწილეობით. (უკანასკნელ საქმეში „მისი უმადლესობის კარის მოხელე“ გვევლინება დაზარალებულად).

საბუთების მიხედვით სასამართლო საქმეებში მდივანბეგთა მონაწილეობის შესწავლამ დაგვანახა, რომ მსაჯულთ შეკრებულების მონაწილე მდივანბეგებიდან 15 მდივანბეგი ისეთია, რომლებიც იმავე პერიოდის მდივანბეგთა სასამართლოს შემადგენლობაშიც შედის და ერთპიროვნულად არჩევს საქმეებს.

6. „საჯულვილებაში“ — აღნიშნულია ის გარემოება, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სასა-

¹ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. ხელთნაწერთა ინსტიტუტი, Hd კოლექციის ს. 2830.

² საქართველოს ცენტრალური არქივი, კ. კარბელაშვილის პირადი ფონდი, საბუთი 417.

³ „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, წიგ. II, გვ. 119.

⁴ საქართველოს სიძველენი, ტ. 3, გვ. 200.

⁵ ცენტრალური არქივი, ფონდი 443-ს 303.

⁶ საქართველოს სიძველენი, ტ. 3, გვ. 476.

მართლო ორგანოებში დიდი უწყესრიგობა იყო, საქმეებს მდივანბეგები თავთავიანთ სახლებში არჩევენო¹ და სხვა.

ესე ბარათაშვილიც აღნიშნავს, რომ საქმეებს სახლში ვბეჭდავდითო.²

მიუხედავად მეფე ერეკლეს 1778 წლის აპრილის ბრძანებისა, რომ „ყველა არზა და საჩივარი მდივანბეგებთან მივიდესო“, მდგომარეობა მაინც არ შეცვლილა. პროფ. ს. კაკაბაძე და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ლეკვეიშვილი ფიქრობენ, რომ ხსენებული ბრძანების მიზანი იყო მეფის განტვირთვა.³ ასეთი ვარაუდი სინამდვილეს არ შეეფერება, რადგანაც 1778 წლის შემდეგაც საჩივრების დიდი უმრავლესობა მეფესთან მიდის, რომელიც თავის შეხედულებისამებრ ანაწილებს ამ საქმეებს.

ჩვენს მიერ შესწავლილი საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებაში გაერთიანებული მდივანბეგების მიერ გარჩეული საქმეების 60 პროცენტი ამ სასამართლოში შესულია მეფის ან მისი ოჯახის წევრების ბრძანებით, ამ მხრივ 1778 წლის წინა პერიოდში და შემდეგაც რაიმე ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

როგორც ჩანს, მეფეს მოუწადინებია საჩივრების შეტანის საკითხის მოგვარება იმ მხრივ, რომ საჩივრები დაინტერესებულ პირს სასამართლოში შეეტანა უშუალოდ, ხსენებულ ბრძანების გამოცემამდე კი დაინტერესებულ პირს შეეძლო საჩივარი ან მეფესთან აღეძრა ან კიდევ მდივანბეგთან. არსებული წესიდან მეფეს ბრძანებით იმ ცვლილებების შეტანა მოუხდომებია, რომ საჩივრების შეტანა უშუალოდ სა-

სამართლოში მომხდარიყო, მაგრამ ეს ღონისძიება პრაქტიკულად ვერ გაუტარებია.

8. „საქართველოს მსაჯულთ შეკრებულების“ დაწესებით რომ არსებით ხასიათის ცვლილებას ადგილი არ ქონია, ამას ადასტურებს ისიც, რომ ძნელდება ამ დაწესებულების კომპეტენციის განსაზღვრა, ზოგჯერ ამ სასამართლოში იხილება რთული სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეები, ზოგჯერ კი მსუბუქი, ნაკლებად მძიმე საქმე.

ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ ვინ არჩევს საქმეს: მდივანბეგები, რომლებსაც ერთ შემთხვევაში მსაჯულთ შეკრებულების სახელით გამოაქვთ განაჩენი, ხოლო მეორე შემთხვევაში მდივანბეგთა სასამართლოს სახელით. საკითხის საბოლოოდ გადაჭრას ართულებს პირველადი საბუთის შესწავლა. ჯერჯერობით არ არის საკმარისი მასალა გამოქვეყნებული და შესწავლილი, რომლის მიხედვით ყოველმხრივ იქნებოდა გამორკვეული სასამართლოს შემადგენლობა, მისი სამოქმედო ტერიტორია, კომპეტენცია და სხვა.

9. ესე ბარათაშვილი 1778 წლამდეც იყო მდივანბეგი. (1777 წელს მიიღო ეს სახელი) თავის „ანდერძში“ იგი არ აღნიშნავს, რომ 1778 წლიდან გაიზარდა მისი უფლება-მოვალეობა (მსაჯულთ შეკრებულებაში შესვლასთან დაკავშირებით), ან კიდევ რაიმე მხრივ შეიცვალა მისი კომპეტენცია.

საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებაზე არაფერს წერენ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ პირველ წლებში რუსეთის იმპერიის მთავრობისადმი მიმართულ თავიანთ განცხადებაში მსაჯულთ

¹ საქართველოს სსრ მეცნიერებეთა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H ს. 2162, „სამოქალაქო სჯულთღებება სხვა და სხვა საგანთა შეკრებულება 51“.

² ესე ბარათაშვილი „ცხოვრება ანდერძი“, ა. იოსელიანის გამოცემა, 2. 1950 წ. გვ. 107

³ ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ჯანალი საუკუნის ეპოქა 1922 წ. გვ. 219 მ. ლეკვეიშვილის წინათ დასახელებული სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 30—78.

5. საბჭოთა სამართალი № 4.

შეკრებულების წევრი მდივანბეგები: იოანე ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზ ციცი-შვილი, და ბეჟან ერისთავი;¹ მსაჯულთ შეკრებულების დაწესებას რომ დიდი მნიშვნელობა ქონდა, ამას ხსენებული მდივანბეგები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ თავიანთი მდგომარეობის ასამაღლებლად.

10. დავით ბატონიშვილი თავის ვრცელ მიმოხილვაში კონკრეტულად ჩერდება ქართლ-კახეთის სამეფოში არსებულ სასამართლო ინსტიტუტებზე, მაგრამ არსად არ ასახელებს „საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებას“, უფრო მეტიც: არავითარ ცნობას არ გვაწვდის სასამართლო ორგანიზაციაში ჩატარებულ რაიმე რეფორმის შესახებ. და რომ ასეთი ყოფილიყო, განა ამას დამალავდა რუსი მკითხველისათვის განკუთვნილ შრომაში თავის სამშობლოს აკვარგინობაზე გულდამწვარი უფლისწული?

11. ცენტრალური არქივის 1448 ფონდის №352 საბუთში, რომელიც 1763 წლითაა დათარიღებული, ვკითხულობთ: სახლკაცების მამულსა და გაყრაზე დავის საქმეს იხილავს: ერეკლე, საქართველოს მსაჯულნი, ქართლისა და კახეთის მდივანბეგნი და მდივანნი ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში მოხსენიებული „საქართველოს მსაჯულნი“ წინამორბედა „საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებისა“. 1727 წელს ერთ ნასყიდობის წიგნში მდივანბეგი მრასტი ორბელიანი მოხსენებულია „საქართველოს მსაჯულად“.²

12. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი თავის შრომაში „საქართველოს სამართლის ისტორიის 1 წიგნის II თავის მე-6 პარაგრაფში ცალკე განიხილავს საკითხს ერეკლე მეფესა და ვიორგი XXII-ის დროის სახელმწიფო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის

ძეგლების შესახებ, ის ასევე ცალკე ეხება სასამართლო ორგანიზაციისა და სასამართლო წარმოების საკითხებს, მაგრამ 1778 წლის ჩატარებულ ღონისძიებაზე არც კი ჩერდება, არც კი იხსენიებს.³

13. ვერ გავიზიარებთ პროფ. შ. მესხიას მოსაზრებას იმის შესახებაც, რომ ერეკლე მეფის მიერ გატარებული სასამართლო რეფორმის შედეგი უნდა იყოს XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან მდივანბეგთა რიცხვის ზრდა⁴.

პირველადი საბუთების შესწავლით დასტურდება, რომ XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის სულ 17 მდივანბეგიდან ზუთი მდივანბეგი (იესე ამილახვრიშვილი, ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, მუხეჟაბუკ ორბელიანი, თეიმურაზ ციციშვილი და იესე ბარათაშვილი) მდივანბეგებად იყვნენ 1778 წლამდის, 9 მდივანბეგი მხოლოდ 1781 წლის შემდგომ საბუთებში იხსენიება, ე. ი. 1778-1781 წლებში მხოლოდ სამი მდივანბეგი მომატებულა, რაც არ გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ერეკლე მეფის დროს მდივანბეგთა რიცხვის გაზრდა 17 კაცამდის „შედეგი იყოს 1778 წლის სასამართლო რეფორმის, რომ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ სწორედ 1778-1781 წ. წ. უნდა მომხდარიყო მდივანბეგთა რიცხვის რაოდენობრივი ზრდა.

14. დასავლეთი საქართველო, რომელიც მალე ითვისებდა აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლო ინსტიტუტებს, არ ადასტურებს მსაჯულთ შეკრებულების არსებობას⁵. ყველა ამის გამო, 1778 წლის აპრილის ბრძანება არ მიგვაჩნია სასამართლო ორგანიზაციაში ჩატარებულ რეფორმად.

დასკვნა:

ა) თავის ანდერძში იესე ბარათაშვილი არსად არ იხსენიებს და არც გუ-

¹ შ. მესხია, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1 ნაკვეთი 1948 წ. საბუთები: 61, 63, 65.

² „საქართველოს სიძველენი“, ტ. I, გვ. 427.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, 1929 წ. 484-502.

⁴ შ. მესხია, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 5. I, 1948 წ., გვ. 29

ლისხმობს საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებას, მით უმეტეს იგი მას არ უკავშირებს 1778 წლის აპრილის თვის ერეკლეს ბრძანებას. მსაჯულთ შეკრებულების წინამორბედი „საქართველოს მსაჯული“ და „საქართველოს მოსამართლე“.

ბ) 1778 წლის აპრილის თვეში არ მომხდარა სასამართლოს რეფორმა, რომლის თვალსაჩინო ნიშნებს 1760—61 წელს ჩატარებული საკანონმდებლო მუშაობა უფრო ატარებს, რომელმაც აპ. როგავას აზრით წარმოშვა „მდივანბეგთა შეკრებულება“.

გ) საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებათა გაჩენა არ მოასწავებს სასამართლო რეფორმას, რადგან იგი არ არის ახალი, წინად არსებულთაგან რადიკალურად განსხვავებული სასამართლო ინსტიტუტი.

დ) 1778 წლის აპრილის თვეში ჩვენამდის მოუღწეველი (ან აღმოუჩენელი) ერეკლე მეფის ბრძანება გულისხმობდა გარკვეული წესრიგის შეტანას არზა-საჩივრების კუთვნილებისამებრ უშუალოდ მომჩივანისაგან შეტანის საქმეში, რაც 1778 წლის წინა პერიოდისათვისაც არ იყო უცხო, ამ ბრძანებას არავითარი კავშირი არ აქვს „საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებასთან“.

ე) ჩვენის აზრით, სასამართლო რეფორმის მოხდენის საწინდარი იყო ის დიდი და მაღალკვალიფიციური საკანონმდებლო მუშაობა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოში მიმდინარეობდა მისი რუსეთთან შეერთების წინ. ამ მუშა-

ობამ გამოხატულება პოვა დავით ბატონის, იოანე ბატონიშვილის და უცნობი ავტორის „სამოქალაქო მსაჯულ-ვილები“ კანონ-პროექტებში.

ჩვენი მიზანი იყო დავგემტიციება, რომ „მსაჯულთ შეკრებულების“ დაწესებით სასამართლო ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი სიახლე არ შეტანილა.

ამასთანავე, ჩვენ არ შევხებვართ საკითხს იმის შესახებ, თუ რა დაწესებულება შეცვალა „მსაჯულთ-შეკრებულებამ“, ან შეცვალა თუ არა მან საერთოდ რომელიმე დაწესებულება. ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია. უნდა ვიფიქროთ, რომ მდივანხანა ანუ მდინებეგების სასამართლო „მსაჯულთ შეკრებულებით“ შეიცვალა; მაგრამ შეიძლება აგრეთვე დაუშვათ, როგორც ეს ზემოთ არის დასაბუთებული, „მსაჯულთ შეკრებულების“ დაწესების შემდეგაც მდივანბეგთა სასამართლოს არსებობა. ორივე შემთხვევაში ჩვენი დებულება სწორია:

1. თუ „მსაჯულთ შეკრებულებამ“ შეცვალა დივანხანა, ახალ დაწესებულებას ძველთან შედარებით რაიმე სიახლე არ ახასიათებს.

2. თუ ორთავე დაწესებულება პარალელურად არსებობდნენ, მათი კომბინაციები არსებითად არ იყო განსხვავებული. ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა: 1778 წლის აპრილის ბრძანებას ვერ დავუკავშირებთ ქართლ-კახეთის სამეფოს სასამართლო ორგანიზაციაში რაიმე მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილებებს.

¹ თ. ენუქიძე, მასალები ვახტანგ VI სამართლის წიგნის გავრცელების შესახებ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე I, 1959 წ. გვ. 201—215)

მართლმსაჯულების განხორციელება ახალი კომუნისტური ღონისძიებით

მ. ტაბიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები აკისრია სასამართლო ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას სსრ კავშირში, იცავენ საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომით, საბინაო, ქონებრივ და სხვა უფლებებს ყოველგვარი ხელყოფისაგან.

საქართველოს სსრ-ში მართლმსაჯულებას ახორციელებენ სახალხო სასამართლოები, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, ავტონომიური ოლქის სასამართლო და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო. ამოცანა, რომელიც ამჟამად სასამართლო ორგანოების პრაქტიკული მუშაკების წინაშე დგას, იმაში მდგომარეობს, რომ გულდასმით შეისწავლონ და სწორად გაიგონ სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობა, რომელშიც მოცემულია ახალი ნორმები, როგორც დამნაშავეთა მიმართ სასჯელის განსაზღვრის, აგრეთვე სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეთა უფლებების შესახებ. კანონით ფართოდ არის დაშვებული დამნაშავეთა მიმართ პირობითი მსჯავრის დადებისა და ხელახალი აღზრდისათვის მათი მშრომელთა კოლექტივებზე გადაცემის შესაძლებლობა.

სასამართლო ორგანოებმა კანონის მთელი სისასტიკით უნდა იბრძოლონ

რეციდივისტების, საზოგადოებრივად საშიში დანაშაულის ჩამდენი პირების წინააღმდეგ. უნდა გვახსოვდეს, რომ მკვლევები, სახელმწიფო და საზოგადო ქონების დიდი რაოდენობით დამტაცებლები, რეციდივისტები, თაღლითები, თვალის ამხვევი და საზოგადოებრივად საშიში დამნაშავეები არავითარ დანდობას არ იმსახურებენ.

სამწუხაროდ, სასამართლოები ზოგჯერ უშვებენ შეცდომებს პირობითი მსჯავრის შეფარდებისა და კოლექტივებზე დამნაშავის თავდებქვეშ გადაცემის დროს, მაგალითად: ნ. დვალიშვილი არავითარ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობას არ ეწეოდა. არაერთხელ იყო შემჩნეული საზოგადოებრივ თავშესაყარ ადგილებში თავაწყვეტილ ხულიგნობასა და დებოშის ატეხვაში, რისთვისაც ორჯერ იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ყოველივე აქედან ნ. დვალიშვილმა სათანადო დასჯენები ვერ გამოიტანა და სასჯელის მოხდის პერიოდში კვლავ ჩაიდინა თავაწყვეტილი ხულიგნობა. მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა, სრულიად უმიზეზოდ, უცენზურო სიტყვებით ავინა მოქალაქეებს, ხოლო ერთ-ერთ მოქალაქეს სხეულის ნაკლებად მძიმე ხასიათის დაზიანებაც კი მიაყენა.

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. დვალიშვილს სსკ 75 მუხლის მეორე ნაწილით შეუფარდა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მიუმა-

ტა წინათ მისჯილი და მოუხდელი ერთი წელი და საბოლოოდ მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 50 მუხლის საფუძველზე შეუცვალა პირობითი მსჯავრით და აღსაზრდელად გადასცა „უბნის მოსახლეობას“(!?).

აუცილებელია სასამართლოებმა დამნაშავეთა მიმართ პირობითი მსჯავრის შეფარდების, თავდებქვეშ აღსაზრდელად კოლექტივებზე გადაცემის და პირობით ვადამდე მსჯავრდებულის განთავისუფლების დროს გაითვალისწინონ მონაცემები როგორც დამნაშავეს პიროვნების შესახებ, აგრეთვე ჩადენილი დანაშაულის კონკრეტული ხასიათი.

დანაშაულებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ უნდა დავრახმოთ მთელი საზოგადოებრიობა, მშრომელთა კოლექტივებმა რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვონ არცერთი დარღვევა. აუცილებელია მივალწიოთ დამნაშავეებთან ბრძოლის გაძლიერებას.

სისხლის სამართლის ახალ კოდექსში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი მცირემნიშვნელოვანი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან პირის განთავისუფლებას, საქმის ამხანაგურ სასამართლოებში გადაცემას.

ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა წარმართულ უნდა იქნას იქითკენ, რომ თავიდან ავიცილოთ კანონის დარღვევა და დანაშაული, რასაც ზიანი მოაქვს საზოგადოებრიობისათვის, აღუზარდოთ ადამიანები დარწმუნებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების გზით.

სახალხო სასამართლოების მოვალეობაა პრაქტიკულად დაეხმარონ ამხანაგურ სასამართლოებს მუშაობაში, განუმარტონ სხდომების მომზადებისა და ჩატარების წესები. სასამართლო დოკუმენტების გაფორმების საკითხები და სხვა.

სახალხო სასამართლოების წინაშე ამ-

ჟამად დგას სერიოზული ამოცანა, ვერ დაქმნას მთელი მუშაობა დანაშაულის წინააღმდეგ პროფილაქტიკური და აღმზრდელიობითი ღონისძიების გატარების გზით. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პროცესების ჩატარებას საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, პრესისა და რადიოს მეშვეობით ფართოდ გააშუქონ განაჩენები ისეთ საქმეებზე, რომლებსაც მოსახლეობისათვის აღმზრდელიობითი მნიშვნელობა აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო სასამართლოები ჯერ კიდევ არ უთმობენ საჭირო ყურადღებას ამ საქმეს. 1960 წელს რესპუბლიკაში განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა მხოლოდ 8,5 პროცენტია დამთავრებული გასვლითი პროცესის ჩატარებით, პრესაში კი გამოქვეყნებულია სულ 361 წერილი, რაც არა საკმარისია.

დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველის მონაწილეობას პროცესში. პროცესის ამ ახალ მონაწილეებს ფართო უფლებები აქვს მიცემული, რაც განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 251 მუხლით.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი და დამცველი თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილებით და ცოდნით ეხმარებიან სასამართლოს საქმის ყველა გარემოების შესწავლასა და მოვლენების სწორად შეფასებაში, რაც ობიექტიურ პირობებს ქმნის, რომ დამნაშავე მართებულად დაისაჯოს, ხოლო უდანაშაულო არ იქნეს დასჯილი.

1960 წელს სამსჯავრო პროცესში მონაწილეობა მიიღო სულ 435 საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა და დამცველმა, რაც აშკარად ლაპარაკობს იმაზე, რომ ეს მნიშვნელოვანი საშუალება-



ნი ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად ხდება მისი გამოვლინება და საქმის განხილვა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობამ ზუსტად განსაზღვრა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მოქმედების მოცულობა. მას შემდეგ რაც გამოვლინებულია დანაშაული და სახეზე არის დამნაშავე, მიღებული უნდა იქნას ქმედითი ღონისძიება საქმის დროულად დამთავრების, როგორც საგამომძიებლო ორგანოებში, აგრეთვე სასამართლოებში.

სისხლის სამართლის კანონით განსაზღვრული დრო შეიძლება დაცული იქნას, როგორც გამოძიების, ისე სასამართლოების მიერ, თუ საქმეზე გამოძიება წარიმართება სრულყოფილად და საგამომძიებლო ნორმები დაცული იქნება, რაც სამწუხაროდ ყოველთვის როდი სრულდება. აი ზოგიერთი მონაცემი:

1960 წელს საქმეთა 5,5 პროცენტი სასამართლოებმა დაუბრუნა პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის, რასაც საქმეთა განხილვის გაჭიანურება მოყვა. მსგავსი დარღვევები დაშვებულია აგრეთვე სახალხო სასამართლოების მიერ, სამსჯავრო სხდომებზე საქმეთა უხარისხოდ გამოძიებისა და არასწორი განაჩენების გამოტანის გამო.

1960 წელს საკასაციო წესით გასაჩივრებულ და გაპროტესტებულ განაჩენებიდან გაუქმდა ყველა განაჩენის 11,3 პროცენტი. გარდა ამისა, 1960 წელს არსებითად დამთავრებულ სისხლის სამართლის საქმეთა 10,6 პროცენტი განხილულია ვადის დარღვევით.

სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის გაჭიანურების მაგალითს წარმოადგენს არუთინოვის ბრალდების საქმე, რომელიც პასუხისგებაში მიცე-

მულია სსკ 151 მუხლის 1 ნაწილით საქმე მიღებულ იქნა საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლოში 1960 წლის 14 მარტს.

არუთინოვის აღნიშნული ბრალდების საქმე 9-ჯერ დაინიშნა სამსჯავრო სხდომაზე. სხდომაზე დაბარებული იყო სამართალში მიცემული და მოწმეები. სამჯერ გამოტანილი იქნა განაჩენი, აქედან ორი გაუქმებული იქნა სასჯელის სიმსუბუქის გამო. საქმის განხილვას სხვადასხვა დროს აწარმოებდა სამი რაიონის 5 მოსამართლე და გაჭიანურდა 11 თვეს და 10 დღეს. გასაგებია ასეთი სამსჯავრო სხდომები და განაჩენები ეფექტს უკარგავს და ასუსტებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

როგორც ცნობილია დანაშაულის ჩადენის გამო დიდი ზარალი ადგება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სარგებლობენ რა თანამდებობრივი მდგომარეობით, დამნაშავენი დიდი რაოდენობით იტაცებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას. სახელმწიფო ქონების გამფლანგველები, ქურდები და სხვა პირები წინასწარ იღებენ ზომებს, რათა გადამალონ დატაცებული ნივთები. წინასწარი გამოძიების და მოკვლევის ორგანოებმა, აგრეთვე სასამართლოებმა დროულად უნდა მიიღონ ზომები სამოქალაქო სარჩელის ან ქონების შესაძლო კონფისკაციის უზრუნველსაყოფად. ზუსტად შეასრულონ კანონის მოთხოვნა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

იმის გამო, რომ საგამომძიებლო ორგანოების მიერ დღემდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ამ საკითხს, სერიოზული დაბრკოლებები იქმნებოდა განაჩენების აღსრულების დროს. 1960 წელს გაფლანგვა-დატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად წინასწარი გამოძიების მიერ ქონებაზე ყადაღა დაედო ამოსაღები თანხების მხო-

ლოდ 24,2 პროცენტს. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე მიყენებული ზარალის ანაზღაურება 1960 წელს 9,6 პროცენტით არის შესრულებული. ეს სერიოზული ნაკლი დროულად უნდა გამოსწორდეს.

სისხლის სამართლის ახალ კანონმდებლობასთან დაკავშირებით სასამართლო ორგანოების მუშაობის გარდაქმნამ გამოხატულება პოვა სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებაში. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გაგვაჩნია სასამართლო ორგანოებს აგრეთვე სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისას. ადგილი აქვს საქმეთა განხილვის გაჭიანურების დაუშვებელ ფაქტებს, გადაწყვეტილებები ზოგჯერ იწერება დაუდევრად, ზერელედ.

1960 წელს საკასაციო წესით გასაჩივრებული და გაპროტესტებული გადაწყვეტილებებიდან გაუქმდა გადაწყვეტილებების 23,3 პროცენტი.

საქმეთა განხილვის გაჭიანურების კუროზულ ფაქტს ჰქონდა ადგილი ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოში.

1959 წლის 10 ოქტომბერს სახალხო სასამართლოს სარჩელით მიმართა მოქ. ხაჩვანციანმა, რომელიც მოითხოვდა ამიერკავკასიის რკინიგზის ორგანიზაციებისაგან სახლისა და ნარგავების ღირებულების ანაზღაურებას. ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ 6-ჯერ გადადო ხაჩვანციანის საქმე სხდომიდან და 16 თვის შემდეგ დაადგინა საქმის სხვა სასამართლოზე გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ დაავალა ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლოს უახლოეს დროში დაამთავროს საქმის განხილვა.

დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პროცესების მომზადებასა და ჩატარებას, დასაბუთებული განაჩენებისა

და გადაწყვეტილებების გამოტანას. ეხებოდა, რა სასამართლო-პროცესის მნიშვნელობას, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მ. ი. კალინინი წერდა — „სასამართლო პროცესი ეს არის საუკეთესო კონკრეტული აგიტაცია... როდესაც გამოაქვთ სასამართლოს ესა თუ ის გადაწყვეტილება, მნიშვნელოვანი მარტო ის როდია, რომ იგი მხოლოდ კანონის შესაბამისად იყოს, არამედ მნიშვნელოვანია, რათა დამსწრე აუდიტორია შინაგანი რწმენით ეთანხმებოდეს განაჩენს და ამბობდეს: სასამართლომ სწორად დაადგინა. ესაა მუდმივი აგიტაცია“.


სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო დოკუმენტების გაფორმების ხარისხს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამომწურავად არის მოცემული სასამართლო დოკუმენტების — ოქმის და განაჩენის გაფორმების წესი.

სასამართლო ორგანოებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სასამართლო დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებას, რაც ხელს შეუწყობს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სტაბილობას.

იუსტიციის სამინისტროს გაუქმების შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი და ოლქის სასამართლოების უფლებები, რომლებსაც დაევალა განახორციელონ კონტროლი სახალხო სასამართლოების საქმიანობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან შეიქმნა პრეზიდიუმი და პლენუმი, რომლებიც საქმეებს განიხილავს სასამართლო ზედამხედველობითი წესით. პრეზიდიუმი შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქის სასამართლოებთანაც. საუბნო სასამართ-



ლოების ნაცვლად შექმნილია ერთიანი რაიონული სახალხო სასამართლოები.

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის სისხლის სამართლის კოდექსის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებასა და სამოქმედოთ შემოღებასთან დაკავშირებით ამჟამად დიდო ამოცანები დგას საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წინაშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ხელმძღვანელებს მართლმსაჯულების გატარებას რესპუბლიკაში, მაგრამ ძირითადი, პირველადი რგოლი მართლმსაჯულების განხორციელებაში სახალხო სასამართლოებია, ამდენად სახალხო სასამართლოების სწორად და გამართულ მუშაობაზე დამოკიდებული კანონიერების დაცვისა და განმტკიცების საქმე.

მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების საქმიანობა წარმართულ იქნას დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, განმტკიცდეს სოციალისტური კანონიერების გატარება სახალხო სასამართლოების მიერ და ამაღლდეს სახალხო სასამართლოების მუშაობის დონე.

დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მოსამართლეთა სემინარების მოწყობას, მუშაობის ურთიერთ გამოცდილების გაზიარების მიზნით სემინარულ მუშაობა-

ზე მოწინავე სახალხო მოსამართლეთა ინფორმაციების მოსმენას და სხვა.

1960 წლის დეკემბრის თვეში ჩატარდა სახალხო სასამართლოებისა და მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნები. ამ თანამდებობაზე პირველად იქნა არჩეული ახალგაზრდა კადრები. მათთვის სათანადო პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სახალხო მსაჯულებთან მუშაობას. გასულ წელს სახალხო მსაჯულებად არჩეულ იქნა 10.080 კაცი. სახალხო მსაჯულებად არჩეული არიან სახალხო მეურნეობის მოწინავე მუშეები, კოლმეურნეები და ინტელიგენციის წარმომადგენელი.

სახალხო მსაჯულებს შორის პირველად არჩეულია წარმოების ბევრი მუშაკი და ახალგაზრდა, ამიტომ საჭიროა მათთან სისტემატურად ჩატარდეს საუბრები და მეცადინეობა საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე, მსაჯულის უფლება-მოვალეობაზე, სახალხო მოსამართლეებმა კარგად უნდა დაგვემონ და წარმართონ ეს მუშაობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მთელი საქმიანობა წარმართულია იქითკენ, რათა რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა ღირსეულად შეასრულონ მათ წინაშე მდგომი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა, მიაღწიონ სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.



სახალხო სასამართლოების სისტემა და მსჯელობა უფლები-მოქალაქეობანი

ა. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი

სასამართლო ორგანოები საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც იცავს საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, სოციალისტურ საკუთრებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ და ქონებრივ უფლებებსა და ინტერესებს.

სასამართლოების საქმიანობაში საზოგადოებრიობის, მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეა.

სკკბ XXI ყრილობის დირექტივებისა და მითითებების საფუძველზე უკანასკნელ ხანებში მიღებულ იქნა დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები სასამართლო ორგანოების-სისტემის რეორგანიზაციისა და მისი მუშაობის დემოკრატიული პრინციპების შემდგომი გაფართოებისათვის.

1958 წლის 22—25 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლები.

სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების მიხედვით და მუშავდა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე მოწვევის მესამე სესიაზე 1960 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ.

სასამართლო წყობილების ახალი კანონით შენარჩუნებულია ყველა ის დემოკრატიული პრინციპი, რაც მოცემული იყო სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონში, რომელიც მიღებულ იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის 16 აგვისტოს, ამასთან, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ეს პრინციპები და უფლებები ადგილობრივი პარტიების გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1956 წლის 3 აგვისტოს სსრ კავშირში პირველმა მიიღო კანონი საუბნო სახალხო სასამართლოების სისტემის გაუქმების, რაიონისა და ქალაქის ერთიანი სახალხო სასამართლოების ჩამოყალიბების შესახებ.

ერთიანი სახალხო სასამართლოების არსებობამ ჩქარა დაანახვა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებსაც თავისი უპირატესობა, ამიტომ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლებით ხოლო შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონით შეიქმნა და ამჟამად მოქმედებენ ერთიანი რაიონული და საქალაქო სასამართლოები, წინააღმდეგობის საუბნო სასამართლოების ნაცვლად.

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 23-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ყველა რაიონში ან ქალაქში, რომელსაც არ აქვს რაიონული დაყოფა, შეიქმნება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო“.

რაიონული და საქალაქო სახალხო სასამართლოების სისტემის შემოღებას-

თან დაკავშირებით, საფუძვლიანად გადაამუშავდა სასამართლოების არჩევნების დებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 28 ოქტომბერს დაამტკიცა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულება.

დებულებით არსებითად შეიცვალა სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების წინათ არსებული სისტემა.

საუბნო სახალხო სასამართლოების არსებობის დროს, მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების არჩევნები წარმოებდა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის, უბნის მოსახლეობის მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭის ყრით. ამჟამად ეს წესი შენარჩუნებულია მხოლოდ სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის იმ განსხვავებით, რომ მოსამართლეებს ირჩევს რაიონის (ქალაქის) ყველა მოქალაქე. რომლებსაც არჩევნების მომენტისათვის შეუსრულდა 18 წელი.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა საერთო კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ჯარის ნაწილებში — სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ღია კენჭის ყრით.

გარდა ამისა, წინათ სახალხო სასამართლოები (მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები) ირჩეოდნენ 3 წლის ვადით, ამჟამად სასამართლო წყობილების კანონის 24-ე მუხლით დადგენილია, რომ სახალხო მოსამართლეები აირჩევიან 5 წლის ვადით, ხოლო სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულები 2 წლით.

სახალხო მსაჯულების უფლებამოსილების შემოკლებული ვადები საგრძნობლად აფართოებს მშრომელთა მასების მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონით საგრძნობლად შეიცვალა მოთხოვნები, რომელიც წარედგინება სახალხო მოსამართლისა და მსაჯულის კანდიდატს. თუ წინათ სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლებოდა არჩეულიყო სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც ჰქონდა საარჩევნო უფლება და არჩევნების დღისათვის ასაკი 23 წელი, ამჟამად მოქმედი კანონით მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეული იქნას საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი. გამონაკლისი ამ წესებში დაწესებულია მხოლოდ იმ სახალხო მსაჯულებისათვის, რომლებსაც საბჭოთა არმიის რიგებში ირჩევენ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციით თავისუფლდებიან 22—23 წლის ასაკის ახალგაზრდები. ამის გამო ისინი მოკლებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მართლმსაჯულების განხორციელებისა და არმიაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით მთლიანად არის გათვალისწინებული ეს სპეციფიურობა და დაწესებულია, რომ სამხედრო ტრიბუნალების სახალხო მსაჯულებად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის მოქალაქეები, რომლებიც ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფებიან, წლოვანების მიუხედავად. ამით მიღწეულია, რომ სახალხო მსაჯულებად სამხედრო ნაწილებში არჩეულ იქნან რიგითი ჯარისკაცები და ზემდეგები.

სახალხო მსაჯულები და სახალხო მოსამართლეები მართლმსაჯულების განხორციელების დროს სარგებლობენ თანასწორი უფლებებით.

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის მე-17 მუხლი აწესებს: „სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს სახალხო მსაჯულები სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებებით“.

სახალხო მსაჯულების მიერ ამ უფლების განხორციელება წარმოებს სამსჯავრო სხდომაზე სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისას. იმისათვის, რომ სახალხო მსაჯულები აქტიურად მონაწილეობდნენ კონკრეტულ საქმეთა განხილვაში, საჭიროა სასამართლოში წინასწარ იყოს შედგენილი გეგმა, რომლითაც განსაზღვრული იქნება სახალხო მსაჯულთა სასამართლოში მოწვევის დრო. სასამართლოში მოწვევის ვადა წინასწარ უნდა ეცნობოს მსაჯულს და იმ ორგანიზაციას, სადაც აირჩიეს მსაჯული. ეს ხელს შეუწყობს მსაჯულის თავის დროზე გამოცხადებას სახალხო სასამართლოში, სხდომამდე განსახილველად დანიშნული საქმეების გაცნობას, აქტიურს გახდის მსაჯულის მონაწილეობას კანონიერი განაჩენის, გადაწყვეტილებისა და განჩინების დადგენაში.

სახალხო მსაჯულები მოიწვევიან სახალხო სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესასრულებლად მორიგეობის წესით, არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ვადის გაგრძელება საჭიროა მათი მონაწილეობით დაწყებული საქმის დასამთავრებლად.

სახალხო მსაჯულებს ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ მთელი პასუხისმგებლობით შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა. სახალხო მსაჯულებს მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვიდან ენახებათ ხელფასი სამუშაო ადგილზე სასამართლოში მისი მოვალეობის შესრულების დროის განმავლობაში, ხოლო იმ მსაჯულებს, რომლებიც მუშები და მოსამსახურეები არ არიან, სასამართლოში მათი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით აღნაზღაურდებათ ხარჯები, რომლის ოდენობას ადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სახალხო მსაჯულები მონაწილეობენ სახალხო სასამართლოში ყველა სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვაში, აგრეთვე მეორე ინსტანციის სასამართლოში, როდესაც ეს სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს მათ ქვემდებარე საქმეებს.

ყოველი საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ წარმოებს სათათბირო ოთახში და წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით. საქმის განხილვაში მონაწილე არცერთ მოსამართლეს არ აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.


განაჩენს, გადაწყვეტილებას, განჩინებას ხელი უნდა მოაწეროს ყველა მოსამართლემ, ვინც მონაწილეობდა მის დადგენაში.

სასამართლოს თავმჯდომარე ან სახალხო მსაჯული შეიძლება არ დაეთანხმოს უმრავლესობის გადაწყვეტილებას და დარჩეს განსაკუთრებულ აზრზე, ასეთ შემთხვევაში ამ მოსამართლის მიერ წერილობით უნდა იყოს ჩამოყალიბებული ეს აზრი და დაერთოს საქმეს. მაგრამ რომელიმე მოსამართლის განსაკუთრებულ აზრზე დარჩენა უფლებას არ აძლევს ამ პირს უარი განაცხადოს ხელი მოაწეროს განაჩენს, გადაწყვეტილებას ან განჩინებას. ის ვალდებულია დაემორჩილოს უმრავლესობის გადაწყვეტილებას. ერთ-ერთი მოსამართლის კერძო აზრი ერთვის რა საქმეს, გადაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს საკასაციო საჩივართან ერთად, ან როდესაც განაჩენი ან გადაწყვეტილება კანონიერ

ძალაში შევა კერძო აზრის საფუძვლიანობა შემოწმდება ზედამხედველობითი წესით.

1960 წლის 19 დეკემბერს საქართველოს სსრ სასამართლოების სახალხო მსაჯულად არჩეულ იქნა ათი ათასზე მეტი სახალხო მსაჯული. სახალხო მსაჯულებად არჩეული არიან მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები, რომლებმაც თავისი შრომით და ყოფაქცევით დაიმსახურეს არა მარტო იურიდიული, არამედ მორალური უფლებაც განსაჯონ სხვისი საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები.

სახალხო მსაჯულთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც პირველად არის არჩეული. სახალხო მოსამართლეების ამოცანაა სისტემატურად ჩაატარონ მეცადინეობა მათთან, გააცნონ მსაჯულებს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კანონები, ფართოდ განუმარტონ მათ ის თავისუფლებები და მოვალეობანი, რაც კანონით აქვთ მსაჯულებს მინიჭებული.



საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენეში

1961 წლის 31 მაისი

დ ა დ ე რ ი ა ტ ი ა № 1

მოიხმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ახმ. ს. ქაჯაიას მოხსენება „რესპუბლიკაში ნასამართლობის მდგომარეობის შესახებ 1960 წლის მეორე ნახევრისა და 1961 წლის 1-ლი კვარტალის მონაცემებით“, პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლო ორგანოების მიერ მოცემულ პერიოდში ჩატარებულია გარკვეული მუშაობა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, გაძლიერდა დასჯითი პრაქტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კატეგორიის საქმეებზე, გაუმჯობესდა სამსჯავრო გამოძიების ხარისხი და სხვა.

ამასთან ერთად, პლენუმი აღნიშნავს, რომ სასამართლოების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები, რის შედეგად რესპუბლიკაში არა თუ მცირდება დანაშაული, არამედ ადგილი აქვს ზრდის ტენდენციას.

1960 წლის მეორე ნახევარში ვადის დარღვევით განხილულ იქნა საქმეთა 13,4 პროცენტი, ხოლო მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში 16,1 პროცენტი.

1957 წლის 31 ივლისიდან 1960 წლის 27 აგვისტომდე ჭიანურდებოდა ასალიცხის სარაიონთაშორისო პროკურატურასა და ასპინძის რაიონის სახალხო სასამართლოში დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხების გამოვლანგველ ჯუღელის ბრალდების საქმის განხილვა. საქმე 4-ჯერ იქნა დაბრუნებული დამატებით გამოძიებაზე. საბოლოოდ კი ჯუღელს შეეფარდა ჩანადენთან შედარებით ღმობიერი სასჯელი (მოსამართლე გ. მათუშვი).
,

სამ თვეზე მეტი ჭიანურდებოდა ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოში გამოვლანგველ შარტავას ბრალდების საქმის განხილვა, 4-ჯერ ჩაიშალა პროცესი, მათ შორის სამჯერ ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო, მაგრამ სასამართლოს არც ერთხელ არ უმსჯელია შარტავას მიმართ აღმკვეთი ღონისძიებების — თავდებობის პატიმრობით შეცვლის შესახებ (ყოფ. სახ. მოსამართლე ბოკუჩავა).


ქალაქ თბილისის ოქტომბრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოში სპეკულანტ ბაწაშვილის ბრალდების საქმის განხილვა 4-ჯერ ჩაიშალა პროცესის მოუმზადებლობის გამო. მათ შორის ორჯერ ადვოკატის გამოუცხადებლობის მოტივით, მაგრამ მოსამართლე ახმ. ვ. კერესელიძეს არავითარი ზომები არ მიუღია ადვოკატის უღისციბლინობის შესახებ.

5 თვეზე მეტი ჭიანურდებოდა მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოში კიარიშვილის ბრალდების საქმის განხილვა. 9-ჯერ ჩაიშალა პროცესი მოუმზადებლობის გამო, ხოლო ამის შემდეგ საქმე დაბრუნებულ იქნა დამატებით გამოძიებაზე, მაშინ, როცა საქმის დამატებით გამოძიებაზე დაბრუნების მოტივი ცნობილი უნდა ყოფილიყო სახალხო სასამართლოსათვის მისი გამწესრიგებულ სხდომაზე განხილვის დროს (მოსამართლე მ. მამედოვი აღნიშნული დარღვევისათვის დასჯილ იქნა დისციპლინური კოლეგიის მიერ).

სისხლის სამართლის საქმეთა საბოლოოდ გადაწყვეტის გაჭიანურება ნაწილობრივ აიხსნება განჩინებებისა და განაჩენების დიდი ოდენობით გაუქმებით ზემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ.

თუ 1960 წლის მესამე კვარტალში გასაჩივრებულ განაჩენებიდან გაუქმება შეადგენდა 8,4 პროცენტს, ხოლო მეოთხე კვარტალში 7,9 პროცენტს, მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში გაუქმება შეადგენს 11,2 პროცენტს.

ვადების დარღვევას ადგილი აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატშიც, განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომლებიც ბრუნდება სახალხო სასამართლოებში ხელანალი განხილვისათვის, ან პროკურატურის ორგანოებში დამატებითი გამოძიებისათვის (გაფუას, ბაქრაძის, გიორგაძის, ნიუარაძის და სხვათა საქმეები).



ჯერ კიდევ ადგილი აქვს განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა მიმართ ლმობიერი განაჩენების გამოტანის ფაქტებს.

გასული წლის მეორე ნახევარში ვაფლანგვა-დატაცებისათვის მსჯავრდებულ პირთა 62,3 პროცენტს მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა. აქედან კანონით გათვალისწინებულ მინიმუმზე დაბალი სასჯელები შეეფარდა 68,5 პროცენტს. ანალოგიური მონაცემებია მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალშიც.

ბოროტი ხულიგნობისათვის გასული წლის მეორე ნახევარში და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მსჯავრდებულ პირთა მხოლოდ 2 პროცენტს აქვს მისჯილი კანონით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი.

1960 წლის მეორე ნახევარში სსკ 151 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით მსჯავრდებულ პირთაგან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 37,8 პროცენტს. აქედან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 58,2 პროცენტს. ასევე ლმობიერი სასჯელებია გამოტანილი სხვა მნიშვნელოვანი კატეგორიის საქმეებზეც.

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ ზუმბალაძეს უნებართვოდ ფინური დანის ტარებისა და მოქალაქის მძიმე დაჭრისათვის მიუსაჯა მხოლოდ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, ზუმბალაძე წარსულში 2-ჯერ იყო გასამართლებული ქურდობისა და ბოროტი ხულიგნობისათვის.

ქალაქ ფოთის სახალხო სასამართლომ ხურციას ბოროტი ხულიგნობისათვის. მიუსაჯა 18 თვე თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 50 მუხლის საფუძველზე ჩაუთვალა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადის დანიშვნით. ხურცია წარსულში ანალოგიური დანაშაულისათვის 2-ჯერაა გასამართლებული (მოსამართლე გ. გვილაგა). ხურციამ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, 1960 წლის ხუთ დეკემბერს ჩაიდინა უფრო საშიში დანაშაული, დანის ჩარტყმით სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა მოქ. პატარიძეს. ამჯერად მას მხოლოდ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა, ამასთან, სასამართლომ არ მიუმატა აღნიშნულ სასჯელს წინა განაჩენით პირობით დანიშნული სასჯელი, რითაც უნებშად იქნა დარღვეული სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 38-ე მუხლის მოთხოვნა (მოსამართლე გ. კუტალია).

ჯერ კიდევ აქვს ადგილი მოქალაქეთა უსაფუძვლოდ პასუხისგებაში მიცემისა და მათთვის მსჯავრის დადების ფაქტებს, არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოებს ჩადენილი დანაშაულის საწინააღმდეგო ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების მხედველობაში მიღების გარეშე გამოაქვთ მკაცრი სასჯელები.

ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე გ. მაისურაძე) განაჩენით სოვდაგაროვს სსკ 117 მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როცა დაზარალებულმა ჩალაბოვმა გამოძიებაში უარყო მისი ადრინდელი ჩვენებები და სამსჯავრო სხდომაზეც არ დადასტურა სოვდაგაროვის მიერ მისი გაუპატიურების ფაქტი. სხვა რამე მტკიცება ბრალდების დასადასტურებლად საქმეში არ არის.

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით მოქ. იუზბაშვი დაცხილი იქნა სსკ 104 მუხლით ქალაქის საფულეების დამზადებისათვის. მაშინ, როცა ქალაქის საფულეების დამზადება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 22 აპრილის დადგენილების თანახმად, აკრძალულ რეწვაში არ შედის (მოსამართლე კ. გოგონია).

კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით (მოსამართლე ნ. გვინიაშვილი) თ. მაჭარაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ მეზობლისათვის სხეულის მსუბუქი კატეგორიის დაზიანების მიყენებისათვის და მიესაჯა ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა. ამავე დროს იგი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე იყო პატიმრობაში, ეს მაშინ, როდესაც 1 თვით პატიმრობა კანონით არ არის გათვალისწინებული.

სასამართლოს მიერ უმნიშვნელო რაოდენობით იხილება საქმეები გამსვლელ სესიებზე. 1960 წლის მეორე ნახევარში განხილულია 503 საქმე, ხოლო მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში 267 საქმე.

გასული წლის მეორე ნახევარში არცერთი საქმე არ განუხილავს გამსვლელ სესიაზე გორის რაიონის სახალხო სასამართლოს, ხოლო მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში ქალაქ თბილისის კიროვის და ლენინის, გორის, ახმეტის, გურჯაანის, დმანისის, კასპის, საგარეჯოს, ტყიბულისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებს.

ახვევ არადამაკმაყოფილებელია საქმეთა განხილვა საზოგადოებრივი დამცველისა და საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობით.

1960 წლის მეორე ნახევარში არც ერთი საქმე არ განუხილავთ საზოგადოებრივი დამცველისა და საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობით ონის, სიღნაღის, ცხაკაიას, წულუკიძის და მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოებს, მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში კი ქალაქ თბილისის კიროვის და ლენინის, ქ. ფოთის, ახმეტის, გურჯაანის, დმანისის, ყვარლის, ხაშურის, საჩხერის, ტყიბულის და რესპუბლიკის სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებს.

ყოველკვარტალურად კლებულობს სახალხო მოსამართლეთა მიერ მოსახლეობაში ჩატარებულ ლექცია-საუბრების რიცხვი. ამ მხრივ ცუდი მაჩვენებლები აქვს ქალაქ თბილისის ოქტომბრის და კიროვის, მცხეთის, ჩხოროწყუს, ქ. ფოთის, კასპის, გორის, ჭიათურის, ხაშურის, საჩხერის და ტყიბულის რაიონების სახალხო მოსამართლეებს, რომელთაგანაც ზოგს არ ჩაუტარებია, ან მთელი კვარტალის განმავლობაში ჩატარებული აქვს მხოლოდ 1-3 ლექცია-საუბარი.

სახალხო მოსამართლეები მცირე რაოდენობით აქვეყნებენ უურნალ-გაზეთების ფურცლებზე წერილებს სამართლებრივ საკითხებზე. მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში ადგილობრივ გაზეთებში არცერთი წერილი არ გამოუქვეყნებიათ გურჯაანის, ფოთის, დმანისის, საგარეჯოს და სხვა რაიონის სახალხო მოსამართლეებს.

არადამაკმაყოფილებელია მოსამართლეთა მიერ ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშგებაც.

რესპუბლიკის მთელმა რიგმა სასამართლოებმა მიივიწყეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა კოლექტივის როლი იმ პირთა გამოსწორების საქმეში, რომელთაც ჩადენილი აქვთ მცირე ან შედარებით უმნიშვნელო დანაშაული.

1960 წლის 1-ლ კვარტალში გადაცემული იყო კოლექტივებზე ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის 428 პირი, მეორე კვარტალში 370; მესამეში — 273, მეოთხეში — 221, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 215 პირი.

მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში არცერთი პირი არ გადაუციათ კოლექტივებზე აღზრდისა და გამოსწორებისათვის ქ. ფოთის, ქ. ქუთაისის, ახალქალაქის, ბოლნისის, დუშეთის, თეთრიწყაროს, თიანეთის, მაიაკოვსკის, წყალტუბოს და რესპუბლიკის სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებს.

სასამართლო ორგანოების მუშაობაში ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების არსებობა ხელს უშლის ეფექტურ ბრძოლას დანაშაულთა წინააღმდეგ განსაკუთრებით ისეთი საშიში კატეგორიის დანაშაულთა წინააღმდეგ, როგორცაა: გაფლანგვა-მტაცებლობა, გაუპატიურება, ხულიგნობა, სხეულის დაზიანება, ავტოავარია და სხვ.

დანაშაულის ზრდას ადგილი აქვს ქალაქ თბილისის ორგონიკიძის და ლენინის, ქ. გორის, ახალქალაქის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, გორის, ცაგერისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

ზემომოყვანილი მონაცემები და ფაქტები დააპარაკოვნენ იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო ორგანოების მითითებებიდან და ჭერ კიდევ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა მათ წინაშე დასასული ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად.


გამომდინარე აღნიშნულიდან, პლენუმი ადგენს:

დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს და ყველა ქალაქისა და რაიონის სახალხო მოსამართლეებს:

ა) მიიღონ გადაწყვეტილი ზომები სისხლის სამართლის საქმეთა დაწესებულ ვადებში განხილვის უზრუნველსაყოფად და მომავალში არ დაუშვან მათი უსაფუძვლო გაჭიანურების არცერთი შემთხვევა.

ბ) სწორად წარმართონ დასჯითი პრაქტიკა რათა საშიშ დამნაშავეთა მიმართ არ იქნეს დამკვიდრებული ლმობიერი განაჩენების გამოტანა. ამასთან, საქმეთა განხილვის დროს ზუსტად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილებით და ის პირები, რომელთაც ჩადენილი აქვთ მცირე მნიშვნელობის ან საზოგადოებრივად ნაკლებად საშიში დანაშაული, გადასცენ კოლექტივებს ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის, მიიღონ გადაწყვეტილი ზომები, მოქალაქეთა უსაფუძვლოდ სამართალში მიცემისა და მსჯავრის დადების აღმოსაფხვრელად.

გ) მიიღონ ქმედითი ზომები სამსჯავრო გამოძიების ჩატარების ხარისხის გასაუმჯობესებ-



ლად, დეტალურად გაარკვიონ დანაშაულის ჩადენისა და წარმოშობის მიზეზები და გამწვანდნენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დააყენონ საკითხი წარმოება-დაწესებულებებისა და ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე.

ღ) თავიანთ სამოქმედო უბნებზე პერიოდულად შეისწავლონ ნასამართლეობის მდგომარეობა. სრულყოფილად გამოირკვიონ დანაშაულთა ჩადენის გამომწვევი მიზეზები და დააყენონ საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე გამოვლინებულ დარღვევების და დანაშაულთა გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით.

ვ) შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილებებისა, ფართოდ დაინერგოს პრაქტიკაში მნიშვნელოვანი კატეგორიის საქმეთა განხილვა უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში.

ზ) დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობის უფრო მეტად მობილიზაციის მიზნით, ხშირად მოაწყონ საქმეთა განხილვა საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით.

თ) უზრუნველყონ წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ლექცია-საუბრებისა და საანგარიშო მოხსენებების ჩატარება მაღალ იდეურ დონეზე. სისტემატურად გააშუქონ ადგილობრივ პრესაში აქტუალური სამართლებრივი საკითხები. გააძლიერონ კანონების პროპაგანდა, მიიღონ გადამწყვეტი ზომები დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოების ფართო ჩაბმისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის თავმჯდომარე:

მ. ტაპიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი:

ო. აბაჯორვი

მიწათსარგებლოების უზღვევის თაობაზე წარმომადგენელი დაჯგუფების უწყებრივი კვლევებარეობის საკითხისათვის სასამართლო პრაქტიკაში

ბ. დევდარიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

სსრ კავშირში სახელმწიფოს ეკუთვნის მიწაზე საკუთრების განსაკუთრებული უფლება. საბჭოთა სახელმწიფოს გარდა არავინ არ შეიძლება იყოს მიწის მესაკუთრე. მიწა გამოირიცხულია სამოქალაქო ბრუნვიდან და საერთოდ არ შეიძლება არსებობდეს დავები მიწაზე საკუთრების უფლების შესახებ. დავებში მიწის შესახებ იგულისხმება დავები მხოლოდ მიწათსარგებლობის უფლებაზე.

დავები მიწის გამოყოფასთან, მიწათსარგებლობის უფლების შეცვლასთან ან მოსპობასთან დაკავშირებით სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება და წყდება ადმინისტრაციული

წესით სარაიონო, საქალაქო, საოლქო და სამხარეო აღმასრულებელი კომიტეტების და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ (სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 5 დეკემბრის დადგენილების მე-13 მუხლი. სსრ კავშირის დადგენილებათა კრებული, 1940 წ. № 1, მუხ. 4).

ხოლო სასამართლო განხილვას ექვემდებარებიან ის დავები, რომლებიც წარმოიშობიან მიწათსარგებლობის უფლების დარღვევის შედეგად და აგრეთვე ისეთი დავები, რომლებიც დაკავშირებულია მიწათსარგებლობის უფლების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანა-

ზღაურებასთან (სსრ კავშირის იუსტსახ-კომის 1936 წლის ცირკულარი № 9).

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება მიწათსარგებლობის უფლების დარღვევის შედარებით გავრცელებული და მარტივი ხასიათის დავები, როდესაც ერთი მიწათმოსარგებლე არღვევს მეორე მიწათმოსარგებლის უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში სიმარტივე საინტერესოა არა დავის გადაწყვეტის მატერიალური, არამედ პროცესუალური, უწყებრივი ქვემდებარეობის დადგენის თვალსაზრისით და უნდა მივიჩნიოთ, რომ როგორც წესი ყველა დავა რომლებიც შეეხება მიწათსარგებლობის უფლების დარღვევას (რა სახითაც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი) უწყებრივად სასამართლო განხილვას ექვემდებარება, ხოლო თუ მიწათმოსარგებლენი სახელმწიფო დაწესებულებებია, დავები არბიტრაჟის ქვემდებარეა.

რა თქმა უნდა მიწათსარგებლობის უფლების დარღვევად (სასამართლო ქვემდებარეობის თვალსაზრისით) არ შეიძლება მიჩნეული იქნას საამისოდ კომპეტენტური ორგანოს მიერ მიწათმოსარგებლისათვის ნაკვეთის ჩამოჭრა ან ჩამორთმევა.


როგორც აღინიშნა, დავები მიწის გამოყოფასთან, მიწათსარგებლობის უფლების შეცვლასთან ან მოსპობასთან დაკავშირებით სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება. მაგრამ უწყებრივი ქვემდებარეობის დადგენის თვალსაზრისით ერთგვარ სირთულეს იწვევს ის გარემოება, რომ ამ საერთო წესიდან, როგორც გამონაკლისი არსებობს სასამართლოს ქვემდებარე ისეთი სახის დავები, რომლებიც მიმართულია მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესის დადგენისაკენ და თავისი შინაარსით ფაქტიურად ეხებიან მიწათსარგებლობის უფლების შეცვლას. ეს გამონაკლისი დაშვებულია

მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც დავა წარმოებს განუყოფელ მიწის ნაკვეთზე არსებული ნაგებობის თანამესაკუთრეთა შორის, მიწის ნაკვეთის სარგებლობასთან დაკავშირებით. ეს დავები შეიძლება ეხებოდეს ბალ-ბოსტნით, ყვავილების კვლებით, მისასვლელი გზით და სხვათა სარგებლობას. შინალობის, ჭიშკრის მოწყობას და აგრეთვე ნაგებობის მესაკუთრეთა შორის აღნაგობის ხელშეკრულებით გადაცემული მიწის ნაკვეთის დამოუკიდებელი სარგებლობისათვის განაწილებას.

ნაგებობის თანამესაკუთრეთა შორის მიწის ფართობით სარგებლობის წესის დადგენის შესახებ სასარჩელო განცხადების განხილვასთან დაკავშირებით, სახალხო სასამართლო სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 82 მუხლის შესაბამისად, საქმის წინასწარ მომზადების წესით, უპირველეს ყოვლისა ვალდებულია გამოითხოვოს მიწის ნაკვეთის გამოყოფის უფლების დამდგენი საბუთები — აღმასკომის გადაწყვეტილება და ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ.

თუ დადგინდება ის გარემოება, რომ აღნიშნული საბუთები არ არსებობს და მიწის კანონით დადგენილი წესისამებრ გამოყოფას ადგილი არ ჰქონია, საქმე წარმოებით უნდა იქნას მოსპობილი, როგორც სასამართლოს არა ქვემდებარე.

ზემოაღნიშნული ნორმატული აქტის გავრცობითი შეფარდება საკოლმეურნეო კომლის სარგებლობაში არსებული საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიმართ დაუშვებელია, ვინაიდან კომლის ქონება არ წარმოადგენს კომლის წევრთა წილელულ საკუთრებას და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი გადაცემულია არა კომლის წევრების, არამედ მთლიანად კომლის — როგორც მიწათმოსარგებლის დამოუკიდებელი სუბიექტის სარგებლობაში.



აღნიშნული გარემოებანი ნაწილობრივ მაინც განაპირობებენ სასამართლო პრაქტიკაში დაშვებულ შეცდომებს მიწათსარგებლობის გარშემო წარმოშობილ დაეათა უწყებრივი ქვემდებარეობის დადგენის საკითხში. ერთის მხრივ, როდესაც სასამართლოები არაქვემდებარეობის მოტივით წარმოებამი არ ლებულობენ (ან საქმეებს წარმოებით სპობენ) მათდამი ქვემდებარე საქმეებს. მაგალითად, ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით, საქმე შენობის თანამესაკუთრებს უკლებასა და ჯავახაძეს შორის მიწის ნაკვეთით სარგებლობის გარშემო წარმოშობილი დავის შესახებ წარმოებით მოსპო.

ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლოები წარმოებაში ლებულობენ და იხილავენ მათდამი არა ქვემდებარე საქმეებს. მაგალითად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით, განიხილა და დააკმაყოფილა ყიფშიძესა და გრძელიშვილს შორის გზით სარგებლობის გარშემო წარმოშობილი დავა, მაშინ, როდესაც დადგენილია, რომ მხარეებს მიწის ნაკვეთი დაკავებული ჰქონდათ უნებართვოდ.

გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა და 1961 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მესხის სარჩელი მესხის მიმართ, საკოლმეურნეო კომლის სარგებლობაში მყოფი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ.

სასამართლო პრაქტიკაში მსგავსი ფაქტები მრავალა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180 მუხლის შესაბამისად „მიწის ნაციონალიზაციის შესახებ კანონების პირდაპირი ან ფარული დარღვევა (მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ჩუქება, იჯარა, მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცება ან გაცვლა და სხვ)

— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე, მიწის ნაკვეთისა და მასში მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი საზღაურის ჩამორთმევით“.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევის შედარებით გავრცელებულ სახეს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის თვითნებურად მიტაცება, რაც თავისთავად იწვევს მიწის თვითნებურად დამკავებელ პირთა სარჩელების ერთგვარ სიმრავლეს, მიწის ნაკვეთზე გაწეული შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მიწის თვითნებურად მიტაცებად ითვლება მიწის ისეთი დამუშავება, რომელიც წარმოებულია ყოველგვარი ნებართვის გარეშე, აგრეთვე უფლებრივად მიწის თვითნებურად მიტაცებას უნდა გაუთანაბრდეს მიწის ისეთი დამუშავება, რომელიც მოხდენილია საამისოდ არა კომპეტენტური ორგანოს ნებართვით.

მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ი. ბერუაშვილის სარჩელი მის მიერ მიწის ნაკვეთზე გაშენებული ნარგავების ღირებულების ანაზღაურების შესახებ და ე. ხუცივეს დააკისრა 3.460 მანეთის გადახდა, მაშინ, როდესაც ი. ბერუაშვილის მიერ მიწის ნაკვეთი დამუშავებული იყო უნებართვოდ.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არაკანონიერია, ვინაიდან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 5 მაისის დადგენილების „საკოლმეურნეო საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ მე-3 მუხლის შესაბამისად „პირებს და ორგანიზაციებს, რომლებმაც თვითნებურად გამოიყენეს საკოლმეურნეო მიწა, არა აქვთ უფლება კოლმეურნეობიდან აინაზღაურონ ამ მიწის დამუშავებაზე გა-

წეული და დახარჯული შრომა და თეს-
 ლეული“. თუმცა დადგენილების აღნი-
 შნულ პუნქტში ლაპარაკია საკოლმეურ-
 ნეო მიწებზე, მაგრამ ეს წესი ვრცელ-
 დება ყველა თავისუფალ მიწაზე და აგ-
 რეთვე იმ მიწაზე, რომელიც იმყოფება
 რომელიმე მიწათმოსარგებლის სარგებ-
 ლობაში, ამასთანავე ხანგრძლივობა მი-
 წის უნებართვოდ სარგებლობისა, ანაზ-

ღატურების შესახებ დაგების განხილვის
 დროს მხედველობაში არ უნდა იქნეს
 მიღებული.

კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა დაც-
 ვა თავიდან აგვაცილებს მიწათსარგებ-
 ლობის ირგვლივ წარმოშობილი დაგე-
 ბის განხილვასთან დაკავშირებით სასა-
 მართლო პრაქტიკაში დაშვებულ მსგავს
 შეცდომებს.

სასამართლო-საპროკურორო პრაქტიკა აღწერილობითი

სიდიან ქონების აღწერილობის შესახებ

3. ცირამუა

საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო
 განყოფილების პროკურორი


საქმეები აღწერილობითი სიდიან ქო-
 ნების ამორიცხვის შესახებ ეკუთვნიან
 ისეთი კატეგორიის საქმეებს, რომელთა
 სასამართლო ორგანოებში სწორად გან-
 ხილვა-გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნად
 არის დამოკიდებული როგორც სახელმ-
 წიფო და საზოგადოებრივი ორგანიზა-
 ციების, ისე საბჭოთა მოქალაქეების ინ-
 ტერესების დაცვა. ამიტომ სასამართლო,
 პროკურატურის ორგანოები განსაკუთ-
 რებული ყურადღებით უნდა ეპყრობო-
 დნენ ასეთი კატეგორიის საქმეების გან-
 ხილვას, არ უნდა დაუშვან ისეთი შემ-
 თხვევა, რომ არასწორად მოხდეს ქონე-
 ბის აღწერა და მასზე გადახდევინების
 მიქცევა სხვა პირთა ვალის ანაზღაურე-
 ბის მიზნით და პირიქით, არ უნდა მოხ-
 დეს, რომ მატერიალური ზარალის ანა-
 ზღაურების ან ქონების კონფისკაციის
 მიზნით აღწერილი ქონება უსაფუძვ-
 ლოდ ამორიცხოს მესამე პირთა სარ-
 ჩელის საფუძველზე.

აღწერილობითი სიდიან ქონების ამ-
 ორიცხვის შესახებ სასამართლო-საპ-
 როკურორო პრაქტიკის შესწავლამ
 ცხადპყო, რომ სასამართლო ორგანოე-
 ბი ასეთი კატეგორიის საქმეებს ძირი-

თადად სწორად იხილავენ, იცავენ იმ
 სახელმძღვანელო მითითებებს, რომლე-
 ბიც მოცემულია სსრ კავშირის უმაღ-
 ლესი სასამართლოს პლენუმის 1948
 წლის 19 მარტის № 6/5/უ დადგენი-
 ლებაში „აღწერილობითი სიდიან ქონე-
 ბის ამორიცხვის საქმეებზე სასამართ-
 ლო პრაქტიკის შესახებ“.

ძირითადად ყველა საქმეში წარმოდ-
 გენილია განაჩენის ასლი იმ პირის მსჯე-
 ვრდების შესახებ, რომლის ვალის და-
 საფარავად ან საკონფისკაციოდ იქნა
 აღწერილი ქონება. ასევე არის წარმო-
 დგენილი ქონების აღწერილობის აქტე-
 ბი, როგორც ამას ითვალისწინებს უმა-
 ლესი სასამართლოს პლენუმის ზემო-
 აღნიშნული სახელმძღვანელო დადგენი-
 ლება, მაგრამ არის ისეთი საქმეებიც,
 სადაც არ არის წარმოდგენილი სასამა-
 რთლო განაჩენის ასლი ან მისი ამონა-
 წერი.

საქმეთა სასამართლოში განხილვა ძი-
 რითადად კანონით დაწესებულ ვადაში
 ხდება, მაგრამ ადგილი აქვს საქმეთა
 განხილვის გაჭინაურებასაც. შემოწმე-
 ბულ საქმეთა 20 პროცენტი განხილუ-
 ლია კანონით დადგენილი 1 თვიანი ვა-



დის დარღვევით, ხოლო პროკურორების როლი საქმეთა სასამართლოს მიერ დაწესებულ ვადაში განხილვაზე ზედამხედველობის მიზნით არაქმედითია.

პროკურორები ზოგჯერ არ ასრულებენ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის 1955 წლის 10 დეკემბრის № — 135 ბრძანებას, კერძოდ, არ არის უზრუნველყოფილი აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ ყველა საქმის მათი მონაწილეობით განხილვა, მაგრამ ამაში ნაწილობრივ ბრალი მიუძღვით თვით სასამართლოებსაც, ვინაიდან სასამართლოები არ იცავენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტის დადგენილების 11 პუნქტის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა მოიწვიოს პროკურორი პროცესში მონაწილეობის მისაღებად, თუ ქონება აღწერილია კონფისკაციის მიზნით.

სასამართლოს სამსჯავრო სხდომის ოქმები აღნიშნული კატეგორიის საქმეების განხილვის დროს ხშირად უხარისხოდ არის გაფორმებული, მათში არ არის ასახული საქმის განხილვის სრული პროცესი, კერძოდ სამსჯავრო სხდომის ოქმებში პროცესზე მონაწილე პროკურორის დასკვნა უმრავლეს საქმეებზე ფიქსირებული არის შემდგენიარად: „პროკურორი მოითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას“ „პროკურორი მოითხოვს სარჩელზე უარის თქმას“, „პროკურორი მოითხოვს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას“. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში სხდომის ოქმში არ არის ჩამოთვლილი რა ქონების ამორიცხვა მოითხოვა პროკურორმა. სხდომის ოქმის უხარისხობას კი ყურადღებას არ აქცევს არც მოსამართლე და არც პროცესზე მონაწილე პროკურორი.

პროკურორები არ იჩენენ სათანადო

პრინციპულობას საქმის განხილვის დროს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ზოგჯერ სასამართლო არ იზიარებს პროცესზე მონაწილე პროკურორის სწორ დასკვნას, მაგრამ ეს ფაქტი პროკურორის მხრივ რეაგირების გარეშე რჩება, კერძოდ მას არ შეაქვს სასამართლოს უსწორო გადაწყვეტილებაზე საკასაციო პროტესტი.

როგორც ცნობილია, მოპასუხის წარმომადგენელს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება იცნოს სასამართლოში სარჩელი, თუ მას საამისოდ სპეციალური რწმუნება აქვს შესაბამისად სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 19 მუხლისა. კანონის ამ მოთხოვნის დაცვა ყოველთვის ევალება სასამართლოს, და რა თქმა უნდა თვით მოპასუხეთა წარმომადგენლებს, მაგრამ იგი განსაკუთრებით უნდა იქნას დაცული მაშინ, როდესაც საკითხი ეხება აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეთა არაკეთილსინდისიერ წარმომადგენლებს ყოველთვის შეეძლება პირადი დაინტერესებიდან გამომდინარე იცნონ სასამართლოში აღძრული სარჩელი და ამით არარაობამდე დაიყვანონ სოციალისტური საკუთრების მტაცებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმე. შემოწმებით კი გამოირკვა, რომ ზოგჯერ მოპასუხე ორგანიზაციათა წარმომადგენლები სასამართლოში აღიარებენ სარჩელს საამისოდ სპეციალური რწმუნების უქონლობის მიუხედავად, ხოლო სასამართლო კანონის ამ დარღვევას ყურადღებას არ აქცევს (საქმე ნ. დ. ბოიაროვის სარჩელისა გამო, განხილული ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ, ნ. პ. შერმეტოვის საქმე, განხილული ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს მიერ და სხვა).

ზოგ შემთხვევაში სასამართლოები არ ღებულობენ სათანადო ზომებს იმისათ-

ვის, რომ საქმის განხილვას დაესწროს მოპასუხის წარმომადგენელი. ასე მაგ. ბ. მ. ჯვარაძის სარჩელი ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა ისე, რომ მოპასუხის წარმომადგენელი პროცესს არ ესწრებოდა და მას მხოლოდ ერთხელ ჰქონდა გაგზავნილი უწყება.

საქმე ზ. პ. ავეტისიანის სარჩელისა გამო 26 კომისრის რაიონის ფინგანის მიმართ 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა მოპასუხის წარმომადგენლის გარეშე, თუმცა მას უწყება მხოლოდ ერთხელ გაეგზავნა.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოში განხილული არის ამ კატეგორიის სამი სამოქალაქო საქმე. სამივე საქმეზე სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ. სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიხედვით, ვინაიდან გადახდევინება-მისაქცევი ქონების ნატურით ამოღება შეუძლებელია, სახალხო სასამართლოს მიერ ამორიცხებულია ყადაღებული მთელი ქონება, მხოლოდ მოსარჩელეს (მსჯავრდებულის ოჯახს), დავალებული აქვს მსჯავრდებულის წილი ქონების ღირებულება ფულადი თანხით გადაუხადოს დაზარალებულ ორგანიზაციას (თვითუფს საქმეზე დაახლოებით 2.500-3.000 მან. ძველი ფულის ნიშნებით). ამით კი დარღვეულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტის დადგენილების 7 პუნქტი, ვინაიდან სამივე შემთხვევაში შესაძლებელი იყო კომლის გარკვეული, კონკრეტული ქონების ამორიცხება აღწერილობით სიიდან.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეებიდან არ ჩანს, აღმასრულებელი ფურცელი გამოიწერა თუ არა და მოხდა თუ არა გადაწყვეტილების აღსრულება.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოდან შემოწმებული იქნა აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ 3 საქმე, ყველა ამ საქმეებზე ნაცვლად გადაწყვეტილებისა, გამოტანილია დადგენილება, რითაც დარღვეულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1948 წლის 19 მარტის დადგენილება, რომლის თანახმადაც აღნიშნული კატეგორიის საქმეები იხილება საერთო სასარჩელო წესით ე. ი. გადაწყვეტილების გამოტანით.


აღსანიშნავია, რომ ერთ საქმეზე (მ. ა. ახატუროვას სარჩელისა გამო) დადგენილების გასაჩივრების ვადად განსაზღვრულია 10 დღე.

შემოწმებით გამოვლინებული იქნა ისეთი შემთხვევა, როდესაც სახალხო მოსამართლე, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე თუმცა წერს განსაკუთრებულ აზრს, მაგრამ ამას ფორმალური ხასიათი აქვს.

თელავის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ე. გურგენიძე) დააკმაყოფილა თ. ი. ბეძოშვილის სარჩელი აღწერილობითი სიიდან ნივთების (კარადა, საკერავი მანქანა და სხვ.) ამორიცხვის შესახებ. ამხ. ე. გურგენიძემ სახალხო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებაზე თუმცა დაწერა თავისი განსაკუთრებული აზრი, მაგრამ იგი არ წარუდგენია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისათვის.

ზოგიერთი სამოქალაქო საქმის შესწავლიდან ჩანს, რომ ის პირები და ორგანოები, რომლებიც მოწოდებული არიან მიიღონ ზომები სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-მტაცებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის, თავიანთ ამ მოვალეობას არ ანხორციელებენ სათანადოდ.

თამარ მანგუაშვილი მსჯავრდებული იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეორე მუხლით იმისათვის, რომ მუშაობდა რა შემნახველ



სალაროს კონტროლიორად 1954 წლიდან 1959 წლამდე ყალბი დოკუმენტების შედგენის გზით მიითვისა 70.000 მანეთი. თ. მანგუაშვილს ძირითად სასჯელთან ერთად შეეფარდა ქონების კონფისკაცია და 70.000 მანეთის გადახდა.

მსჯავრდებულის ბინაში ყაღალა დადებული იქნა მხოლოდ სამ ნივთზე (კარადა, ბუფეტი და ფოტოაპარატი).

აღწერილობითი სიიდან ამ ნივთების ამორიცხვის შესახებ სარჩელი აღძრა მსჯავრდებულის ქმარმა ვ. ა. ნავესვაძემ და 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ ყველა ეს ნივთები ამორიცხა აღწერილობითი სიიდან.

უნდა ვიფიქროთ, რომ თ. მანგუაშვილი 5 წლის მანძილზე, როცა იგი ახდენდა სახელმწიფო თანხების დიდი რაოდენობით მითვისებას, შეიძენდა ისეთ ქონებას, რომლის რეალიზაციაც შეიძლებოდა მის მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასამართლო უსწოროდ, რაიმე დასაბუთების გარეშე აკმაყოფილებს სარჩელს აღწერილობით სიიდან მთელი ქონების ამორიცხვის შესახებ.

ვ. ო. ბალუმიანი მსჯავრდებული იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეორე მუხლით და მას შეეფარდა ქონების კონფისკაცია, რა მიზნითაც აღწერილი იქნა მის ოჯახში 4 დასახელების ნივთი, მათ შორის ტელევიზორი. მსჯავრდებულის ცოლმა ე. მ. ბალუმიანმა სარჩელი აღძრა და მოითხოვა ყველა ნივთის ამორიცხვა იმ საფუძველით, რომ პირველი სამი ნივთი მისი მზითვითაა, ხოლო ტელევიზორი შექმნილია ცოლ-ქმრის ერთად ცხოვრების დროს.

სასამართლომ სარჩელი მთლიანად დააკმაყოფილა რაიმე დასაბუთების გარეშე. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს

ტელევიზორის ნახევარზე, მაგრამ ცოლმა ცოცხალი მთლიანადაა ამორიცხული აღწერილობითი სიიდან. მოპასუხის წარმომადგენელი თუმცა სარჩელს არ ცნობდა, მაგრამ საკასაციო საჩივარი არ შეუტანია.

ზოგჯერ სასამართლო მხოლოდ იმით აკმაყოფილებს მესამე პირთა მიერ აღძრულ სარჩელებს აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ, რომ მსჯავრდებულები არიან არასრულწლოვანი და რომ მაშასადამე მათ აღწერილი ქონების შექმნაში რაიმე წვლილი არ მიუძღვით.

ასე მაგ. ს. ბ. ანიკინი (დაბადებული 1943 წელს,) მსჯავრდებული იქნა იმისათვის, რომ იგი სხვა არასრულწლოვანებთან ერთად სისტემატურად ახდენდა მალაზიებისა და სხვა დაწესებულების გაქურდვას.

ს. ანიკინს ძირითად სასჯელთან (10 წლით პატიმრობა) ერთად დაეკისრა ქურდობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სხვა მსჯავრდებულებთან ერთად სოლიდარულად (ისინიც არასრულწლოვანები არიან) 7.300 მანეთის ოდენობით, მასვე მიესაჯა ქონების კონფისკაცია.

მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით აღწერილი იქნა და ყაღალა დაედო პიანინოს, ბუფეტს, კარადას, მაცივარს, სერვანდს და სხვა ისეთ ნივთებს, რომლებზეც გადახდევინების მიქცევა კანონით შეიძლებოდა.

ამ ნივთების ნაწილი აღწერილობითი სიიდან ამორიცხა ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ ნ. მ. ანიკინის სარჩელის საფუძველზე, ხოლო იმით დაიმედებულმა რომ ამ საქმის განხილვისას სახალხო სასამართლოში პროკურორი არ მონაწილეობდა, პროკურორს არ დაუწერია საკასაციო პროტესტი და საკასაციო საჩივარი არ შეუტანია დაზარალებულ ორგანიზაციასაც, საკასაციო საჩივარი შეიტანა თვით ანიკინმა, რომელიც საქართველოს სსრ

უმადლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა და აღწერილობითი სიდიდან ამორიცხა მთელი ყადაღადადებული ქონება იმ მოტივით, რომ მსჯავრდებული არასრულწლოვანია.

ამრიგად ამ საქმის განხილვის შედეგად სახელმწიფომ ვერ შეძლო მიყენებული ზარალის ოდნავი ანაზღაურებაც, თუმცა თანახმად სამოქალაქო სამართლის კოდექსის 9 და 405 მუხლებისა არასრულწლოვან ს. ანიკინთან ერთად მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მოსარჩელესაც.

ასევე, ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ა. კ. ბილიხოძისა და სხვათა სარჩელი აღწერილობითი სიდიდან რადიო მიმღები „ჩაიკას“, მაცივარის „დნეპრის“, სარეცხი მანქანის და სხვა ნივთების ამორიცხვის შესახებ, რომლებიც აღწერილი იყო კ. ა. ბილიხოძის მსჯავრდებულთან დაკავშირებით, იმ საფუძველზე, რომ მსჯავრდებული კ. ბილიხოძე არის არასრულწლოვანი.

სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებია ის ვარემოება, რომ არასრულწლოვანმა კ. ბილიხოძემ ჩაიდინა მეტად მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული, რაც ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის (მან ბოროტმოქმედ ვასილკევთან ერთად ჩაიდინა მძიმე ფორმის მკვლელობა და ბანდიტიზმი) და მისი მშობლები უნდა გაეხადათ მატერიალური პასუხისმგებელი შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

ხანდახან აღწერილობითი სიდიდან ქონების ამორიცხვის შესახებ სარჩელი სასამართლოში აღიძრება ხოლმე უმიზეზოდ, ვინაიდან სასამართლოს გამოაქვს არასწორი განაჩენი, ასე მაგ. გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ პირობითი სასჯელი შეუფარდა ვ. გ. გალუსტიანს, მაგრამ განაჩენით მას ქონების კონფისკაციაც განუსაზღვრა, რის გამოც მისმა ცოლმა სასამართლოში აღძრა

სარჩელი აღწერილი ქონების კუთრებად ცნობის შესახებ.

სასამართლომ საქმე მისაპო და თავის დადგენილებაში სწორად აღნიშნა, რომ პირობითი მსჯავრდადების შემთხვევაში ქონების კონფისკაცია არ შეიძლება.


შემოწმების დროს აღმოჩენილი იქნა ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს აღმასრულებლის უყურადღებობის შედეგად არ იქნა მოყვანილი სისრულეში ქონების კონფისკაცია.

26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 29 ივლისის დადგენილებით შეაჩერა პ. გ. ავიდიანის მიერ აღძრული სარჩელის განხილვა რაიფინგანთან, აღწერილობითი სიდიდან ქონების ამორიცხვის შესახებ მოსარჩელის გამოუცხადებლობის მიზეზით და სასამართლოს აღმასრულებელს მეორე დღესვე აცნობა ამის შესახებ წერილობით. ამავე დროს აღმასრულებელს წინადადება მიეცა განაჩენი ქონების კონფისკაციის ნაწილში სისრულეში მოეყვანა.

როგორც გამოიჩვენა, ქონების კონფისკაცია შემოწმების დროისათვის (1961 წ. მარტი) აღმასრულებლის უყურადღებობის გამო არ ყოფილა მოყვანილი სისრულეში. აღწერილი კი იყო ისეთი ქონება, რომლის კონფისკაცია აუცილებელია როგორც მსჯავრდებულ გ. ა. ავიდიანის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით, ისე თვით აღწერილი ქონების ღირებულებითა და მათი დანიშნულებით. აღწერილი იყო ავტომანქანა „პობედა“, ტელევიზორი „რეკორდი“, რადიომიმღები „ლუქსი“ და სხვა ნივთები.

რესპუბლიკის პროკურატურის მიერ წინადადება მიეცათ რაიონის პროკურორსა და სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ მოახდინონ აღნიშნული ქონების კონფისკაცია, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო, ავტომანქანა უკვე კონფისკაციაქმნილია.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ



ცხადყო, რომ სარჩელი სასამართლოს მიერ უმრავლეს შემთხვევაში ან მთლიანად არის დაკმაყოფილებული, ან ნაწილობრივ. აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ჯერ ერთი ყადაღის დადება არ ხდება ისეთ ქონებაზე, რომელიც რეალურად ექვემდებარება გადახდევინების მიქცევას, გარდა ამისა, სასამართლოები არა კრიტიკულად უდგებიან ამ კატეგორიის საქმეთა გადაწყვეტას და საკმაო საფუძვლის გარეშე აკმაყოფილებენ სარჩელს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ

არცერთ საქმეში არ არის დაცული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების 3 პუნქტი, რომლის თანახმადაც აღწერილობითი სიიდან ქონების ამორიცხვის შესახებ სარჩელზე „მართებული მოპასუხებები არიან მოვალე, რომელსაც აუწერეს ქონება და ის ორგანიზაციები და პირნი, რომელთა პრეტენზიების მიხედვითაც აეწერა მოვალეს ქონება“. კერძოდ, არცერთ საქმეში არ არის ჩაბმული მოპასუხედ მოვალე, რომელსაც აუწერეს ქონება (შესაძლებელია სათანადო ორგანოებმა იქონიონ მსჯელობა პლენუმის დადგენილების ამ ნაწილის გადასინჯვის შესახებ).

საქართველო სასამართლო ორგანოების მუშაობის

ლ. ზაიჩიკი

საქ. სსრ პროკურატურის კოლეგიის წევრი, სასამართლოებზე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.

ახლა, როდესაც პრესაში განსახილველად გამოქვეყნებულია სკკპ პროგრამა და წესდება, რომელშიც ნათლადაა ნაჩვენები ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების აშენების რეალური გზები, კიდევ მეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევებთან და დანაშაულის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლის საქმეს.

კომუნისტთან მიახლოებისას სრულყოფილი ხდება სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სისტემა, სოციალისტური მშენებლობის დარგში წარმოიშვება ახალი ამოცანები. სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ვლინდება მასების მონაწილეობის ახალი ფორმები და ამასთან ერთად იცვლება საზოგადოებრიობის მონაწილეობის შინაარსი და ხასიათი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები ავითარებენ რა საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებს, აწესებენ, რომ სასჯელი წარმოადგენს

არა მარტო დასჯას, არამედ, ამავე დროს, მიზნად ისახავს საზოგადოებრივ საშიში ქმედობის ჩამდენ პირთა გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას, გაფრთხილებას, რომ განმეორებით არ იქნეს ჩადენილი ახალი დანაშაული. კანონმდებლობით ამავე დროს დაწესებულია, რომ მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ უნდა იქნეს სასჯელის ყველაზე მკაცრი ღონისძიება.

სწორედ ამ ნიშნით იქნა შემოწმებული ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს სსრ პროკურატურის ბრიგადის მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის მუშაობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონების დატაცებასთან, სპეკულაციასა და ზომა-წონაში მოტყუებასთან ბრძოლის საქმეში, აგრეთვე თუ როგორ ახორციელებენ პროკურატურის ორგანოები ზედამხედველობას სასამართლო ორგანოებზე სამომ დანაშაულობათა საქმეების განხილვის კანონიერებაზე.

როგორც ჩატარებული მუშაობის შედეგად გვიჩვენა, სამხრეთ ოსეთის საოლქო და რაიონების პროკურატურებმა უკანასკნელ დროს განახორციელეს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საშიშ დამნაშავეთა, და კერძოდ, სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურის მუშაობაში ჯერ კიდევ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებია.

არასაკმაო ბრძოლა წარმოებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გამფლანგველთა და მიმთვისებელთა, სპეკულანტების და ვაჭრობის სისტემაში გამძვრალ თაღლითებისა და საქმოსნების წინააღმდეგ, რის გამო ამ სახის დანაშაულებანი ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

პროკურატურის და მილიციის ორგანოები ხშირად საჭირო ზომებს არ იღებენ დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ყველა პირთა გამოსავლინებლად და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისაცემად.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არ არის ჩაბმული ფართო საზოგადოება.

სახელმწიფო ქონების დატაცების საქმეებზე რიგ შემთხვევაში წინასწარი გამოძიება ტარდება უხარისხოდ და არასრულყოფილად, ადგილი აქვს საქმეთა გამოძიების უსაფუძვლოდ გაჭინურებას.

ამ მხრივ დამახასიათებელია ქ. სტალინის სამომხმარებლო კოოპერაციის ყოფილი შტატგარეშე დამამზადებლის ტ. ს. ჯიკაევის საქმე.

ჯერ კიდევ 1959 წელს ამ უკანასკნელს გამოუვლინეს 37.712 მანეთის (ფულის ძველი ნიშნებით) დანაკლისი.

მასალები ჯიკაევის მიმართ ერთ წელზე მეტს იყო მილიციის საქალაქო განყოფილებაში და მიუხედავად ოლქის პროკურორის წერილობითი მითითებისა, სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ არ აღიძრა.

ბოლოს, როგორც იქნა, 1961 წლის

თებერვალში ოლქის პროკურატურაში გამოითხოვა მილიციიდან აღნიშნული მასალები, აღძრა სისხლის სამართლის საქმე, ხოლო შემდეგ შეაჩერა იგი ჯიკაევის „დაუძებნელობის“ გამო.

დამახასიათებელია, რომ პროკურატურის და მილიციის ორგანოები ჯიკაევის დაძებნას აწარმოებდნენ ბორჯომსა და სხვა რაიონებში, ეს იმ დროს, როდესაც ფაქტიურად აღმოჩნდა, რომ ჯიკაევი ცხოვრობდა ქალაქ სტალინოში და მიმდინარე წლის 12 მაისს იგი არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი დაიხრჩო მდინარე ლიახვში.

იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთ საქმეებზე გამოძიება ტარდება უხარისხოდ, საქმეები სასამართლოდან უბრუნდება პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის, რაც იწვევს საქმეთა გაჭინურებას და უარყოფით გავლენას ახდენს დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზე.

მაგალითად, სტალინის რაიონის სასამართლომ 1961 წლის 7 ივლისს პროკურატურას დამატებით გამოძიებისათვის დაუბრუნა ს. ე. ძუკაევის და სხვათა ბრალდების საქმე. ძუკაევს და მის თანამონაწილეებს ბრალი ედებათ 200.000 მეტი მანეთის მიმთვისებაში (ფულის ძველი ნიშნით). მათვე თავიანთი დაუდევრობის შედეგად საოლქო დამზადების კანტორას მიაყენეს 100.000 მანეთის ზარალი. ამ საქმეზე გამოძიება უხარისხოდ ჩაატარეს პროკურატურის მუშაკებმა საბანიძემ, ხოლო შემდეგ გასიევმა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სამხრეთ-ოსეთის ოლქის სასამართლოები სოციალურად საშიშ და მძიმე დამნაშავეებს უფარდებენ სასჯელის მეტად ლმობიერ ზომას, მაგრამ რაიონის პროკურორები სუსტად ახორციელებენ ზედამხედველობას სასამართლოებში ამ საქმეთა განხილვის კანონიერებაზე და ხშირად ლიბერალურ განაჩენებს არ აპროტესტებენ.

ქ. გ. ტასოევა მუშაობდა რესტორან „ლიახვში“ მეზუფეტეთ, ხოლო შემდეგ სტალინოვავაჭრობის საღვეზელ საამქროს გამგეთ.

რესტორანში მუშაობის პერიოდში ტასოევას აღმოაჩნდა 2.200 მანეთის დანაკლისი, ხოლო საღვეზელ საამქრო-

ში კი 1.552 მანეთის დანაკლისი. ტასოვეა მიცემული იქნა პასუხისმგებლობაში ამ თანხების მითვისებისათვის.

საქმე განიხილა სტალინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის აგვისტოში და მიიჩნია, რომ დანაკლისი არ არის მითვისების შედეგი, არამედ გამოწვეულია თანამდებობის ბოროტად გამოყენებით. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ ტასოვეას მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუტყვეალა პირობითი სასჯელით.

ამის შემდეგ, 1960 წლის 11 იანვარს ტასოვეა მიღებული იქნა სამუშაოდ ისევ სტალინირვატობის სადგენელზე სამაქროს გამგეთ. მან თავისი მუშაობის პერიოდში 1960 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე მოასწრო მიეთვისებია 3.180 მანეთი. საქმეში არის მონაცემები იმის შესახებ, რომ ტასოვეამ ჯერ კიდევ 1957 წელს სტალინირვატობის სასადილოში მუშაობისას მითვისა 1784 მანეთი.

ტასოვეას ბრალდების საქმე განიხილა ქალაქ სტალინირის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 5 აპრილს და მიუსაჯა 6 თვით გამასწორებელი მუშაობა, რაც 2 თვის შემდეგ შეუტყვეალა 60 მანეთის ჯარიმით.

პროკურატურის მიერ ეს ლიბერალური განაჩენი გაპროტესტებული არ ყოფილა.

არც პროკურატურა და არც სასამართლო არ დაინტერესებულან და არ დაუსვამთ სათანადო ორგანოებში საკითხი იმის შესახებ, თუ რამოდენიმეჯერ დანაკლისის გამოვლინებისა და პასუხისმგებლობაში მისი მიცემის მიუხედავად ვისი ხელშეწყობით ახერხებდა ტასოვეა საჯარო ქსელში სამუშაოზე მოწყობას.

საინტერესოა, რომ როგორც ამჟამად ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, ტასოვეაზე გამოვლინებული დანაკლისები დაუფარავია 1957 წლიდან და მასზე კვლავ ირიცხება დავალიანება 9670 მანეთის რაოდენობით.

კიდევ ერთი მაგალითი. ქალაქ სტალინირის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 10 მაისს განაჩენით თ. მ. ცხოვრებოვს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით და აგი გადაეცა ორგანიზაციის აღსაზრდელად და გამოსასწორებლად. ცხოვრებოვი ცნობილი იქნა

დამნაშავედ მასში, რომ მან 1961 წლის 4 მარტს კინოთეატრის დარბაზში ჩაიდინა ხულიგნობა და მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მოქალაქეებს. იმის შემდეგ, რაც კოხაევი გაიქცა, ცხოვრებოვი მას დაეწია და ოთხჯერ დაარტყა დანა, რის შედეგად მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანება.

სასამართლოს განაჩენი, როგორც ამკარა ლმობიერი, გაუქმებული იქნა და საქმე გადაეცა ხელახლად განსახილველად.

ხელმეორედ განხილვისას სტალინირის რაიონის სასამართლომ 1961 წლის 8 ივნისს ცხოვრებოვს მიუსაჯა 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. ეს ლიბერალური განაჩენი კვლავ გაპროტესტებულია საქართველოს სსრ პროკურატორის მოადგილის მიერ სასჯელის სიმსუბუქის მოტივით.

ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნება მთელ რიგ სხვა საქმეებზედაც.

სამხრეთ ოსეთის ოლქის სასამართლო, საქმეთა საკასაციო წესით განხილვისას, ზოგჯერ სათანადო საფუძვლების გარეშე უმსუბუქებს სასჯელს მსჯავრდებულს, რითაც არ აძლევს სწორ ორიენტირებას ქვემდგომ სასამართლოებს.

ასე მაგალითად: კ. მ. ტიგეივა შრომითი ხელშეკრულებით 1961 წლის იანვარში სტალინირის რაისამომხმარებლო კოოპერაციის დამზადების კანტორიდან ქ. როსტოვში ჩასაბარებლად მიიღო 12.686 კილოგრამი ვაშლი.

ფაქტიურად ადგილზე ჩასვლისას ტიგეივა ჩააბარა ნაკლები ვაშლი და მიითვისა 567 მანეთის ღირებულების 1098 კილოგრამი ვაშლი.

სტალინირის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 15 მაისს განაჩენით ტაგეივს მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სამხრეთ ოსეთის ოლქის სასამართლოს საკასაციო კოლეჯიამ 1961 წლის 2 ივნისს შეუტყვეალა ტიგეივს თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელი მუშაობით ერთი წლის ვადით, სასჯელის სამუშაო ადგილზე მოხდით.

სასჯელის შემსუბუქება კოლეჯიამ დაასაბუთა ასე: „მხედველობაში მიღე-

ბით ტაგიევის პიროვნებისა, რომ ის სამუშაო ადგილიდან ხასიათდება განსაკუთრებით დადებითად, კმაყოფაზე ყავს არასრულწლოვანი შვილები და დანაკლისი დაფარა“

ამასთანავე, კოლეგიას მხედველობიდან გამორჩა, რომ ტიგიევს 1952 წელს სახელმწიფო ქონების დატაცებაზე მისჯილი ქონდა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 1957 წელში საბეკულაციის მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება სამსახურიდან „განსაკუთრებით დადებით“ და ხასიათებას, ეს მტკიცებაც დაუსაბუთებელია, რადგან იმ დაწესებულებაში, საიდანაც გაიცა დახასიათება, ტიგიევი მუშაობდა მხოლოდ 8 დღეს.

რესპუბლიკის პროკურატურის ბრიგადამ ადგილზე შემოწმებისას გამოავლინა, რომ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები, იმიუხედავად არაერთი მითითებისა, სრულებით არ აქცევენ ყურადღებას სასამართლოს პროცესებზე საზოგადოებრივი ბრალდების და დამკველის მონაწილეობას და მათ არავითარ დახმარებას არ უწევენ.

სრულიად მოუთმენელია ის გარემოება, რომ ოლქის სასამართლოებმა ნახევარი წლის განმავლობაში განიხილეს არსებითად განაჩენის გამოტანით თითქმის 300 საქმე და საზოგადოებრივ ბრალმდებელთა მონაწილეობით განხილულია მხოლოდ 2 საქმე.

ოლქის სასამართლოებში ცუდად არის დაყენებული სახელმწიფო ქონების დატაცებით სახელმწიფოზე მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხი.

საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლოების და სასამართლო აღმასრულებლების მუშაობაზე ზარალის ანაზღაურების საქმეში ფაქტიურად არ ხორციელდება.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: ქ. სტალინის რის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელს ამხ. ალბოროვს 9 თვის განმავლობაში ქონდა უმოძრაოდ აღმასრულებელი ფურცელი გამფლანგველების ს. პლიევის და შ. პლიევის მიმართ, რომლებსაც დაკისრებული ქონდათ სტალინირვაჭრობის სასარგებლოდ 69.786 მანეთის გადახდა.

აღსანიშნავია, რომ როგორც საქმიდან ჩანს, ს. პლიევს ქალაქ სტალინირში აღწერილი ქონდა სახლი შეფასებული 70.000 მანეთად.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი გამფლანგველების ტიგიევის, მირაგოვის, მარგიევის, ტელიხის და სხვათა მიმართ. შემოწმების შედეგად გამოვლინებულ იქნა რა ყველა ეს სერიოზული და სხვა დარღვევები, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტთან შეთანხმებით ჩატარდა თათბირი პროკურატურის სასამართლოს და მილიციის მუშაკების მონაწილეობით.

სიტყვებში გამოსულმა ამხანაგებმა თვითკრიტიკით აღნიშნეს მათ მიერ დაშვებული დარღვევები და თათბირს აღუთქვეს, რომ უახლოეს ხანში მკვეთრად გააუმჯობესებენ მუშაობას.

თათბირის მუშაობა შეაჯამა და ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი ამხ. პ. ე. ბერძენიშვილი.

რესპუბლიკის პროკურორის ბრძანებით მკაცრად იქნა გაფრთხილებული ოლქის პროკურორი ამხ. დ. პლიევი, რათა მან უახლოეს დროში აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებები.

რაც შეეხება სასამართლოების მუშაობაში გამოვლინებულ დარღვევებს, სათანადო წარდგინება იქნა შეტანილი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე.

ახალი შესაძლებლობანი სასამართლო ექსპერტიზის დარგში



ბ. ზაჩიიშვილი

თბილისის სამეცნიერო კვლევითი კრიმინალისტიკური
ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი

თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტიკური ლაბორატორიის დაემართა ავტოტექნიკური ექსპერტთა განყოფილება.

ავტოტექნიკური და ავტოსაგზაო ექსპერტიზებს წინაღობა ატარებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტო-ინსპექციისა და ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი განყოფილების მუშაკები. ეს მათ სწყვეტდა პირდაპირი მოვალეობის შესრულებისაგან და არც პროცესულად იყო გამართლებული — ერთ ორგანოში თავმოყრილი იყო როგორც საგამომძიებლო, ისე საექსპერტო ფუნქციები.

ამასთან ერთად, პრაქტიკაში ვხვდებით მაგალითებს, როდესაც ავტოტექნიკური ექსპერტიზებს ატარებდნენ ავტოტექნიკის საკითხებში არაკომპეტენტური, კერძო პირები, რომლებიც ვასამრჯლოს ორჯერ ღებულობდნენ: ჯერ გამოძიებისა, ხოლო შემდეგ სასამართლო პროცესში.

ეს განყოფილება მხოლოდ 1960 წლის ივლისში დაკომპლექტდა.

როგორც ყველა სხვა სახის ექსპერტიზა, ავტოტექნიკურიც ტარდება მოკვლევის, საგამომძიებლო ორგანოს ან სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ როდესაც მოკვლევის ან საგამომძიებლო ორგანო, ან სასამართლო ნიშნავს ავტოტექნიკურ ექსპერტიზას, საქმის გარემოებებთან ერთად თავის დადგენილებაში აუცილებლად უნდა მიუთითოს ბრალდებულის, მოწმის ჩვენებებში, ოქმებსა და აქტებში მოცემულ ტექნიკურ ცნობებზე სამუხრუჭო ან სრული გაჩერების მანძილის, ავტომანქანისა და დაზარალებულის სისწრაფისა და სხვათა შესახებ,

რითაც უნდა ისარგებლოს შემდგომში ექსპერტმა გაანგარიშებათა წარმოების დროს, რადგან თვით ექსპერტს არა აქვს სასამართლო მტკიცებულებათა შეფასების უფლება და არ შეუძლია თვითნებურად გადაწყვიტოს რა მონაცემებს დაემყაროს კვლევის ჩატარების დროს.

სასამართლო ავტოტექნიკური ექსპერტიზის კომპეტენციაში შედის ტექნიკური საკითხები, დაკავშირებული ავტოტრანსპორტთან (ავტომანქანები, მათ რიცხვში სპეციალური ავტომობილები, მოტოციკლები, მოტოროლერები, ტრაქტორები, სოფლის მეურნეობის მანქანები, ავტომტვირთავი, ტროლეიბუსი, ტრამვაი) და საქმეებთან საგზაო შემთხვევათა შესახებ, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ ცოდნას, როგორცაა:

ტრანსპორტის ცალკეული აგრეგატის, მექანიზმის და დეტალების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა, გაუმართაობათა არსებობის ან უქონლობის, მათი წარმოქმნის დროისა და მიზეზების დადგენა; საგზაო შემთხვევის, სამუხრუჭო და სრული გაჩერების გზის, მოძრაობის სისწრაფის მექანიზმის (პროცესის) დადგენა; აგრეთვე შემთხვევის გარემოებათა ახსნა ტექნიკური თვალსაზრისით.

სასამართლო ავტოტექნიკური ექსპერტიზის წინაშე გადასაჭრელად შეიძლება დაისვას დაახლოებით შემდეგი ძირითადი საკითხები, დაკავშირებული ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევასთან, როგორცაა:

ა) დადგენა ტრანსპორტის ტექნიკური გაუმართაობისა, რამაც გამოიწვია ან განაპირობა საგზაო შემთხვევა.

ბ) საგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული დაზიანების ხასიათის განსაზღვრა სატრანსპორტო საშუალებაზე;

გ) ტრანსპორტის მოძრაობის დროს ცალკეული აგრეგატის და მექანიზმის რეჟიმის უნებლიე (მძღოლის ან სხვა

პირის ჩაურევლად) შეცვლის შესაძლებლობის დადგენა;

დ) ტრანსპორტის დაზიანებათა წარმოშობის მიზეზების — არასწორი ტექნიკური ექსპლოატაცია, საწარმოო-ტექნიკური წუნი, კონსტრუქციული ნაკლი, ტექნიკური პირობების დარღვევა მექანიზმის დეტალების დამზადებისა და მათი მუშაობის დროს, დეტალების უხარისხობა, ლითონის მოღლილობა და ა. შ. მათი წარმოშობის დროის განსაზღვრა საგზაო შემთხვევის მოხდენამდე თუ მის შემდეგ;

ე) ტრანსპორტის გაუმართაობისა და საგზაო შემთხვევას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა;

ვ) მიზეზობრივი კავშირის დადგენა ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლოატაციის წესების დაშვებულ დარღვევებსა და საგზაო შემთხვევას შორის;

ზ) საგზაო შემთხვევის შედეგად ტრანსპორტისათვის მიყენებული ზარალის განსაზღვრა.

ავტოტექნიკური ექსპერტიზა აგრეთვე აღდგენს:

სატრანსპორტო საშუალებათა სისწრაფეს საგზაო შემთხვევის მოხდენის წინ;

მოცემული სისწრაფის, გზის მდგომარეობისა და პროფილის მიხედვით სამუხრუჭო ან სრული გაჩერების გზის სიგრძეს;

მანქანის სვლის შენელების, ან დროულად გაჩერების ობიექტურ ტექნიკურ შესაძლებლობას მოცემულ სისწრაფის, გზის პროფილის და დაჯახების ობიექტიდან მანძილის გათვალისწინებით;

მძღოლის მოქმედებათა შესატყვისობას „სსრ კავშირის ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესებისა“¹ და „ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლოატაციის წესებისადმი“ საგზაო შემთხვევის დროს.

როგორ უნდა მოქცეულიყო მძღოლი კონკრეტულ პირობებში, ამ წესების მოთხოვნათა შესაბამისად.

სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში ექსპერტები ემყარებიან ავტოტექნი-

კურ, ავტოსაგზაო, ფიზიკის, კრიმინალისტიკის და სხვა მეცნიერებათა თეორიულ დებულებებს და მონაცემებს. რაც აუცილებელია ავტოსაგზაო შემთხვევათა შესახებ საქმეების გამოძიების და განხილვის დროს საკითხების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

მოკლე ხნის განმავლობაში, რაც ჩვენთან არსებობს ავტოტექნიკურ ექსპერტთა ჯგუფი, მათ ჩატარებული აქვთ ორასზე მეტი ექსპერტიზა.

ავტოსაგზაო შემთხვევათა საქმეებზე პრაქტიკის შესწავლას და განზოგადებას მიყევართ იმ დასკვნამდე, რომ ყოველთვის როდია დამნაშავე ავტომანქანის მძღოლი მომხდარ დაჯახებაში, მრავალი შემთხვევა გამოწვეულია ქვეითების მიერ მოძრაობის წესების დარღვევის გამო.

ამიტომ, ჩვენის აზრით, საჭიროა ყოველდღიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა ტარდებოდეს მოქალაქეებთან საწარმოებსა და დაწესებულებებში ლექცია-საუბრების მოწყობის გზით.

* * *


თბილისის სამეცნიერო-კვლევით კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში აგრეთვე ტარდება სასამართლო ფიზიკური ექსპერტიზები.

ამჟამად მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში, მათ რიცხვში კრიმინალისტიკაშიც, ფართო გამოყენება აქვს ნივთიერებათა ქიმიური შემადგენლობის დადგენას ფიზიკური მეთოდით — სპექტრალური ანალიზის მეშვეობით.

ამ მეთოდის უპირატესობა იქიდან გამომდინარეობს, რომ:

1) გამოკვლევისათვის საკმარისი ანივთიერების მცირე რაოდენობა—0,02—0,03 გრ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კრიმინალისტიკაში, რადგან გვამში ხშირად მხოლოდ ტყვიის ერთ ნაწილაკს ვნახულობთ, ან ფეხსაცმელს ნიადაგის მცირე რაოდენობა აპყვება; 2) გამოკვლევა ძალზე

¹ საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს № 339 დადგენილება 1960 წ. 17 მაისის თარიღით.



სწრაფად ხდება — მთელი ანალიზი შეიძლება ჩატარდეს ერთ-ორ დღეში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის ოპერატიულად დამთავრებისათვის; ე) ანალიზი საიმედოა — დასკვნა ყოველთვის კატეგორიულია (ან კი, ან არა).

სპექტოგრაფიული გამოკვლევის შესაძლებლობანი ძალზე დიდია. მისი მეოხებით შესაძლოა საფანტის, მავთულის, მინის, საღებავის, ნიადაგის, ქაღალდის, მელნის და ლითონის ან მისი შენაერთების შემცველ არაორგანულ ნივთიერებათა ნიმუშების შედარება.

სასამართლო-ბალისტიკური, ტრასოლოგიური, ავტოტექნიკური ექსპერტიზების ჩატარებისა და საბუთების ტექნიკური გამოკვლევის დროს ხშირად აუცილებელია გამოსაკვლევი ნივთიერებების ქიმიური შემადგენლობის დადგენა. მაგალითად, საჭიროა გვამიდან ამოღებული და ეჭვმიტანილ პირთან აღმოჩენილი საფანტის შედარება.

მათი გარეგანი დათვალიერებით ეს ყოველთვის როდია შესაძლებელი, რადგან გვამიდან ამოღებული საფანტი ძალზე დეფორმირებულია და თვით დასკვნაც მხოლოდ სავარაუდო იქნება.

ან ავიღოთ მეორე შემთხვევა: ავტომანქანა დაეჯახა ველოსიპედისტს და მიიმალა. ერთ-ერთი ნივთმტკიცება ესაა ველოსიპედის ნაწილებზე უცხო საღებავის არსებობა. უნდა მოხდეს მისი შედარება ეჭვმიტანილი მანქანის საღებავთან.

უკეთეს ამ შემთხვევებში ნივთიერებათა ქიმიური შემადგენლობის შედარება ქიმიური ანალიზის მეშვეობით დავიწყეთ, ამისათვის ჯერ ერთი, საჭიროა ნივთიერებათა საკმარისად დიდი რაოდენობა და მეორე — დიდი დრო (ხანდახან გრძელდება კვირაობით).

სამწუხაროდ, ჩვენს ლაბორატორიას აქამდე არ გააჩნია აუცილებელი მოწყობილობანი, მაგრამ იმედია, რომ მოკ-

ლე ხანში ლაბორატორიის ხელმოკლანობა მიაქცევს ამას ყურადღებას, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს სასამართლო-ექსპერტიზის მდგომარეობას სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესებში.

* * *

ხშირია შემთხვევა, როდესაც რთულ სისხლის სამართლის საქმეზე მოკვლევის ან გამოძიების ორგანო ნიშნავს რამდენიმე სახის ექსპერტიზას, მაგალითად: მკვლელობის საქმეზე — სასამართლო-სამედიცინოს, სასამართლო ბალისტიკურს, ტრასოლოგიურს, ქიმიურს, ფიზიკურს; გაფლანგვა-დატაცების საქმეებზე — გრაფიკულს, ტექნიკურს, საბუღალტროს და ა. შ.

გამომძიებელი მკვლელობის საქმეზე, რომლის გამოძიებისა და გახსნის ვადა არც თუ ისე დიდია, იძულებულია გააგზავნოს მასალები გამოკვლევისათვის სამ სხვადასხვა ლაბორატორიაში, სადაც კვლევის დასამთავრებლად სხვადასხვა ვადებია დაწესებული.

ეს კი იწვევს საქმის გაჭიანურებას, მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლოს ორგანოების მუშაკთა დროის გაცდენას და, ზოგ შემთხვევაში, მოქმედებს ექსპერტიზის და კვლევის სისრულეზეც, რადგან იგი ნაჩქარევად ტარდება.

ამისათვის საჭიროა ექსპერტიზის სახეობანი — როგორცაა: კრიმინალისტიკური, ქიმიური, ბიოლოგიური საბუღალტრო და სხვა — შეერთდეს ერთ დაწესებულებად — სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს როგორც გამოძიების, ისე ექსპერტიზის ჩატარების ხარისხსა და ვადებს.

ჩვენი შეხედულებით ასეთი სახის ინსტიტუტის ჩამოყალიბების საფუძველი საქართველოში არსებობს, ეს საკითხი მომწიფებულია და მოითხოვს მოკლე ხანში გადაწყვეტას.



სამეცნიერო-გეგმიურ სპეციალურ გამოყენება დანაშაულის გახსნის სპეციალური პირობა

დანაშაულობათა დროულად გამოვლენის, წარმატებით გამოძიებისა და გახსნის საქმეში სხვა ორგანოებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილება. (განყოფილების უფროსი ლ. გოგიტაშვილი, განყოფილების უფროსის მოადგილე გ. გელბახინი).

განყოფილებაში მუშაობენ მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტები. აქ ტარდება თითქმის ყველა სახის კრიმინალისტიკური (დაქტილოსკოპიური, ბალისტიკური, გრაფიკული, ტექნიკური, ტრასოლოგიური), ბიოლოგიური, ქიმიური და სპექტრარული გამოკვლევები.

განყოფილების მუშაობაში მრავალი მაგალითია იმისა, თუ რა დიდ შესაძლებლობას იძლევა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებათა გამოყენება დანაშაულის სწრაფად გახსნის უზრუნველყოფისა და სისხლის სამართლის საქმის მოკვლევის ხარისხის ამაღლებისათვის.

1960 წლის 18 სექტემბერს დაბა ბოლნისში გაქურდული იქნა კულტმაღაზია. შემთხვევის ადგილას დათვალიერების დროს მაღაზიის კარის შინაზე ბოროტმოქმედის ხელის კვალი იქნა აღმოჩენილი. ეს კვალი კარგად და დროზე იქნა ამოღებული. ერთი კვირის შემდეგ სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში მილიციის ბოლნისის რაიონულ განყოფილებიდან მოვიდა დადგენილება საექვო პირზე კარის შინაზე აღმოჩენილი ხელის კვალის შემოწმების შესახებ. დანაშაული გაიხსნა. ექსპერტმა აბ. მიქელაძემ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ მან საექვო პირიდან შეძლო დაედგინა, რომ ხელის კვალი ბოროტმოქმედ გ. ჩაკალიანს ეკუთვნოდა.

იმვე წლის 19 სექტემბერს საღამოს საათებში თბილისში ლენინის მოედანზე უცნობმა მძღოლმა „ბობედის“ მარკის ავტომანქანა დააჯახა მოქალაქე გიორგი რაზმაძეს, რომელიც მალე გარდაიცვალა. მძღოლი მანქანით მიიძალა, მაგრამ მიმღვისას მარჯვენა

ფრთა წინ მიმავალ „ვოლგას“ მარკის ავტომანქანა-ტაქსს გაჭრა. ტაქსის მძღოლისა და იქ დამსწრე მოქალაქეთა ჩვენებით გამოირკვა, რომ დამნაშავის მანქანა რუხი ფერის იყო. თბილისის მილიციის სამმართველოს მუშაკებმა სწრაფი ოპერატიული ღონისძიება მიიღეს, რამოდენიმე საათის შემდეგ სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში მიყვანილი იქნა რუხი ფერის ავტომანქანა „ბობედა“ პ. რ. № 56-52. მას მარჯვენა ფრთა ჰქონდა დაზიანებული. განყოფილებაში მიყვანეს აგრეთვე დაზიანებული ტაქსი „ვოლგა“ გ. შ. № 32-09. მანქანების შემოწმება დაევალოთ უფროს ექსპერტებს სტ. დიდუშრაბოვსა და შ. კვიციანიშვილს. ექსპერტებმა ტაქსზე დაჯახების ადგილას რუხი და მოყვითალო ფერის საღებავების ნაწილაკები აღმოაჩინეს. ექსპერტის დადგინდა, რომ რუხი ფერის ავტომანქანა „ბობედა“ შეღებილი იყო ჰერეცვი-თელი, შემდეგ კი რუხი საღებავებით. სექტორალურმა ანალიზმა ორივე მანქანებიდან აღებული საღებავების იგივეობა დაადასტურა, ტექნიკური ექსპერტის შედეგად კი გაირკვა, რომ ტაქსი „ვოლგა“ დაზიანებული იქნა მოყვანილი მანქანა „ბობედა“, რითაც გამოვლენილი იქნა დამნაშავე მძღოლი გასყვარელიძე.

კიდევ უფრო საყურადღებოა დანაშაულის გახსნის შემდეგი მაგალითი. მიმდინარე წლის 8 სექტემბერს ღამის პირველ საათზე სოფელ დიდი თონეთის საფოსტო განყოფილება გატეხეს. წაიღეს რკინის საღარო — ფუფლითა და სახელმწიფო სესხის სამპროცენტური ობლიგაციებით. გატეხილი საღარო დილის 9 საათზე სოფლის სასაფლაოსთან იქნა ნაპოვნი. მის გვერდით ეგდო ქვა, რომელსაც ლაქები ეტყობოდა. საღაროს ეჩინოდა, რომ ქვის დარტყმით იყო გატეხილი. გატეხილი საღარო, ქვა, ექვით დაკავებული მოქალაქე შ. დემეტრაშვილი (რომელსაც მარჯვენა ხელის შუა თითი ჰქონდა დაზიანებული) და სისხლის ნიმუში ექსპერტის ჩასატარებლად გადაგზავნილი იქნა სამე-



ცნიერო-ტექნიკურ განყოფილებაში. ბიოლოგიური ექსპერტიზით დადგინდა, რომ ქვაზე სისხლის ლაქებია და არის იმ ჯგუფის, რომელსაც ეკუთვნის შ. დემეტრაშვილის სისხლის ნიმუშიც. ამავე დროს სპექტრალური ანალიზით დადასტურდა, რომ გატეხილ სალაროზე შემორჩენილი, ერთი შეხედვით თვალისთვის შეუმჩნეველი, ქვის ნაწილაკები ეკუთვნოდა ქვას, რომელზედაც სისხლის ლაქები იყო. ამით აშკარა გახდა, რომ ბოროტმოქმედება ნამდვილად იყო ჩადენილი შ. დემეტრაშვილის მიერ.

სამწუხაროდ, ზოგჯერ დროულად ვერ იქნებენ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს დანაშაულის გახსნისათვის, რაც აფერხებს და აჭიანურებს ბოროტმოქმედთა გამოვლენებს.

ამის შესახებ სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების უფროსმა განაცხადა:

— არის შემთხვევები, როდესაც მილიციის ზოგიერთი მუშაკი დროზე და სწორად არ იყენებს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს და ექსპერტებს. მაგალითად, 1960 წლის პირველ აგვისტოს თბილისის მილიციის 26 კომისრების რაიონული განყოფილების მუშაკებმა საგამომძიებლო ექსპერიმენტზე დასასწრებლად ექსპერტის გაგზავნა მოგვთხოვეს. ექსპერტმა შ. კვიციანიშვილმა ექსპერიმენტის ჩატარების დროს გამოარკვია, რომ ფარდული ფანჯრის მინის შეტეხვის საშუალებით იყო გაქურდული. პირველი დათვალიერების დროს მილიციის მუშაკებს ნატეხებზე სისხლით დასვრილი ხელის კვალი უნახავთ, მაგრამ მაშინ არა თუ ამოუღიათ, ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ექსპერიმენტის ჩატარების დროს კი ეს კვალი აღარ აღმოჩნდა და საქმის გახსნის რეალური საშუალებაც დაიკარგა.

ეს იმას ნიშნავს, რომ მილიციის ზოგიერთ მუშაკს ჯერ კიდევ კარგად არ ესმის სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ღირებულება სისხლის სამართლის საქმეთა გახსნაში. პროკურატურისა და მილიციის ოპერატიულმა მუშაკებმა მხედველობაში აუცილებლად უნდა მიიღონ შემდეგი: შემთხვევის ადგილას და-

ცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დათვალიერების დამთავრებამდე, შეტყობინების მიღებისთანავე ოპერატიული მუშაკები დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავრონ შემთხვევის ადგილას დასათვალიერებლად, დათვალიერება უნდა ჩატარდეს კვალიფიციურად, მაღალტექნიკურ დონეზე. დროზე და აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული კრიმინალისტიკის სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები.

— სხვა სიძნელეებს თუ აწყდება სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილება? — შევეცდით ლ. გოგიტაშვილს.

— სამწუხაროდ კი. ჯერ კიდევ საკმარისად არა გვაქვს მოწყობილი და აღჭურვილი შესაფერისი ტექნიკით ჩვენი სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ლაბორატორიები. ამას გარდა ზოგიერთი მილიციის განყოფილებისა და პროკურატურის მუშაკები ზედმეტად გვტვირთავენ ცივი იარაღების გამოკვლევებით. ხშირად გამოსაკვლევად გვიგზავნიან ჯიბის, საღილისა და სამზარეულო დანებს ან ხანჯლებს, სანადირო და ფინურ დანებს, მაშინ, როდესაც გამოკვლევის გარეშეც საექვო არ უნდა იყოს, რომ პირველი ჯგუფი ცივი იარაღს არ მიეკუთვნება, მეორე კი აშკარა ცივი იარაღია. იმის გამო რომ მილიციის განყოფილების ოპერატიულმა მუშაკებმა ფოტოგრაფია არ იციან, ჩვენი ექსპერტები ბევრ დროს კარგავენ სხვადასხვა მარტივ ოპერატიულ ღონისძიებათა ფოტოგრაფირებაზე. ზოგიერთ მუშაკს ჯერ კიდევ აქვს მცდარი წარმოდგენა, თითქოს ყოველგვარი ფოტოგრაფირების საჭიროების დროს აუცილებელია სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ექსპერტის გამოძახება, მილიციის ყოველ ოპერატიულ მუშაკს ფოტო აპარატის გამოყენება უნდა შეეძლოს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ექსპერტიზის ჩასატარებლად შემოსული მასალების შესწავლიდან ირკვევა, მილიციის და პროკურატურის ბევრმა მუშაკმა ცუდად იცის კრიმინალისტიკა, თუმცა მათ დამთავრებული აქვთ მილიციის სკოლა ან სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მათ არ იციან შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ნივთბუთებისა და კვალის ამოღების და

შეფუთვის წესი, სწორად არ აყენებენ კითხვებს ექსპერტიზის წინაშე, არ იციან ექსპერტიზის ჩასატარებლად რა მასალა უნდა გამოგზავნონ. ვფიქრობ, ერთერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იქნება ის, რომ მილიციის სკოლამ და სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა მკიდრო კავშირი დაამყარონ პრაქტიკულ მუშაკებთან, მათი გამოცდილება გამოიყენონ კრიმინალისტიკის სწავლების გაუმჯობესებისათვის...

არსებული სიძნელების დასაძლევად სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებას მნიშვნელოვანი ღონისძიებანი აქვს დასახული. უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებულია მილიციის დაწესებულებების ოპერატიულ სამომხმობლო საქმიანობაში სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდების ფართოდ დანერგვა. ამ მიზნით განყოფილების ექსპერტებმა უკვე დაიწყეს სპეციალური ალბომების შევსება. ალბომებში მოთავსდება ყველა მნიშვნელოვანი შემთხვევის ილუსტრაცია, სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდების გამოყენებით ნაჩვენები იქნება რთული სისხლის სამართლის საქმეების გახსნა, რის შემდეგ მოახდენენ ამ შემთხვევების განზოგადებას ოპერატიულ მუშაკთა სწავლებებისათვის. ექსპერტებს დავალებული აქვთ თავიანთი სპეციალობის მიხედვით დაწერონ

საშუალებათა გამოყენების მნიშვნელობაზე, შემთხვევის ადგილის დათვალიერებაზე.

განყოფილება მიმდინარე წელს მილიციის განყოფილებათა უმრავლესობას მოუშაადებს თითო მუშაკს, რომელსაც კარგად ეცოდინება შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ოპერატიული ჩანთის გამოყენება. მილიციის ოპერატიული მუშაკებისათვის სისტემატურად ჩატარდება ლექციები თემაზე „სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მნიშვნელობა“, რასაც თან დაერთვება შესაბამისი კინოსურათების ჩვენება.

გამოცდილებათა გაზიარების მიზნით განყოფილებას განზრახული აქვს მეტი ურთიერთკავშირის დამყარება მოკავშირე რესპუბლიკების მილიციის სამეცნიერო-ტექნიკურ განყოფილებებთან. ამასთან, ექსპერტთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მომავალ წელს მოსკოვის სამეცნიერო-კრიმინალისტიკურ ინსტიტუტში ათდღიან სტაჟირებაზე ოთხი თანამშრომელი გაიგზავნება, ხოლო თბილისში პერიფერიებიდან ადგილობრივ მუშაკებს გამოძახებენ.

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მრავალი მძიმე დანაშაულის გახსნის საქმეს.

უ. ქსიტაშვილი.



მეკავშირის საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის
ისტორიაში XVI-XVII ს. ს.

ბროფესორი იანა ცინცაძე

მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში, კასპიის ზღვაზე ასლად გამოსული რუსეთი ამიერკავკასიაში შეგემონობისათვის ბრძოლაში ჩაება და სიფრთხილით დაიწყო დასაყრდენის მოპოვება, ჯერ ჩრდილოეთ-კავკასიაში, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიაში. თითქოს სხვაგან სადელოფლო არ იშოვებოდა, ჩერქეზთა ბატონის ასული შეირთო, სიმამრის მტერთაგან დაცვა მოიმიზეზა, ჩერქეზეთში საქმაოდ დიდი ციხე-სიმაგრე ააგო და გარნიზონი ჩააყენა. ამ ოსტატურად დაგეგმილი გზით იოანე IV-ს რუსეთი ჩრდილო-კავკასიაში შემოიჭრა და ყირიმ-დაღესტანზე დაყრდნობილი თურქეთის ხაზი შუაზე გადაჭკვეთა.

1565 წელს იოანე IV-ემ დაღესტნელების მიერ შევიწროებულ კახეთის სამეფოს გამოუწოდა ხელი და კახეთის ციხეებში კაზაკების რაზმი ჩააყენა. რუსეთის გამოჩენა ამიერკავკასიის ჰორიზონტზე კახეთის პოლიტიკოსებს სასიამოვნოდ დარჩათ, რუსეთის დიპლომატიას არ გაუძნელდა კახეთის მეფის დათანხმება ვასალიტეტის საფუძველზე რუსეთის მფარველობაში შესულიყო. 1587 წელს სათანადო იურიდიული საბუთებით გაფორმდა, აღექსანდრე ცხთა მეფემ რუსეთის ერთგულებაზე ფიცი მიიღო და „ფიცის წიგნზე“ ხელი მოაწერა, რუსეთიდან კი „წყალბობის სიგელი“ მორათვეს. რადგანაც ამ დროს, ამიერკავკასიაში მტკიცე დასაყრდენის მოპოვებაში რუსეთს ძლიერი თურქეთი უშლიდა ხელს, რუსეთის დიპლომატიამ თურქეთის მიერ შევიწროებულ ირანთან მოლაპარაკება გამართა თურქეთის წინააღმდეგ კავშირის შესაჩერებლად. ირანში ამ დროს ტახტზე ახლად ასული ცაიერი შაჰ-აბას I ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეებს და რუსეთის წინააღმდეგე მავნივე თანხმობა განაცხადა. თავი მოკატუნა, ხმები გაავრცელა, ვითომ ფარულად ქრისტიანი იყო. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებსაც აიშენებდა, თურქეთის საწინააღმდეგო კოალიციაში აქტიურ მონაწილეობას მივიღებ და თურქეთის დაქცევის შემდეგ სპარსეთს

ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოვაქცევო. რა ქრისტეს მოყვარული ბრძანდებოდა შაჰ-აბას პირველი, ახლა ამაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის. რუსეთის დიპლომატია დაარწმუნა, რომ ირანის ახალი მმართველი რუსეთის ბუნებრივი მოკავშირე იქნებოდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს და ახლა რუსეთი შეეცადა კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში გადასვლის აქტზე ირანის შაჰის დასტურიც მიეღო (კახეთის სამეფო ხომ ირანისეულად ითვლებოდა ამ დროს). რის იმედი ჰქონდა მოსკოვის მავნიდელ დიპლომატიას, როცა ირანისაგან უომრად კახეთზე პატრონობის დასტურის მიღებას ვარაუდობდა, პირდაპირი დოკუმენტებიდან არ ჩანს, მაგრამ საფიქრელია, რომ მოსკოვში თვით ირანელმა დიპლომატებმა განზრახ ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, თითქოს კახეთის დათმობა ირანისათვის სიძნელეს არ წარმოადგენდა, თუ კი რუსეთი თურქეთის წინააღმდეგ ომში მოკავშირეობას იკისრებდა.

ამ დროს კახეთი ირანისაგან ფაქტიურად მოწყვეტილი ჩანს, შუაზე თურქეთი არის ჩამოწოლილი. ამ პირობებში მოსკოვის საგარეო საქმეთა საგანგეო ირანის შაჰისაგან კახეთზე პატრონობის დასტურის მიღებას ადვილად დაუსისხლოდ მოელოდა. საგანგებოდ მოვლენილ „დიდ ელჩს“, თავად ზვენიგოროდსკის, ირანის შაჰის კარზე მძევლად მყოფ კახეთის მეფის აღექსანდრეს შვილის, კონსტანტინე ბატონი-შვილის მოსკოვში წამოყვანა დაევადა. ირანის შაჰის თანხმობა კონსტანტინეს მოსკოვში გამგზავრების წინააღმდეგე, დიპლომატიურ ენაზე, კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში გადასვლაზე დასტურის მიცემას ნიშნავდა. რუსეთის მავნიდელი ფაქტიური მფლობელი, ბორის გოდუნოვი, შაჰ-აბასს სწერდა:

„Олександр царь Абасшахову в-ву и без закладу будет крепое, коли с великим государем нашим (იგულისხმება რუსეთის მეფე სუსტკონება თევდორე ივანეს-ძე) ВАШЕ В-ВО в крепкой дружбе и любви учинился“.¹

მოტიანილი ტექსტიდან ნათლად დინახავს მკითხველი, როგორ ოსტატურად სურს რუსეთის დიპლომატიას კონსტანტინე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების პოლიტიკური არსი დაჭაროს. ირანის შაჰს ბორის გოდუნოვი იმით ამშვიდებს, რომ, რაკი კახეთი რუსეთის მფარველობაში და ხელქვეით მყოფია, ირანს აღარავითარი ფიქრი არ უნდა ექნეს კახეთის მხრით დღაატის, იმდენად, რამდენადაც კახეთის ახალი პატრონი — რუსეთი ირანის მეგობარი და მოკავშირე არის საერთო მტრის, თურქეთის, წინააღმდეგო. ჴვენიგოროდსკი ფრთხილად შედგომია საქმეს. მას შაჰისათვის დრო შეურჩევია მისი აზრით, იგი ხანაგარიშო მოხსენებაში წერს: „И как шах почел быти на веселе... говорил шаху о грузинском царевиче...“² ანდრია ჴვენიგოროდსკის შაჰისათვის უთხოვია, რომ, რადგანაც კახეთი მოსკოვის ხელქვეითი არის მისივე სურვილის გამო, ამავე დროს იგი ქრისტიანული ქვეყანაა, მოსკოვის ხელმწიფისადმი ძმური სიყვარულის ნიშნად კონსტანტინე ბატონიშვილი მოსკოვში გაგზავნეო. როგორც ჴვენიგოროდსკის იმავე საანგარიშო მოხსენებიდან ჩანს, შაჰ-აბასმა საკმაოდ მოხერხებული სცენა გაითამაშა კონსტანტინე ბატონიშვილთან ერთად. რუსეთის ელჩს მაშინვე დადებითი პასუხი გასცა, თითქოს მოსკოვის მეფისადმი ძმური სიყვარულის ნიშნად, კონსტანტინეს რუსეთში გაგზავნაზე ვითომ უარს როგორ იკადრებდა, მაგრამ კონსტანტინეს თანხმობის გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა არ შემოიძლიანო და იქვე მყოფი ბატონიშვილისათვის უკითხავს შაჰს: ისურვებდა თუ არა იგი მოსკოვში წახვლას და იქ დარჩენას.

საფიქრებელია, რომ კონსტანტინე ბატონიშვილი შემთხვევით არ ყოფილა შაჰთან ელჩის მიღების დღეს. კახეთის მძევლის დემონსტრირებას, ჴვენიგოროდსკის მიღების დღეს, თავისი შინაარსი ჰქონდა — ამით შაჰი რუსეთის

ელჩს ირან-კახეთის დამოკიდებულებების ხაზგასმით აუწყებდა დიპლომატიურ ენაზე.

კონსტანტინეს შაჰის შეკითხვაზე — მოსკოვში გამგზავრების შესახებ, კატეგორიული უარი განუცხადებია. კონსტანტინეს, ირანის სამეფო კარზე აღზრდილს, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რას ნიშნავდა მისთვის მოსკოვში გამგზავრებაზე სურვილის გამოშუადვნება, რომ ასეთი მას სინამდვილეში ჰქონოდა. იგი ხომ ირანის საზღვრებიდან ცოცხალი ვერ გავიდოდა. მაგრამ ირანის შაჰს რუსეთის ელჩი რომ თავის ვანცხადების გულწრფელობაში დაერწმუნებინა, ჴვენიგოროდსკისათვის ურჩევია — კონსტანტინე ბატონიშვილს შესაძლებელია აქ ჩემი მოერიდა, შერცხვა და პასუხი გულწრფელად ვერ მოგცვა, ამიტომ სხვა დროს დაიბარე მარტო, თქვენს ბინაზე, ან მის ბინაზე ინახულეთ, მოელაპარაკეთ და თუ სურვილი განაცხადოს წაიყვანეთო, თორემ ძალდატანება მე პირადად შემწელება და ვერ გაგატანო. თითქოს შაჰაბასს თავის სიცოცხლეში ძალდატანებითი აქტი არასოდეს ჩაედინოს და ისიც ქართველების მიმართ, ჩვენ არ ვიცით დანამდელებით დაიჭრა ჴვენიგოროდსკიმ შაჰ-აბასის „გულწრფელობა“, თუ ყოველ შემთხვევისათვის მოქმედებდა, იგი მართლა ეძებდა შემთხვევას კონსტანტინე ენახა ბინაზე და ცალკე მოლაპარაკებოდა მას, თავამოდებული ეძია კონსტანტინე, მაგრამ ვერსად იპოვა კვირის განმავლობაში. ვითომ სანადიროთ იყო წახსული.

ღვენიგოროდსკის სხვა გზითაც აგრძნობინეს, რომ რუსეთ-ირანის შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა ირანს არ ავალდებულებს კახეთზე ხელი აიღოს. ანდრია ჴვენიგოროდსკისათვის შაჰ-აბასს უკითხავს, მოსკოვის მეფის ელჩები კახეთში თუ დადიანო, ჴვენიგოროდსკის დადებითი პასუხის შემდეგ შაჰის პასუხს ასე გადმოგვცემს ელჩი: „Из потому спросил, что издавна грузинские князи бывали наши подданные“.³ ამას გარდა, ჴვენიგოროდსკის ახლა აღექსანდრე კახთა მეფის პიროვნება უარყოფითად დაუხასიათეს, მას არაფერი არ დაეჭრებოდა, ჩვენც ვგატყუილებს, თქვენც ვატყუილებს და იმავე დროს თურქეთს 30 საპაღენ აბრეშუმს უგზავნის ყო-

¹ Веселовский. Памятники дипломат. и торг. снош. Моск. Руси с Персией. 33. 237.

² Веселовский. Памятники 33. 263.

³ Белокуров, Материалы... 33. 569.

ველწლიურადო. და ბოლოს როდესაც ზენიგოროდსკი შაჰ-ახასის მახლობელ მრჩეველს ფერღათ-ხანს არ მოეშვა და კონსტანტინე ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების ნებართვა და შუამდგომლობა თხოვა, ფერღათ-ხანს უპასუხნია: „...а коли Александра царь грузинской учинился под государя вашего рукою, и он чего для не пошлет другово сына своего государю вашему“.¹

ზენიგოროდსკი არწმუნებდა ფერღათ-ხანს, რომ ალექსანდრე მეფის სხვა შვილები რუსეთისათვის საინტერესო არ არის, რადგანაც მხოლოდ კონსტანტინეს რუსეთში გაგზავნით შეიძლება შაჰის მოსკოვის მეფისადმი მეგობრული და ძმური სიყვარულის გრძნობების სრული გამოაშკარავებაო.

კონსტანტინე ბატონიშვილის გამო მოსკოველ ელჩის ირანში საქმიანობას, აქ, ამდენი ადგილი იმითომ დავუთმეთ, რომ გამოგვერკვია — მძევლის აყვანის ღონისძიებას მიმართავდა თუ არა მოსკოვის სახელმწიფო კახეთთან ურთიერთობის დროს. წარმოდგენილ მასალიდან ჩვენ ისეთ შთაბეჭდილებას ვღებულობთ, რომ კახეთის სამეფოდან მოსკოვს მძევალი არ მიჰყავდა. კონსტანტინეს საკითხი იმისათვის აღძრულა, რომ ირანის შაჰისაგან კახეთი მოუდევარი გაეხადა. კონსტანტინეზე საუბარი არსებითად კახეთის დათმობაზე საუბარი იყო. ალექსანდრე კახეთა მეფისათვის მოსკოვის დიპლომატიას მძევალი არასოდეს არ მოუთხოვია, ალექსანდრე მეფეს კონსტანტინეს გარდა სხვა ვაჟიშვილიც ჰყავდა ხომ. პირიქით, მოსკოველი ხელისუფალი ალექსანდრეს წინადადებას აძლევდა, რომ მას მძევალი ამიერიდან არავისთვის არ მიეცა. მხოლოდ შაჰის კარზე მძევლად მყოფ კონსტანტინე ბატონიშვილის რუსეთში წაყვანასურთ მინცდამინც. კონსტანტინეს საქართველოში დაბრუნებაც არ აკმაყოფილებს რუსეთის დიპლომატიას, ალექსანდრე მეფეს რუსეთიდან სწერდენ: „И ты бы сына своего вперед у кизылбашского шаха не держал взяв его в себе к великому государю на шему прислал“. თითქმის მძევლის სპარსეთიდან წამოყვანა ქართველ მეფეზე ყოფილიყოს დამოკიდებული. ეტყობა კონსტანტინეს მოსკოვში აღარ ენდობიან, იგი შესწავლილი ჰყავთ და მისი, იმედი აღარა აქვთ. კახეთში მი-

სი გამეფების შესაძლებლობა რუსეთში საჭირო სათვის საზიანოდ მიაჩნიათ. მოსკოვში მიყვანილი კონსტანტინე კახეთის სამეფოს მძევალი კი არ იქნებოდა, არამედ ირანულ ორიენტაციის ქართველი ბატონიშვილი, კახეთის სამეფოს საქმეებიდან იზოლირებული. მკვლარი კონსტანტინე უფრო ხელსაყრელი იყო რუსეთისათვის, ვინემ ცოცხალი და საქართველოში ან რუსეთში მყოფი. როდესაც კონსტანტინე კახელებმა მოკლეს, რუსეთის სამეფო კარზე ამ ფაქტს კმაყოფილებით შეხვდნენ.

მოკალი ცნობების ჩვენებური გაგება სრულიადაც იმას არ ჰგულისხმობს, რომ რუსეთის დიპლომატიკა კახეთის სამეფოს მიმართ ქრისტიანულ კაცთმოყვარეობის პრინციპით ხელმძღვანელობდა და მძევლის აყვანას კახეთიდან არ იკადრებდა, თუკი ეს საქმისათვის საჭირო იქნებოდა. მძევალი კახეთიდან დასაერთოდ საქართველოდან იმდროს მოსკოვის დიპლომატიკას არ სჭირებოდა.

ამგვარად, მძევლის წაყვანას მართო სურვილი ვერ გადაწყვეტდა, მძევალს ძალა სჭირებოდა, რომელიც მე-16 საუკუნის მოსკოვს ამიერკავკასიაში არ გააჩნდა.

მეორე ცნობა, რომელიც ქართველი ბატონიშვილის მოსკოვში გამგზავრებას და იქ დატოვებას შეეხება, დაცული არის 1539 წელს ბორის გოდუნოვის მიერ (რუსეთის მაშინდელი ფაქტური მმართველის) ალექსანდრე კახთა მეფისადმი გამოგზავნილ წერილში. აქ ერთგან ბორის გოდუნოვი ქართველ მეფეს აუწყებს, რომ მოსკოვში აშბავი მიიტანეს ელჩებმა იმის შესახებ, რომ ალექსანდრე მეფეს მისი მოწინააღმდეგე ძმისწულეები ჰყავს დატყვევებული. ბორის გოდუნოვი თხოვს ალექსანდრე მეფეს ამ ბატონიშვილების მოსკოვში გაგზავნას, ამასთანავე პირობას აძლევს, რომ რუსეთის მეფე ალექსანდრე მეფის სურვილის გარეშე არ გაუშვებს მათ; „А государь наш мимо твою волю от себя не отпустит, и как с своим послом к нему к великому государю прикажеш, потому и учинити велит“.

ბორის გოდუნოვი ამ ბატონიშვილების რუსეთში გაგზავნის საჭიროებას ასე განუმარტავს ალექსანდრე მეფეს: „...те твои племянники в те поры побудут при государе нашем его царском величестве, и всем окольным госу-

дарем то будет пристрашно“.¹ შესაძლებელია ბორის გოდუნოვის ეს ახსნა-განმარტება გულწრფელი იყო. ჩრდილოეთზე ორიენტირებული ალექსანდრე კახთა მეფის მოწინააღმდეგე ბატონიშვილების, ისიც სპარსეთის და თურქეთის დანმარების მოიმედებების, კახეთის საპყრობილეში დატოვება, რუსეთის დიპლომატიას საშიშად უნდა მთიქნია, როგორც ალექსანდრე კახთა მეფისათვის, ისე თვით რუსეთისათვის. კახეთის მეფეს ხომ ძალია არ ჰქონდა — თურქეთისა და ირანის შემოტევას გამკლავებოდა. ასეთ ვითარებაში, ტყვე ბატონიშვილების რუსეთში გამგზავრებას, ალექსანდრე მეფე მხარს დაუჭერდა ეგონათ რუსეთის დიპლომატებს.

კახეთში ბორის გოდუნოვის წინადადება ვაკვირვებითა და არ მოსწონებიათ. ამის გამო ალექსანდრე მეფე ბორის გოდუნოვს საპასუხო წერილში წერდა: „... писал к ѱ мнѣ, что-бы мнѣ, отпустить племянников своих, которые сидят в пойманые для своей вины, чтобы их к государю прислать. И мы то выслушали и о том велии подивилися и в царской грамоте не написано было, а государев посол из уст говорил, и мы б его слову не верили для того, воистину гдивное дело есть; от такова великого осудяря для такова дела печальнику тати“².

როგორც ჩანს, კახეთში ბორის გოდუნოვის წინადადება ისე გაიგეს, თითქოს რუსეთის სამეფო კარი ტყვე ბატონიშვილებს ჰირსიფულობდეს და მათი განთავისუფლებისათვის ზრუნავდეს. ამიტომ ალექსანდრე მეფის საპასუხო წერილში დაწვრილებით არის აღწერილი ტყვე ბატონიშვილების დანაშაული ქრისტიანობისა და სამშობლოს წინაშე. ამ დროისათვის ალექსანდრე მეფე ტყვე ბატონიშვილებისათვის ანგარიში უკვე გაესწორებინა. ერთი ტყვეობაში მომკვდარიყო, მეორისათვის თვალები ამოეწვათ შანთით. მათი რუსეთში გამგზავრების შესახებ შედეგე მიმოწერაში სიტყვაც არ არის ნათქვამი.

არსებული მასალიდან არ ჩანს, რომ რუსეთის დიპლომატიას ტყვე ბატონიშვილები კახეთის მძევლებად ეყოლებოდათ რუსეთში. მძევლად მეფის ოჯახიდან საქვარელი შვილი მიჰყავდათ, რათა მეფის საგარეო პოლიტიკის ზაზით თავის სურვილებისამებრ ნაბიჯი არ გადაედგა. ალექსანდრე მეფისათვის ტყვე ბატონიშვილების სიკვდილი სასურველი აქტი იყო.

ისე რომ, სამძევლოდ ასეთი ოჯახის წევრებს აყვანას აზრი არ ექნებოდა.

მაგრამ კახეთის მეფისათვის, მის მიერ სასიკვდილოდ გამეტებული ბატონიშვილების რუსეთის სამეფო კარზე ყოფნა, საეჭვო და არასასურველი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ალექსანდრეს მოწინააღმდეგე ბატონიშვილების რუსეთში ყოფნა, რუსეთის დიპლომატიას უპირატესობაში აყენებდა, მას საშუალება ეძლეოდა კახეთის მეფე მუქარის ქვეშ ჰყოლოდა. ფიქრობდა თუ არა საჭირო შემთხვევაში ბატონიშვილების ამ სახით გამოყენებას ბორის გოდუნოვი, ჩვენ არ ვიცით (საამისოდ არავითარი ცნობა შემონახული არ არის), მაგრამ კახეთის მეფე და მისი მრჩეველები რომ დაქვევებულან და ამის გამო ბორის გოდუნოვს საყვედურით პასუხობენ, ეს შემომოტანილი ამონაწერიდან კარგად მოჩანს.

შემდეგი ცნობა, რომელიც ქართველი ბატონიშვილის მოსკოვში გამგზავრებას ეხება, დაცული არის 1604-5 წლებში კახეთში გამოგზავნილ რუსეთის ელჩის, ტატიშჩევის, საანგარიშო მოხსენებაში.

ცნობილია, რომ 1598-1605 წლებში რუსეთის სამეფო ტახტზე გოდუნოვების დინასტია გაბატონდა და მიუხედავად მრავალი ღონისძიებისა, ახალმა დინასტიამ ტახტის შენარჩუნება ვერ მოახერხა. 1604-5 წლებში ბორის გოდუნოვს საქართველოს დინასტიასთან დანათესავება ვანუზრახავს. არ ვიქნებით მართალი, თუ ბორის გოდუნოვის ამ ცდას შემთხვევით მოვლენად ჩავთვლით. ბაგრატიონების დინასტიასთან დანათესავების ცდა პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარანხვევი. ბორის გოდუნოვი საკმაოდ გამოცდილი და საქმეში ჩახედული ბოიარი იყო. ცნობილი არის, რომ ყოველი დინასტია ცდილობდა თავისი გვარშთამოება უცხო ქვეყნის დინასტიასთან ნათესაურად დაეკავშირებინა. საამისოდ უმეტეს შემთხვევაში, სინამდვილეში არ არსებულ ფაქტებს განზრახ თხზავდნენ. ყველასათვის ცნობილია რით ხელმძღვანელობდა მოსკოვის მთავარი, როცა სოფიო პალეოლოგი, ბიზანტიის კეისრების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, დედოფლად მოჰყავდა მოსკოვში.

მეორეხარისხოვან ბოიარის — გოდუნოვის ტახტზე ასვლა, იმ დროს, როცა რიურკელები დინასტიის უშუალო წარმომადგენლები შუისკები, სტაროდუბსკები და სხვები იქვე მოსკოვის დიდი მთავრის ტახტთან პირველი კატე-

¹ Белокуров, Материалы 33. 261.

² იქვე, 33. 263—264.

საქართველო
1918-1919

გორიის ბოიარებათ იყვნენ, უდავოდ სახიფათო საქმე იყო გოდუნოვისათვის, იმ გოდუნოვისათვის, რომელიც იონანე IV პოლიტიკის გარძელებით ფიქრობდა სახელმწიფოს შინაგან და გარე ძლიერების განმტკიცებას. ცხადია, მისთვის სრულიადაც ხელსაყრელი არ იყო რუსეთის ბოიარებთან სისხლით დანათესავება. მე-16 საუკუნის მიწურულისათვის საქაო ცნობები ჰქონდათ რუსეთში ბაგრატიონთა დინასტიის „ბიბლიური წარმოშობის შესახებ“.

რუსეთის ელჩ ტატიშჩევს ქართლის სამეფოში მიუგენია ბორის გოდუნოვის ოჯახისათვის შესაფერი სარძლოსა და სასიძოსათვის, მაგრამ, როგორც ამ ელჩის საანგარიშო მოხსენებიდან ჩანს, არც ისე მარტივად დალაწვევტილა ქართლის სამეფო კარზე რუსეთის სამეფო ოჯახთან დანათესავების საკითხი. ქართლელი მეფის ასულის მოსკოვში სადღეოფლოდ გამგზავრების საკითხი მარტო გვირგვინოსან მშობლების კომპეტენციას არ შეადგენდა, რადგანაც ამ აქტს მაშინ პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენ არ ვიცით როგორ მსჯელობდა ამ საკითხის გარშემო ქართლის სამეფო დარბაზი, მაგრამ ქართველი მეფის იმ პასუხიდან, რომელიც მას რუსეთის ელჩისათვის გაუცია, დიდებულითა თათბირის შემდეგ, ჩანს, რომ ქართველ დიდებულებს საუბარი ჰქონიათ საერთოდ რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მიზანშეწონილობის საკითხზე. მეფის ასულის რუსეთში სადღეოფლოდ გაგზავნა დადებითად გადაწყვეტილა დარბაზის თათბირზე, მაგრამ რუსეთის მფარველობაში გადასვლა და მეზობელ თურქეთთან და ირანთან ამის გამო ურთიერთობის გამწვავების შესაძლებლობა აწუხებთ.¹

რუსეთის სახელმწიფოს საზღვრების სისწორე აშინებდა თურმე ქართველ პოლიტიკოსებს. ქართველი მეფის სიტყვებს ასე ვაღმარავებებს ელჩი ტატიშჩევი: „... к нам его государева милость велика; только государство наше от великого государя вашего поудалело и помоч его государства далка. А услышат ныне недруги, что аз Юрьи царь учинился под в. г. рукою... и они на меня встанут... А бусурманские государи хотя кому сказываюцца и други, а верити им нечему“² რუსეთთან დამეგობრების შედეგი, სამაგალითოდ, კახეთში ჰქონდათ ქართლელ პოლიტიკოსებს. აღექსანდრე კახთა მეფე და მისი უფროსი შვილი გიორგი, კონსტანტინე ბატონ

ნიშვილს, ირანის შაჰის კარნახით, ერთ თვის მოკლული ჰყავდა და რუსეთის ელჩს მიუთითაკიდევ გიორგი ქართლის მეფემ: „самим вам известно, что учинилось над Александром царем и над сыном его Юрьем царевичем“³ ჩვენთვის ახლა საქაირი არ არის მთელი ამ მოლაპარაკების შინაარსი აქ მოვიტანოთ. და თუ მაინც აქ ზემოთ საუბარი გვექონდა მხოლოდ იმიტომ, რომ მეფის ოჯახის წევრის რუსეთში გამგზავრება მარტივად გადასაწყვეტი საკითხი რომ არ იყო, ამ გარემოებისათვის გვინდოდა ხაზი გაგვესვა და ამასთანავე აღგვენიშნა, რომ რუსეთი ამ შემთხვევაშიც მძევალს კი არ ეძებდა, არამედ ახალი დინასტიისათვის საჭირო, საყოველთაოდ ცნობილ სამეფო ოჯახთან, სისხლით დანათესავებას.

ამავე დროს, ბორის გოდუნოვი თავისი ქალიშვილისათვის საქმროს ეძებდა საქართველოში ბაგრატიონთა შთამომავალს. ასეთი შეარჩიეს კიდევ — ხოსრო ბატონიშვილი. მაგრამ რუსეთის სამეფო კარს საქართველოში ქალის გამოთხოვება კი არ უნდა, არამედ ქართველი ბატონიშვილიც მოსკოვში სურთ წაიყვანონ შედსიძედ. როგორც ჩანს, რუსეთის სამეფო კარმა კარგად იცის რაოდენ არა რეალური იქნება ჯერ-ჯერობით მისი მფარველობა საქართველოში და მტრებით გარს შემორტყმულ ბატონიშვილის გამოთხოვება ვეღარ გაუბედა.

ხოსრო ბატონიშვილი, რომელიც რუსეთის ელჩს მოეწონა ყოველმხრივ, პირდაპირი ქართლის ტახტის მემკვიდრე ბაგრატიონი არ ყოფილა, იგი მუხრანელ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი იყო და ასეთი ბატონიშვილების სიმრავლე და ქართლის სამეფო ტახტთან ახლო ყოფნა არც ისე ქართველი მოვლენა უნდა ყოფილიყო იმდროის საქართველოში ქართველი მეფისათვის. საფიქრებელია, რომ ხოსრო ბატონიშვილის სამუდამოდ საქართველოდან ისე შორს გაგზავნა, როგორც მოსკოვი იყო, ერთის მოსაზრებით ცუდი არ იყო და ეს გარემოება მხედველობაში მიღებული უნდა ჰქონდეთ ქართლის მეფეს და მის მრჩევლებს.

მაგრამ აქ საფრთხეც მხედველობიდან არ გამოპარვიათ ქართლის დემოკრატებს. რუსეთის ელჩი ერთგან თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ქართლის მეფის ამ საკითხის გარშემო ვარაუდი ასე გამაცნოო, საგანგებოდ ამისათვის გამოგზავნილმა, ქართველმა არქი-

¹ Белокуров, Материалы... გვ. 499.

² იქვე, გვ. 499.

³ Белокуров, Материалы, გვ. 499.

ეპისკოპოსმა და მისმა მხლებლებმა: „...царь себе мыслит, что есть у него царевич его родства... меньшей брат Хоздрой добри добр и разумен; да царь от него блюдет: па: как будет у великого государя в милости,—и он любо поищет под ним государства“.¹ ასეთი საშიშროების თავიდან ასაცილებლად წინასწარ პირობას და გარანტიას მოითხოვენ. ტატიშჩევი აღნიშნავს, რომ მეფე ყოველგვარი საშუალებით ვარწმუნეთ, რომ მოსკოვის მეფე არ შეეცდება ხოსრო ბატონიშვილისათვის საქართველოში სამეფო ტახტი ეძიოსო. რუსეთის მეფე ქალიშვილს როცა მიათხოვებს არსად მას ამის შემდეგ რუსეთის სამეფოდან არ გამოუშვებო: „И послы им то отговаривали всякими мерами, чтоб царь себе того в мысли не держал... великий государь не отпустит его от себя никуда и устроит его в своем государстве по государскому чину... И многие речи о том говорили по наказу“.²

ბორის გოდუნოვის მისი ოჯახის წევრების რუსეთის ბოიართა წრიდან ამოშლა სურდა, მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილ საქართველოს დინასტიიდან სიძე რუსეთში სჭირდებოდა, ვითარცა გოდუნოვების დინასტიის მხარის დამჭერი, და სისხლით რუსეთის ბოიარბზე მაღლა მდგომი, ბოიართა და აზნაურთა დასების ისეთი ჭიდილის დროს, როგორც მოსკოვის სახელმწიფოში შეიქნა იმ დროს. ამდენად არც ხოსრო ბატონიშვილი იყო მძევლად გამიზნული რუსეთის დიპლომატიის მიერ. ქართლის ბეგრატორებისა და გოდუნოვების დინასტიების დანათესავებას, როგორც იტყვიან, ბედი არ ეწერა. 1605 წელს პოლონელებმა ცრუ დიმიტრი — „გრიშკა ოტრებიევი“ წამოასკუბეს მოსკოვის ტახტზე, ხოლო ამის შემდეგ რუსეთი სამოქალაქო ომმა მოიცვა.

მე-17 საუკუნის გარშემო გამოქვეყნებულ მასალიდან ცნობილია, რომ ქართველი ბატონიშვილი ერეკლე დავითის ძე ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, და რაც მთავარია, რუსეთის დიპლომატიის დაჟინებით მოთხოვნის შემდეგ, მოსკოვში იქნა გაგზავნილი და ათეული წლების განმავლობაში იქ იმყოფებოდა და, შეიძლება ითქვას, იქ გაიზარდა და დავაუკაცდა კიდევ. როდის დაისვა ერეკლე ბატონიშვი-

ლის მოსკოვში გამგზავრების საკითხი და ვინ ინიციატივა იყო იგი?

დღემდე გამოქვეყნებულ საარქივო დოკუმენტებიდან არ ჩანდა როდის და ვისი ინიციატივით წამოიწყო ეს საქმე. მხოლოდ პლონინს მიერ შედგენილი „Дела грузинские“³-ს მოკლე მიმოხილვაში არის აღნიშნული,³ რომ თეიმურაზ მეფემ, მე-17 საუკუნის ორმოციან წლებში, თავისი ელჩის „შახლიუჩევის“ (გ. ჩოლოყაშვილი) მეშვეობით საკითხი აღძრა ერთ-ერთი ქართველი ბატონიშვილის (თეიმურაზის შვილიშვილის) რუსეთის სამეფო კარზე წარგზავნის შესახებ. ახლა, განსვ. პროფ. მ. პოლივეტოვის მიერ გაწეულ შრომის შედეგად, ჩვენს ხელთ არის საარქივო მასალა, საიდანაც უტყუარი ცნობების მოშველება შეიძლება დასმული კითხვის საბოლოოდ გადასაჭრელად.

ქართველი ბატონიშვილის რუსეთში სამეფო კარზე წარგზავნის იდეა თვით თეიმურაზს ეკუთვნის, მაგრამ ეს შეეხება თავდაპირველად არა ერეკლე ბატონიშვილს, არამედ გიორგი ბატონიშვილს, ამ ერეკლეს უფროს ძმას. 1646 წელს თეიმურაზ მეფეს საგანგებო ელჩი გაუგზავნია რუსეთში — გიორგი ჩოლოყაშვილი (რუსულ წყაროებში შეცდომით „შახლიუჩევა“ მოხსენებული), რომელსაც დახმარების და შემწეობის გარდა — ორი საქმის მოგვარება ჰქონია დაავალებული: მოსკოვის მეფისათვის შეეთავაზებინა „საყმოდ“ გიორგი ბატონიშვილი (თეიმურაზის შვილის დავითის-ძე), ხოლო მეორე — უფროსი შვილიშვილისათვის, ლუარსაბ ბატონიშვილისათვის, საცოლედ მოსკოვის მეფის ალექსი მიხეილის ძის და გამოეთხოვა. თეიმურაზის წერილის რუსულ თარგმანში ვკითხულობთ: „а внука своего давидова царевича сына Григорья пришло в холопи к тебе великому государю к Москве. А за большово мово внука Давыдова ж царевичева сына Иасафа⁴ пожаловать изволить бы тебе великому государю выдать сестру свою государыню царевну. Для того дела аз послал к тебе... посла своего Григорья“ (გვ. 26).

ამ წერილის მიღებისთანავე თეიმურაზის ელჩი დაუკითხავთ საგარეო საქმეთა საგანგებო

¹ Белокуров, Материалы... გვ. 504.

² Белокуров, Материалы... გვ. 504.

³ М. Броссе, Переписка... грузинских царей с российскими государями от 1639 по 1770 г. 1861. გვ. LX.

⁴ უნდა იყოს „ლუარსაბი“.

და ცნობები შეუკრებიათ, რამდენი შვილი და შვილიშვილი ჰყავდა თეიმურაზს, რამდენი წლისანი არიან თეიმურაზის ოჯახის წევრები და სხვ. მაგრამ რომანოვების გვარის ქალის საქართველოში გამოთხოვებაზე პასუხი არ ჩანდა, დუმილი არჩიეს რუსეთში.

თეიმურაზი და მისი „თანაგამზრანნი“ საქმალდ ოსტატურად მოქმედებდნენ. თეიმურაზმა „ფიცის წიგნზე“ ორჯერ მოუწერა ხელი დიდი კამათისა და დავის შემდეგ რუსეთის მეფეს, მაგრამ წლები გადიოდა და რუსეთიდან დამხმარე ჯარი არ ჩანდა. მართალია, მას არაერთხელ მნიშვნელოვანი ფინანსიური დახმარება აღმოუჩინა რუსეთის მეფემ, მაგრამ ეს მის საქმეს არ შეველოდა, რეალურად მფარველობა, სიუზერენისათვის სავალდებულო, რუსეთიდან იკვიანებდა.

თეიმურაზის დიპლომატიის სუსტი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთში დაზვერვითი ხასიათის მუშაობა ძალიან ცუდათ ჰქონდა დაყენებული. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ ნამდვილი ცნობები არ ჰქონდათ საქართველოში.

ქართველი დიპლომატების მნიშვნელოვანი ჯგუფი უმთავრესად იმ ფაქტს აქცევდნენ ყურადღებას, რომ რუსეთი სპარსეთისა და საერთოდ აღმოსავლეთის ვაჭრობით იყო დაინტერესებული. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო არ იყო პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანის გადასწვეტად. ამ ფაქტთან ერთად ქართველ დიპლომატებს ისიც კარგად ახსოვდათ თითქმის როგორ ძალდატანებით წაიღეს ქართველი მეფეების მიერ ხელმოწერილი „ერთგულების ფიცის წიგნები“ რუსეთში. ყურადღება მისაქცევი იყო ის ფაქტიც, რომ რუსეთის სამეფო კარი მნიშვნელოვან თანხებს გზავნიდა „წყალობის“ სახით საქართველოში. ამ მონაცემების საფუძველზე ააგეს კახეთის მესვეურებმა სამშობლოს გადარჩენის გეგმა, რომელმაც მათ ირანთან სავალდებულო ხიდიც საფუძვლიანად ჩაატეხინა. ქართველი პოლიტიკოსების ერთ ნაწილს, თეიმურაზის მეთაურობით, რუსეთი იმაზე უფრო ძლიერად ჰყავდა წარმოდგენილი, ვინემ იგი ამ დროს სინამდვილეში იყო. რუსეთი ამიერკავკასიის საკითხს უფრო შორეული მომავლისათვის გეგმავდა, ვინემ ეს კახეთს ესაჭიროებოდა.

ახეთ ვითარებაში სერბს მიმართეს კახეთის დიპლომატიკა და რუსეთის სამეფო კარს, როგორც აღვნიშნეთ, დანათესავება შესთავაზეს.

რუსეთში თეიმურაზის წინადადება — ერთი ბატონიშვილის რუსეთის სამეფო კარზე „საყმოდ“ გაგზავნა, დიდი ინტერესი გამოიწვია. თეიმურაზის ასეთი თავგამოდებული ერთგულება და რუსეთთან ასეთი განუწყვეტელი კავშირის წინადადება მნიშვნელოვანი „საწინდარი“ მოეწონათ. საქართველოში თეიმურაზთან ელჩები მოავლინეს და დაუნიებთ მოითხოვდნენ ქართველი ბატონიშვილის მოსკოვში გამგზავრებას, თუ ორის არა, ერთი ბატონიშვილის აუცილებლად.

თეიმურაზის ვარაუდი ამ შემთხვევაში სწორი გამოდგა. როდესაც თეიმურაზმა ასეთი დანტერესება შეინიშნა რუსეთის დიპლომატიას, საქმე დინჯათ დაიჭირა, ბატონიშვილის გამგზავრებას არ ჩქარობდა. ახლა თეიმურაზი ელჩებთან მოლაპარაკების დროს „შეტევაზე“ გადადის და კატეგორიული ხასიათის კითხვას უყენებს: „ТОЛЬКО Я ПОШЛЮ К ЦАРСКОМУ ВЕЛИЧЕСТВУ ВНУКА СВОЕГО, ДАСТ ЛИ ГОСУДАРЬ ЗА НЕГО СЕСТРУ СВОЮ?“¹ რუსეთიდან დამაკმაყოფილებელი პასუხი მოხულა, თუ ბატონიშვილის რუსეთში გამოგზავნი, სადელიფლოს, მეფის ასულს, მაშინ გამოვამგზავრებთო: „И ТАКО БЫЛО ПОВЕЛЕНИЕ ВЕЛИКОГО ВАШЕГО ЦАРСТВИЯ; КАК-ДЕ ВЫ ПРИШЛЕТЕ ЦАРЕВИЧА, ТОГДА ДЕ МЫ И ЦАРЕВНУ ДАДИМ.“² ამის გამო თეიმურაზი რუსეთის მეფეს წერდა: მე პირობა შევასრულე, ჩემი შვილიშვილი გამოვგზავნე (ახლა საუბარია ერეკლე ბატონიშვილის გამგზავრებაზე), ახლა სადელიფლო გამოამგზავრეთო: „А МЫ ПОВЕЛЕНИЕ Н-РО ЦАРСКОГО В-ВА СОВТОРИЛИ, ЦАРЕВИЧА К ВАМ ПРИСЛАЛИ, ТОГДА ПРИШЛИТЕ И ВЫ ЦАРЕВНУ.“

ჩვენ პირდაპირი ცნობებით არ ვიცით, როგორ მსჯელობდნენ თათბირის დროს ქართველი დიპლომატები, როცა ქართველი ბატონიშვილის რუსეთში გამგზავრების საკითხს წვეტდნენ, მაგრამ ზოგიერთი მასალა შინც საშუალებას იძლევა თეიმურაზისა და მისი თანაგამზრანების მოსაზრებაზე ვარაუდი გავწიოთ...

როდესაც, რუსეთის ელჩებთან კამათის შემდეგ, თეიმურაზმა გაიგო რომ ქართველ ბატონიშვილს მოსკოვში მოუთმენლად მიეღიან, ელჩებისათვის კატეგორიულად განუცხადებია: და იველევის ელჩობა იმერეთში. 1926 წ., ისტ. ინსტ მიმომხილველი. ტ. II, 1951. იხ. ისტორიის არქივიდან (XVII ს.), გვ. 128.

1 მ. პოლიევეტოვი, ტოლოჩანოვისა და იველევის ელჩობა იმერეთში. 1926 წ., გვ. 40
2 სსსრ მეცნ. აკად ივ. ჯავახიშვილის სახ. ცენტრამ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის

და იველევის ელჩობა იმერეთში. 1926 წ., ისტ. ინსტ მიმომხილველი. ტ. II, 1951. იხ. ისტორიის არქივიდან (XVII ს.), გვ. 128.

...только я внука своего пошлю к государю, а он государь не изволит государства моего Кахети очистить и ратных людей и казны не пришлет, чтож моя и посылка?..¹

როგორც ვხედავთ, ქართველ ბატონიშვილს იმ პირობით გზავნის თეიმურაზი რუსეთის სამეფო კარზე, თუ ამას შედეგად დამხმარე ლაშქრის გამოგზავნა მოჰყვებოდა. უფრო გარკვევით თეიმურაზის წერილშია მოცემული რა მოსაზრებით იგზავნება ბატონიშვილი რუსეთში. იქ ერთგან აღნიშნულია: „Молю и челом быю... да пришлешь к нам казны и ратных людей овладети места наши да будут все рабы... вашего царствия А будет что учинитца над вашими ратными людьми, и царевичь останетца в закладе в руках вашего царствия...“²

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ქართველი ბატონიშვილი მოსკოვში საწინდარი იქნება იმისი, თუ რუსეთის ხაზინა და ლაშქარი გამოყენებული იქნება თეიმურაზის სამფლობელოს სპარსთაგან გათავისუფლებაზე და რომ ამ ლაშქარს არაფერი დაემართება ისეთი, რაც რუსეთის პრესტიჟს შეურაცხყოფდეს. თეიმურაზის გაგებით ქართველი ბატონიშვილი მძევალი იქნება რუსეთში. მაგრამ თუ ლაშქარს და ხაზინას არ გამოგზავნის რუსეთი საქართველოში და ქართველი ბატონიშვილი მაინც წლებს განმავლობაში მოსკოვში დარჩება, იგი მაინც მძევალია თუ არა რუსეთში? და, რაც მთავარია, მძევლათ მიიჩნია თუ არა ერეკლე ბატონიშვილი რუსეთის დიპლომატიას?


ქართული სახელმწიფოების დიპლომატიის პრაქტიკაში სამეფო ოჯახის წევრის, ან ქართველი დიდებულის ოჯახის წევრის მძევლად სხვა სახელმწიფოს კარზე წარგზავნა, როგორც აღვნიშნეთ, ერთგულების გარანტიად იყო ყოველთვის გამოყენებული. მაგრამ მძევალს მოძალადე სახელმწიფოები მოითხოვდნენ და იგი არსებითად ძალით წაყვანილი იყო. სპარსეთი და თურქეთი მძევალს მოითხოვდნენ ყოველგვარი სამაგიერო პირობების გარეშე და უმეტეს შემთხვევაში

ქართველი მძევალი ირანისა და თურქეთის კარზე მაშმადიანდებოდა. მეფის ოჯახის ყოველი წევრი მძევლად არ გამოადგებოდა. ირანისა და თურქეთის კარის აგენტები საგანგებოდ სწავლობდნენ მეფედედოფალს რომელი შვილი უფრო უყვარდა. მეფის შვილებს სამძევლოთ ერთნაირი ფასი არ ჰქონდა მტრის კარზე. მძევლის დაბრუნება სამშობლოში იმაზე იყო დამოკიდებული დანახავდა თუ არა ამას საჭიროდ მძევლის მფლობელი. ჩვენ არა ერთი ფაქტი ვიცით, როცა მძევლის მოკვებითი თავი დაუბრუნდა სამშობლოს. მძევალი დაწინდული საკუთრება მოძალადე მპყრობელის. მძევლის გამცემი ქართველი ხელისუფალი მოძალადე მპყრობელის პოლიტიკის გამტარებელი უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მძევალი იღუპება და დამატებითი ლაშქარი ქვეყანას შემოსევათ ემუქრება.

რუსეთის დიპლომატია ქართველ ხელისუფალთაგან XVI—XVII სს. მხოლოდ ერთგულების „ფიცის წიგნზე“ ხელის მოწერას და სათანადო ქრისტიანული ფიცის რიტუალის შესრულებას მოითხოვდა რუსეთის წარმომადგენლების თანდასწრებით და ამით კმაყოფილდებოდა. „ფიცის წიგნი“ ძალაში იყო მანამ, სანამ ამ საბუთზე ხელის მომწერი ქართველი ხელისუფალი, ან ის ვისაც ფიცი მისცა ქართველმა მეფემ, არ გარდაიცვლებოდა. რომელიმე ამთავანის გარდაცვლის შემთხვევაში ახალი „ფიცის წიგნი“ უნდა გაფორმებულიყო და ისევ ფიცის რიტუალი უნდა შესრულებულიყო. ამასთანავე, რუსულ „ფიცის წიგნზე“ ხელს აწერიებდნენ და სათანადო ფიცის რიტუალს ასრულებინებდნენ ტახტის მემკვიდრესაც. და თუ ტახტის მემკვიდრე ჭერ არ ჰყავდა ქართველ მეფეს ან იგი მცირეწლოვანი იყო, მემკვიდრის სახელით წინასწარ ფიცს ასრულებდა თვით მეფე.³

მე-17 საუკუნეში რომანოვების დიპლომატიამ ქართველი მფლობელების ვასალურ დაქვემდებარების „ფიცის წიგნის“ გაფორმების წესებში, მართალია, ერთგვარი ცვლილებები შეიტანა დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო წყობილების შესაბამისად, მაგრამ ამის შესახებ ახლა სიტყვის გაგრძელება საჭირო არ იქნება, იმდენად, რამდენადაც მეფის ოჯახის წევრის მოხკოვში წაყვანა არ შედიოდა ამ ცვლილებებში. ამ განმარტებების შემდეგ ბუნებრივია კე-

¹ მ. პოლიევქტოვი. ტოლოჩანოვისა და იველევის ელჩობა... გვ. 40.
² ი. ცინცაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთ. ისტორიის არქივიდან. მიმოხილველი II, გვ. 127.
³ ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველ. ურთიერთობის ისტორიიდან X-XVI სს.



თხვის დაყენება — თეიმურაზის მიერ „საყმოდ ქართველი ბატონიშვილის“ შეთავაზებამ, რატომ გამოიწვია რუსეთის დიპლომატებს შორის დიდი ინტერესი და რატომ ასეთი დაუნებით მოითხოვდნენ შემდეგ ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვში გამგზავრებას.

სამწუხაროდ, რუსი დიპლომატების ამ საკითხის გარშემო თათბირის ოქმი აღმოჩენილი არ არის, მაგრამ ზოგიერთი ცნობა საშუალებას გვაძლევს ვარაუდი გავწიოთ.

მოსკოველ თვითმპყრობელ მეფეებს ქართველ ხელისუფალთა მიერ ხელმოწერილი და ფიცით დამტკიცებული არა ერთი „ფიცის წიგნი“ ჰქონდათ საგარეო საქმეთა საგანგოს არქივში დაცული, მაგრამ გართულ მინც დამშვიდებული არ ჰქონდათ. ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს ფაქტიურად რუსეთის მორჩილად არ თვლიდნენ ამ მხრივ საყურადღებოა მოსკოვის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა საგანგოს ყოფილი თანამშრომლის ცნობილი გრიგოლ კოტოშინის თხზულების ის ადგილი, სადაც ქართულ სამეფოებზე საგანგებოდ აქვს საუბარი. ერთგან იგი წერს: „ივერიის, ქართლის ქართული სახელმწიფოები უმთავრესად ირანის შაჰის ხელქვეითი და მორჩილი არიან... ხოლო ამ სახელმწიფოებში ჩვეულებათა აქვთ (რუსეთის) მეფეთა (გამოგზავნილ) წერილში თავისი თავი დადებულად მოიხსენიონ, (რუსეთის) მეფე კი ამდღებულად, თავის თავსაც მის ყმად აცხადებენ, სწორედ ისე, როგორც ყველა სახელმწიფოშია წესი ბატონის წერილში ბატონობით სხვისი მოხსენიებისა და ნებით საკუთარი თავის მსახურად გამოცხადებისა... ხოლო ეს სინამდვილეში მართალი არ არის, იმიტომ რომ ამ სახელმწიფოთა მფლობელები იმავე წესით ცხოვრობენ, როგორც (შვედეთის) მეფის, პოლონეთის მეფის და მოსკოვის მეფის საზღვრებს შორის კურლანდის მთავარი ცხოვრობს-ო.“¹

ეს რუსი დიპლომატი იმავე თხზულებაში სხვა საგულისხმო ცნობასაც გვაწვდის: რუსეთის მეფე თავის ტიტულაციაში ქართველთა მეფეთ მხოლოდ მაშინ ბედავს დაწერას, როცა საბუთი ქრისტიანულ სახელმწიფოებში იგზავნება (იგულისხმება დასავლეთი ევროპა), ხოლო მაშადაიანურ სახელმწიფოებში — ირანსა და თურქეთში გაგზავნილ წერილებში ქართველთა მეფედ არ იწერებაო. ამის მიზეზად იგი ასახელებს იმ ფაქტს, რომ რუსეთის მეფე საქართვე-

ლოს მიწა-წყალს არ ფლობსო. უმჯობესია მოტანილი აზრის ტექსტუალურად დასაბუთება.

კოტოშინის, იქ, სადაც საუბარი აქვს რუსეთის სამეფო კარზე მცხოვრებ ცივილირულ ბატონიშვილების უფლებებზე, შენიშნავს, რომ ისინი რუსეთის ბოიარებზე უფრო მაღლა დგანან, მაგრამ არავითარ თათბირზე არ ესწრებიან, იმიტომ რომ ისინი დაპყრობილ ქვეყნის ბატონიშვილები არიანო. ამათი უფლებრივი მდგომარეობის გასარკვევად ქართველი ბატონიშვილის ერეკლეს მაგალითი მოჰყავს: „А как грузинской царевич с матерью своею был на Москве или впрод будет ему честь была такова, что природному сыну царскому... и за него может быть, что царь выдает дочь или сестру свою царевну, понеже он не полоненный есть, но единие с ним веры, а землю его царь не владеет только по его послушеству Грузинским пишетца в титле к христианским potentатам, а к бусурманским не пишетца.“²

როგორც ვხედავთ, პატრონისა და ყმის დამოკიდებულების იურიდიული გაფორმება სრულიადაც საკმარისად არ მიაჩნია რუს დიპლომატს იმისათვის, რომ (ამ შემთხვევაში) საქართველოს რომელიმე პოლიტიკური ერთეული რუსეთის ხელისუფლებამ ფაქტიურად თავისუფლად მიიჩნისო. ისინი ასხვავებენ „ნებიერ ყმობას“ და ძალით დაქვემდებარებას, სხვებისაგან მოუღერვარ „ყმას“. ეტყობა თეიმურაზიც კარგად ერკვევა თავის უფლებრივ მდგომარეობაში, იგი, მართალია, გაქცა ერთ პატრონს (ირანის შაჰს), მიუვიდა მეორეს (რუსეთს) და შეაფარა თავი, მაგრამ ამ მეორეს ჭერ-ჭერობით ის უფლებები არ აქვს თეიმურაზის სამფლობელოზე, რაც პირველს. სანამ მოსკოველ მეფის ლაშქარი ამიერკავკასიაში ფეხს არ მოიდგამს, თურქეთ-ირანს არ აშბარავს და ჰეგემონი არ შეიქმნება ამიერკავკასიაში, ნებიერად მისული ყმა სათუთად მოსავლელია.

მე-17 საუკუნის არც პირველ ნახევარში და არც მეორე ნახევარში რუსეთის სახელმწიფოს საგარეო და საშინაო მდგომარეობა ხელს არ უწყობდა სამხრეთით აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა და ირან-თურქეთისათვის ანგარიში არ

¹ Гр. Котошихин. О России в царствование Алексея Михайловича, 1906-83. 39.
² იქვე, 83. 27.

გაწეოა. როგორც ვნახეთ, თურქეთისა და ირანის მფლობელებთან მიმოწერის დროს, თვითმპყრობელობის დიპლომატია მეფის ტიტულაციის მიხედვით რომანოვის ივერიის მფლობელად გამოცხადებას ვერ ჰბედავდა. გრ. კოტოვიჩის მიერ აღვიდა აღნიშნავს, რომ სპარსეთთან მიმოწერის დროს რუსეთის მეფის ტიტულაციაში „ივერიის“ შეტანა მაჰმადიანურ სამყაროს რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებას გამოიწვევდა. იგი წერს: *А как бы русский царь писался теми титулами всеми, что пишется в христианские государства, и на него бы то все бусурманские государства подняли войну...*¹

ახეთ მდგომარეობაში დროს მოგება იყო ხაჭირი და ამიერკავკასიაში მოპოვებულ დასაყრდენის შენარჩუნება. ქართველ მეფეს, რუსეთით იმედუფს, გული რომ არ გატეხოდა, საგრძნობ ფინანსურ დახმარებას არ აკლებდა, დიპლომატიურ შუამდგომლობას უწევდა და მომავალში უფრო რეალურ დახმარებას ჰპირდებოდა რუსეთ-ხელმწიფე. „მომავალს“ კი დასასრული არ უჩანდა, თეიმურაზი, იმერეთში გადახვეწილი, ათეული წლები ელოდა მამულის დასაბრუნებლად რუსეთის დამხმარე რაჟმს და ბოლოს ამ ღონისძიებასაც მიმართა — შვილიშვილი მოსკოველ მეფეს „საყმოდ“ შეთავაზა. თეიმურაზის წინადადებას ხელი მაგრად ჩაჰკიდა რომანოვების დიპლომატიამ, რუსეთის სამეფო კარზე ქართველი ბატონიშვილის ყოფნა უმნიშვნელო არ ყოფილა. ქართველ პოლიტიკოსებში რუსეთში ორიენტაციის მისწრაფება ძლიერი იყო, მაგრამ გამოწვევის აქაც იყო. სწორედ ამ ხანებში სპარსეთზე ორიენტაციის იდეა, როგორც დროებითი ღონისძიება, ფეხს იკიდებდა (ისევ რუსეთის სისუსტის გამო). ირანი გულზე ხელმძღვანელობდა როდი უცქეროდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს. იგი ერთგვარ დათმობაზე წავიდა და გამაჰმადიანებულ როსტომ მეფეს ერთხანად ნება დართო ქართული საქმე ეკეთებინა და რუსეთის საწინააღმდეგო ღონისძიებები ოსტატურად ჩაატარა ეგონა.

რუსეთის დიპლომატიას ისღა დარჩა, რომ ერთი რუსეთში აღზრდილი ქართველი ბატონიშვილი, ხანმოკლე თეიმურაზის გარდაცვალების შემთხვევაში, საქართველოში ხელსაყრელ სიტუაციის მომენტში, მზად ჰყოლოდა. ამიტომ

იყო, რომ თეიმურაზის წინადადებას ასე გულსხმიერად გამოეხმაურა მოსკოვი.

ერეკლე ბატონიშვილი პოლიტიკურ მიხედვით და მამაცი იქნებოდა, რა თქმა უნდა, არ ყოფილა, მას სხვათაგან განსხვავებული პატივისცემა ჰქონდა რუსეთის სასახლეში, ასეთი ყურადღება პოლიტიკური მოსაზრებით იყო პირობადებული. ერეკლე ბატონიშვილი, მომავალში, რუსეთის მიწებზე უნდა მომსახურებოდა საქართველოში. მაგრამ მისი დამძევლება მაინც ვერ გაბედა რუსეთის დიპლომატიამ, როგორც კი სპარსეთთან ბრძოლაში დამარცხებულმა თეიმურაზმა საქართველოში გამოიწვია თავისი შვილიშვილი, იგი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დიდძალი საჩუქრებით სამშობლოში გამოამგზავნეს, ხოლო შემდეგ, როგორც ცნობილია, ერეკლე ბატონიშვილი სპარსეთის კარზე გამოცხადდა და ნაზარალი-ხანის სახელით სამშობლოს პატრონობდა. ერეკლეს საქართველოში დაბრუნება არსებითად ამიერკავკასიაში რუსეთის დამარცხების აშკარა მაუწყებელი ფაქტი იყო, მაგრამ იმავე დროს ფრთხილი დიპლომატიური ნაბიჯი ქართველი დიპლომატიის გულის მოსაგებად გადადგმულა.

ამრიგა, ჩვენ მიერ განხილული ფაქტიური მასალიდან ჩანს, რომ რუსეთის დიპლომატია, თურქეთისა და სპარსეთისაგან განსხვავებით, ქართველ მეფეებთან ურთიერთობის დროს, XVI-XVII საუკუნეებში „ფიცის წიგნების“ გაფორმებით და სათანადო ფიცის რიტუალის შესრულებით კმაყოფილდებოდა. ქართველ ხელისუფალთა ოჯახის წევრების მიველად წყევანა, როგორც ერთგულების საგარანტიო აქტი, მხოლოდ ირანისა და თურქეთის დიპლომატიისათვის იყო დამახასიათებელი. რუსეთის დიპლომატიას საქართველოში „დამძევლების“ ღონისძიებისათვის არ მიუშრთავს. ერეკლე ბატონიშვილი თვით თეიმურაზ მეფემ შესთავაზა „საყმოდ“ რუსეთის სამეფო კარს გარკვეული მოსაზრებით. მაგრამ, როგორც კი ქართველი ბატონიშვილი სამშობლოში გამოიწვია თეიმურაზმა, იგი დაუყოვნებლივ გამოამგზავნეს.

¹ Котошихин Гр., დასახელებული ნაშრომი, გვ. 40.



სისხლის აღების იველები და კამანური ვაჟა-ფშაველა

„სხუარ-მეხინკალი“



მოველყოფილი თეატრი წყობილების დროს და შემდეგაც საკმაოდ დიდხანს კლასობრივი საზოგადოების პირობებში, როგორც ძველი ტრადიციების გადმონაშთი, არსებობდა შურისძიების უფლება.

შურისძიების უფლება ფართოდ იყო აღიარებული ჩვენს მეზობლად მდებარე მუსულმანურ სამყაროში. საინტერესოა, რომ საშუალო საუკუნეების არაბი პოეტები შურისძიებას გვისატყვენ მართლწომიერ და მორალურად მოსაწონ მოქმედებად. ძველი არაბი პოეტების ლექსებში მამაცობისა და სტუმართმოყვარეობის გვერდით უპირველეს სათნოებად მიიჩნეოდა შურისძიების მოვალეობის შესრულებისათვის გამოჩენილი თავგამოდება¹. სისხლის აღებისათვის ყველა საშუალება ნებადართული იყო — დალატი, მოტყუება, ფიცის გატყუება და სხვ. ამავე მიმართულებით იყო ეს საკითხი გადაწყვეტილი მუსულმანურ სამართალშიც, სადაც კლასობრივი საზოგადოების პირობებში

საუკუნეების მანძილზე მოქმედებდა ლეგალური შურისძიების კანონი.

შურისძიება უდიდეს მოვალეობად ითვლებოდა ძველ ებრაულ სამართალშიც (რიცხვთა, XXV, 16-21).

გერმანული სამართლის წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ მოკლულის მემკვიდრეს მანამდე არ შეეძლო სამკვიდროს მიღება, ვიდრე სამკვიდროს დამტოვებლის შურს არ იძიებდა.


ჩერნოგორიაში „მთავარ დანიელის სამართლის წიგნში“ (1855 წ.) მკვლელის მიმართ შურისძიება მართლწომიერ მოქმედებად იყო აღიარებული.

ძველი გერმანული სამართლის მიხედვით ქონებასთან ერთად მემკვიდრეობით გადადიოდა „ვირა“, ე. ი. გამოსასყიდი ჯარიმა სისხლის აღების ნაცვლად, ადამიანის მოკვლის ან დასახინჩრებისათვის. ეს „ვირა“ ანუ „სისხლი“, რომელიც ერთ დროს სპეციფიკურ გერმანულ დაწესებულებად იყო მიჩნეული, ახლა ასეულობით ხალხებში დადასტურებულია, როგორც სისხლის აღების შერბილების საყოველთაო ფორმა, რომელიც პირველყოფილი გვაროვნული წყობილებიდან მომდინარეობს.

მონათმფლობელური და ფეოდალური საზოგადოების სამართლის წიგნებიდან მხოლოდ რამოდენიმეს დასახელება შეიძლება, სადაც შურისძიება სახეებით იყო ამოკვეთილი. მაგალითად ჰამურაბის კანონებით (ძველი წელთაღრიცხვის მე-18 ს.) კერძო შურისძიება შეცვლილია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი სასჯელით. ამ მხრივ ჰამურაბის კანონები სანიმუშოდ რჩება მთელი სამი ათასი წლის მანძილზე.

ძველი არაბული საზოგადოების მაგალითის მიხედვით ჩვენ ვნახეთ, რომ არსებობდა სისხლის აღების ისეთი ჩვეულება, როცა შურისძიების მიზნის მიღწევის გზაზე ყველა საშუალება ნებადართული იყო. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შურისძიების მეტად ველურ სახეობასთან, როცა გამორიცხულია ყოველგვარი ჰუმანური მოსაზრება და შესხედულება მტრად მიჩნეული თემის თუ ტომის ყველა წევრის მიმართ. ვაჟა-ფშაველას გმირები ასეთი ყოველგვარ ჰუმანურ საბურველს მოკლებული შურისძიების წინააღმდეგნი არიან. ჩვეულებითი სამართლის სფეროში შეიძლება

¹ იხ. В. Розен. Древне-арабская поэзия и ее критики. Петербург. 1872, 33



მონახოს ზოგიერთი ჰუმანური, საერთო საკაცობრიო მორალით გამართლებული წესები (სტუმარ-მასპინძლობა, თავშესაფრის უფლება და სხვ.). ცნობილია, რომ ჰუმანური საწყისები საზოგადოებაში ძალიან ადრე ჩაისახა. ჯერ კიდევ ჰომეროსთან ვხვდებით მტრების მიმართ ყველა საშუალებით შურისძიების საწინააღმდეგო მოსაზრებას. ტროაზე საომრად მიმავალმა ოდისეიმ მიინდომა მტრებზე ვერაგულად ეძია შური და ამ მიზნით შეიარა ეფირში (ქალაქი ელიონში) ვინმე ილთან, რათა მისთვის გამოერთმია შხამი თავისი ისრების მოსაწამლავად, მაგრამ იღმა არ მისცა ოდისეის შხამი „უკვდავი ღმერთების“ შიშით (ოდისეა, 1,259-263).

სტუმარ-მასპინძლობის რიგი, სტუმრისათვის თავშესაფრის უფლების უზრუნველყოფა მიუხედავად მისი პიროვნებისა, შურისძიების ველური წესის შეზღუდვის მეტად ეფექტური საშუალება იყო.

ჩვეულებითი სამართალი დაუწერელია და სისტემაში მოუყვანელი, ამიტომაც შინაგანად დაუკავშირებელი ნორმებიც გვხვდება მის სფეროში. ზოგჯერ ერთსადამივე დროს მოქმედებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ნორმა (ჩვეულება). ზოგჯერ თემის ხელმძღვანელობა ძველ ჰუმანურ ზოგიერთ ტრადიციულ ჩვეულებას კრძალავს და ახალ ნორმებს აწესებს. ამ ექსკურსიის შემდეგ გავისხენით „სტუმარ-მასპინძლის“ შინაარსი.

ქისტის ჯოყოლა აღხასტაისძე შემთხვევით, ნადირობის დროს გაიცნობს ხევსურ ზვიადაურს, სტუმრად მიიპატიჟებს სახლში და დაუძმობილდება მას. ზვიადაურს ქისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი ვაჟკაცობა აქვს გამოჩენილი. ზვიადაურმა „ქისტებს ბევრს სისხლი ავალა“. ამ მიზეზით ზვიადაურმა ჯოყოლას თავისი ვინაობა დაუმალა, თუმცა უთხრა, რომ ხევსურია. მასპინძლის სახლში მყოფმა მოხუცმა გამოიცნო იგი, ჩუმად გავიდა სახლიდან და ეს მთელ სოფელს შეატყობინა. გვიან ღამით, როდესაც ზვიადაურს ჯოყოლას სახლში მშვიდად ძინავს, ჯოყოლას სახლს მოულოდნელად თავს ესხმის შეიარაღებული თემი და ზვიადაურს შეიპყრობს. ჯოყოლასთვის სტუმრის ხელყოფა უძძიმესი შეურაცხყოფაა. იგი მზადაა იარაღით დაიცავს მეზობლების თავდასხმისაგან სტუმარი — დაიცავს ჰუმანური სტუმარ-მასპინძლობის წესი ველური, არაფრისთვის ანგარიშის არ გამწვევი შურისძიების გრძნობის წინააღმდეგ. ჯოყოლამ მეზობლებს წინააღმდეგობა გაუწია.

„რას სჩადით? — შემოუძახა: — ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა? რად სტებთ საუფლო ჩვენს წესსა, თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?“


თანასოფლელებთან შეპასუებაში ჯოყოლა გებულობს, რომ მისი სტუმარი ზვიადაურია, ქისტების დაუძინებელი მტერი, ბევრი ქისტის წუთისოფელს გამოძალაველი და თვით ჯოყოლას ღვიძლი ძმის

მკვლელიც. ამ სამწუხარო გარემოებამ ჯოყოლას ვერ შეაცვლევინა თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება. მისთვის სტუმარ-მასპინძლობის წესს მხოლოდ ერთი გარკვეულება აქვს: თუნდაც რომ მისისხლე მტერი მოუვიდეს ადამიანს სტუმრად, სულ ერთია, მასპინძელი ვალდებულია დაიცავს მისი სიცოცხლე, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. ჯოყოლაში სტუმრისადმი თავდადების ჰუმანურ ჩვეულებას ისე ღრმად აქვს ფესვი გადგმული, რომ იგი სტუმარს ვერ უღალატებს „თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“.

როდესაც ჯოყოლამ ზვიადაურის ნამდვილი ვინაობა გაიგო, მას

„პირს სინანული წაესო, თითქოს ნატყორცნი ისარი ზედ გულის კოვზზე დაესო“.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წუთით. ჯოყოლა მტკიცედ იცავს თავის სტუმარს და ამ ნიადაგზე თემის რისხვას იმსახურებს. უთანხმოება საზოგადოებასა და პიროვნებას შორის თანდათან მწვავედება. თემის მოქმედებაში ჯოყოლა მისი ოჯახის პატივისა და ღირსების შელახვასაც ხედავს. ჯოყოლასთვის სტუმარ-მასპინძლობის წესი თავისთავადი, წმიდათაწმიდა და უმაღლესი მორალური კატეგორიაა. თემისათვის კი იგი მხოლოდ საშუალებაა მიზნის მიღწევის გზაზე. როცა წარმოიშობა კოლიზია ორ მივალეობას შორის ჰუმანურ სტუმარ-მასპინძლობის მოვალეობასა და ველურ შურისძიების მოვალეობას შორის, თემი ფხვით თელავს პირველს და უპირატესობას აძლევს მეორეს. ჯოყოლას რწმენა, ნება და აზროვნება, როგორც ვნახეთ დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ წყვეტს ამ საკითხს. ამ ნიადაგზე უთანხმოება საზოგადოებასა და პიროვნებას შორის თანდათან მწვავედება. ჯოყოლამ სტუმარ-მასპინძლობის ჩვეულების დარღვევა ვერ მოითმინა და ამასთან დაკავშირებით თემის წარმომადგენელ მუხას წინააღმდეგ ხანჯალიც აამოქმედა. ჯოყოლა შეიპყრეს, გათოკეს და თავისავე სახლის დერეფანში დატოვეს. შეპყრობილი ზვიადაური ქისტებმა თემის სასაფლაოზე აიყვანეს. ქისტებს სწამთ, რომ ზვიადაურის მსხვერპლად შეწირვით ისინი თავიანთ მიცვალებულს დიდ სამსახურს გაუწევენ: მას იმქვეყნად ეყოლება მსახური, წყლის მომტანი, ჯღანის გამბანდავი და სხვ. ქისტებმა ზვიადაური მიცვალებულის საფლაოზე წამოაქციეს და დასაკლავად მოამზადეს. ვაჟა-ფშაველა თავის „სტუმარ-მასპინძელი“ ძველ, ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნეზე უწინარეს მომხდარ ამბავს გადმოგვცემს, მაგრამ შურისძიების მოტივით მიცვალებულის საფლაოზე ადამიანის ძალღვივით დაკვლა თავისი წარმოშობით ისტორიულად მეტად არქაული, პირველყოფილი ჯოჯის თუ ველურობის საფესურზე წარმოშობილი მოვლენაა და შემდეგაც პატრიარქალური საზოგადოებრივი წყობილების დროს საკმაოდ დიდხანს შენარჩუნებულია ტრადიციის ძალით. თვითონ ვაჟა ამასთან დაკავშირებით შენიშ-



ნავს: „სისხლის აღება, მკვლელობისათვის მოკვლა, ყველა მთიელებსა აქვს წესად, მაგრამ საფლავზე დაკვლა და ამგვარად „შეწირვა“ მაჰმადიანი მთიელების ადათია. ქრისტიანი მთიელები ამას ერიდებიან. თუ ვისაც სწირავენ და საფლავზე ჰკლავენ არ შედრკა, მკვიდრისათვის „შეწირულად“ არ ჩაითვლება“. ვაჟა უთუოდ სწორია. ქრისტიანული რელიგია განვითარებული სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოების რელიგიაა, ამიტომაც იგი როგორც თავისი დომებით, ასევე პრაქტიკით, ადამიანის მსხვერპლად შეწირვას ვერ დაუშვებდა. იგი ძველისძველი წარმართული რელიგიური რწმენებიდან მომდინარეობს, რომელსაც, როგორც ჩანს, მაჰმადიანურმა რელიგიამ ძლიერი წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ზვიადური ქისტების ჩვეულებისამებრ მთელი თემის წინაშე წამებით უნდა მოკლან. მსხვერპლის შეწირვასთან დაკავშირებით

მოლა მოჰყვა ლოცვასა,
 იხსენებს თავის მკვდარსაო:
 „ნუ იტანჯები დარღაო,
 ნუ შეიწუხებ თავსაო,
 მოვსდევით შენი მოძმენი
 შენის სამარის კარსაო,
 მსხვერპლსაც გწირავთ, იხარე,
 არ გაქმვთ მტრისა ჯაფრსაო“.

ზვიადური წამებით კვდება, მაგრამ კვდება ვაჟკაცურად. როგორც ვაჟა ამბობს, იგი მოუდრეკავი აღმოჩნდა როგორც „ქედელჩანგებული მია“. მან წარბიც არ შეიხარა მტრების ბრბოს წინაშე.

აქცევენ ზვიადურსა,
 ყელში აბჯენენ ხმალსაო,
 „დარლასამც შეაწირები“,
 ყველა დასძახის მასაო.
 „ძალდ იყოს თქვენი მკვდრისადა!“ —
 უბასხუებდა ხალხსაო,
 არ იდრიკება ვაჟკაცი,
 არ შეიხრიდა წარბსაო.
 გაოცდნენ ქისტის შვილები,
 ხალხი დგებოდა ყალხსაო.
 „ლამის რომ არ შეაწიროს,
 ერთი უყურეთ ძალღსაო!“
 ჰყვირიან, თანაც ნელ-ნელა
 ყელში უჭობენ ხმალსაო“.

მიუხედავად დიდი წამებისა, სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე ზვიადური ქედმოუხრელად უბასხუებდა ქისტებს: „ძალდ იყოს თქვენი მკვდრისადაო“. ეს გამოთქმა დიდ შეურაცხყოფად, შეიძლება ითქვას, უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა მთიელების თვალში. ამასთანავე, ასეთი ურჩი მსხვერპლიც შეწირულად ვერ ჩაითვლებოდა.

ქისტები გაწყურენ, იტკიცეს:
 ვერ აუსრულდათ წადილი,
 ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს
 მის შესაფერი სადილი.
 დაკვლულმა დაჰკლა მათ გული
 და გაუცრუა ქადილი.
 შეურაცხყოფილთ უნდოდათ
 ერთად გაეძროთ ხანჯრები
 და გაკეთათ მკვდრის გვაშე
 სისხლით ნაღები ფანჯრები.

„კარგი ვაჟკაცი ყოფილა,
 ყველა ალღასსა ჰფიცვავდა,
 იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
 თავის მიწა-წყალს იცავდა.
 მაგრამ მტერს მტრულად მოექე,
 თვითონ უფალმა ბრძანაო,
 ის სჯობს რაც მალე ვეცდებით,
 გულში ჩაგურჭით დანაო“.

ქისტების ერთერთი თემის მოქმედების მაგალითზე ვაჟა-ფშაველამ გვიჩვენა შურისძიების ველური ჩვეულების მანებლობა, თემის კონსერვატიული წეს-ჩვეულების დამღუბველობა, მისი არაადამიანობა. უიარაღო მსხვერპლის — ზვიადურის წამებასთან დაკავშირებით ჯოყოლა საყვედურს გამოთქვამს თანასოფელთა მისამართით: „უიარაღოს აწვალვებთ, გული რასა გრძნობს თავადაო?“. ჯოყოლასთვის თავის, ვაჟას დადებითი გმირისათვის ჰუმანიზმია დამახასიათებელი. იგი ვალდებულია ძველი კარგი ჩვეულების მიხედვით უცხოტომელს, რომელიც სტუმრის სახით ითხოვს მფარველობასა და დაცვას, აღმოუჩინოს შესაფერისი დახმარება. კიდევ მეტი, ჯოყოლას სახით ვაჟას სურს იქადაგოს ისეთი იდეები, რომელნიც ჰუმანიური არიან ამ სიტყვის დრმა და ვრცელი მნიშვნელობით. ვაჟას ძირითადი აზრი, რითაც გაუღვინილია პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებაში ვერაგობა, მხეცობა, სხვა არაადამიანური ქმედობანი, ვის მიმართაც არ უნდა იყოს ჩადენილი (მტერი, უცხოელი), მაინც მძიმე დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. ღალატი, ვერაგობა, სტუმარ-მასპინძლობის წესის დარღვევა, უიარაღო ადამიანის წამება და აბურღად აგდება დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ არის ის, დანაშაულა საერთოდ ადამიანის, ადამიანობის წინააღმდეგ. პირველივე შესვდრის დროს ჯოყოლამ იცის, რომ სტუმარი ხეცურია (ჭიელი), ესე იგი მტრული ქვეყნის წარმომადგენელია, მიუხედავად ამისა მან ზვიადურს მასპინძლობა და ამით თავშესაფრის უფლებაც შესთავაზა. ჯოყოლა, ისევე როგორც ვაჟას სხვა დადებითი გმირები, ადამიანში პირველყოფლისა მის პიროვნულ ღირსებებს აფასებენ, და ამ უკანასკნელს იმდენად, რამდენადაც ისინი ბრძნული, ვაჟკაცური და ჰუმანური არიან.

ბ. ნაღარეიშვილი



გამომძიებლის ჩანაწერები*

ტელეფონის ზარმა გამოვიდა. სინათლე ჩაერთე, აპარატს გადავწვდი და უნებლიედ საათს დავხედე, ხუთს ოცდასამი წუთი აკლდა. „აღბათ რაღაც მოხდა“ — გავიფიქრე და ყურმილში ოფიციალური კილოთი ჩავილაპარაკე:

— გისმენთ ლეიტენანტი ტახოვი!

მილაკში ქალის მშვიდი, დაბალი ხმა მომესმა, კაპიტანი გლეგოვა მელაპარაკებოდა.

— კონსტანტინ ლგოვის-ძვე, ჩაიცივით და ქუჩაში გამოდით, ჩვენ ხუთ წუთში თქვენთან გავჩნდებით.

ყურმილში აპარატის ხშირი, წყვეტილი გუგუნე გაისმა. ლაპარაკი შეწყდა.

ხუთს აკლდა თხუთმეტი წუთი, როცა სახლიდან გამოვედი. ქუჩა დაცარიელებულიყო. მხოლოდ შორს, მოსახვევში, მეგზოვე ფილანს წმენდდა და მტერის კორიანტელს აყენებდა. სინათლე ქუჩაში მკრთალად ანათებდა. განთიადის სუსხით მობუხულმა პაპიროსის წვევა დავიწყე, უცებ მოსახვევიდან „პოზედა“ გამოჩნდა და მუხრუჭების კრიალით სწრაფად ჩემს მახლობლად შეჩერდა. მძღოლის გვერდით მჯდომმა კაპიტანმა თავი გამოპყო.

— დილა მშვიდობისა, გალოდინეთ?

უკან, საზურგეზე მიყრდნობილიყვენ მაიორი ლეუხი, მილიციის სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების ექსპერტი და სასამართლო მედიცინის ექიმი პოლოსოვი. მაიორმა მუხლებზე დაიდო ჩემოდანი, რომელშიც საგამომძიებლო ინსტრუმენტები ელაგა. მივესალმე ამხანაგებს და მათ შორის მოვთავსდით.

— წავედით, — მოკლედ გაცა ბრძანება ტა-

ტიანა სერგის ასულმა, და ნახევრად შემობრუნებულმა მითხრა:

— მოხდა მკვლელობა!

მანქანა წინ გაიჭრა, სწრაფად გადასერა ვერ კიდე მიძინებული ქუჩები, შემოუარა რევოლუციის მოედანს, ასფალტიანი გზით მარტის ქუჩისკენ გაიქროლა, და გაცხარებით მოლაპარაკე ხალხის მახლობლად შეჩერდა.

კაპიტან გლეგოვასთან ერთად მანქანიდან გადმოვედით. მძღოლის საყვირზე სახლის კუთხიდან მილიციის სამი ოფიცერი გამოვიდა. უფროსმა ლეიტენანტმა, რომელსაც ხელზე ქალაქის მორიგის თანაშემწის ყვეთი ნაჭერი ეკეთა, საქმის ვითარება მოკლედ მოგვასხენა:

— თადარიგის პოლკოვნიკმა შარსკიმ, რომელიც ცხოვრობს ქვედა სართულზე დობროლუბოვის ქუჩის პირველ ნომერში, სამ საათსა და ორმოცდაათ წუთზე ქალაქის მორიგეს დაურეკა და აცნობა, რომ მისი სახლის კარებთან მოკლული მამაკაცის გვამი აგლიათ.

სამ საათსა და ორმოცდაჩვიდმეტ წუთზე, იგივე ამბავი მილიციის მეთერთმეტე განყოფილების მორიგე ლეიტენანტმა გორიანემა მოგვითხრო, რომლისთვისაც სამსა და ორმოცდახუთ წუთზე იმავე შარსკის შეუტყობინებია.

შემთხვევის ადგილი დაკულა. გასასვლელი დობროლუბოვის ქუჩის მიმართულებით, პროექტისა და რვა მარტის ქუჩის მხრიდან, დაკავებულია მილიციის მუშაკების მიერ. ყოველი შემთხვევისათვის მოყვანილია მამებარი ძაღლი „ლოჟი“.

კაპიტანმა გლეგოვამ პატაკი ხმამაღულბლად მოისმინა.

— პოლკოვნიკი შარსკი სახლშია?

* „სოპი“ რუსული სიტყვაა და ნიშნავს პასუხისმგებელი მამის შვილიყოს.



კედელს მოსცილდა კაცი, რომელსაც ზოლიანი პიჟამო ეცვა.

— შე გახლავართ.

— ძალზე სასიამოვნოა. თქვენ ცოტა მოგვიანებით მოველაპარაკებთ.

გლებოვამ ოდნავ განათებულ ცას შეხედა, შემდეგ მზერა ნათურაზე გადაიტანა, რომელიც ბოძზე დაიდებული ოდნავ ირხეოდა:

— მკრთალი სინათლეა, მაგრამ რას იხამ! ბოტმომქმედების შესწავლას უნდა შევეუდგეთ.

II

დაეწყეთ საერთო დათვალიერება.

დობროლუბოვის ქუჩაზე მშენებლობა მიმდინარეობდა. ნომერ პირველ სახლზე მესამე სართულს აშენებდნენ. ზოლო მოპირდაპირე მხარეს, ოთხსართულიანი, ნომერი ორი სახლი ხარაჩოვებში იჯდა, ფასადს ურემონტებდნენ. აქედან ქუჩა ოც მეტრამდე შემოფარგლულიყო ფიცრული დობით, რომელიც პროექტის ქუჩის პარალელურად გაჰიმულიყო. მშენებლებს შენობის ირგვლივ სამუშაო მოედანი მოეწყოთ, შუაში იდგა ამწე ნაჩერტებიანი გოდოლით. ღობეზე ფიცარი იყო გადმოფარებული, რის გამოც ღობესა და სახლის კედელს შორის გადახურული დერეფანი წარმოქმნილიყო.

რვა მარტის ქუჩის კუთხიდან შეიღ და ამ დერეფნის დასაწყისიდან ოთხ მეტრზე მდებარეობდა შარსკის ბინა. სახლის შესასვლელის ზემოთ მდებარე ტალანი ქვაფენილის შუამდე აღწევდა, მშენებლებს ზედ სქელი თუნუქის ფურცლები აეკრათ, ამგვარად გზა დამბურში მოქცეულიყო. მთელი სივრცე, რომელიც სამშენებლო მოედანს ესაზღვრებოდა — ქუჩის თავისუფალი ადგილი და ფილაქანზე ჩამწკრივებული ხეები, მშენებლობის მტერის თხელი ფენით დაფარულიყო. სამშენებლო მასალა თვითმცლელი მანქანით მიჰქონდათ.

ტატიანა სერგის ასულმა დობროლუბოვის გზატკეცილი გადასერა, გაიარა მარტის ქუჩა, დაბრუნდა უკან, ნელი ნაბიჯით გამოჰყვა ფილაქანს და მანქანის მკვეთრად დარჩენილ ნაკვალევს ყურადღებით დააკვირდა. შემდეგ ხარაჩოს გაყოლებით ღობეს მიუახლოვდა და შესასვლელ დამბურთან შეჩერდა. აქ მაკინტოშოანი მამაკაცის ცხედარი იყო, რომლის თავი შარსკის ბინის კარების მიმართულებით ეგდო, ხელები ტანის გასწვრივ ჰქონდა ჩაშვებული, ფეხები მუხლებში მოჰკეცოდა. იქვე სისხლის გუბე იდგა.

კაპიტანი გლებოვა ფრთხილად უკან გამობრუნდა, ცდილობდა თავისივე ნაკვალევს გაპ-

ყოლოდა, შემდეგ ფილაქანიდან ჩამოვარდა და შეჩერდა. მზის პირველი სხივები შემოჩნველად ამწეზე აღმართულ წითელ დროშაზე აელვარდა. სახლის ფანჯრებიდან გამოუძინებელ მოზინადრეებს თავი გამოეყოთ და გლებოვას თვალიყურს ადევნებდნენ. კაპიტანმა მე და ქალაქის მორიგის თანამეგობე გვისმო:

— ვფიქრობ, რომ აქტიური მკვლეელი ორია. ერთი, რომლის კვალაც ქვაფენილზე წყდება, მანქანით უნდა იყოს წასული, მეორე, რომელსაც კაუჩუქის ძირიანი ფეხსაცმელი სცმია, ფეხით მიმალულა. კვალი ზემოთ, დერეფნისაკენ მიდის, შევეცადოთ ძაღლის გაშვება. სად არის გამყოლი?

ერთი წუთის შემდეგ, მხიარულმა, ცქვიტმა დობერმან-პინჩერმა წკმუტუნით აიღო კვალი და საბელი მოქაჩა, რომელიც გამყოლ ზემდეგს ეკავა. მეთექვსმეტე განყოფილების ობერწმუნებული ძაღლს სწრაფად დაედევნა.

— ამხანაგო ლეუს! საქმეს შევეუდგეთ. — მიმართა გლებოვამ ექსპერტს. — პერსპექტიული ფოტოგადაღებით დაიწყეთ, ფიქსაცია უყავით ცხედარის მდგომარეობას და მანქანის ნაკვალევს. მე კი ამხანაგ შარსკის გავესაუბრები.

თადარიგის პოლკოვნიკმა ბინაში თავაზიანად მიგვიბატყა. პოლკოვნიკის, მისი მეუღლისა და ქალიშვილის დაკითხვით დადგენილ იქნა შემდეგი:

პავლე ივანესძე შარსკი და მისი ცოლი ქსენია პეტრეს ასული ისხდნენ სასადილო ოთახში, რომლის ფანჯარა დობროლუბოვის ქუჩას გადაჰყურებს. პირველ საათსა და ოცდაათ წუთზე ზედ სახლთან გაისმა მოტორის ხმაური და სწრაფად შეჩერებული მანქანის მუხრუჭის ქრიალი, მას მოჰყვა ხმამალალი ძახილი: „აა... ლ... ლ...“ და სიტყვა, ალბათ ვიდაციუს სახელი. რამდენიმე ხნის შემდეგ დამბურის შესასვლელში ორ მამაკაცს შორის მძაფრი დიალოგი გაიმართა. ლაპარაკობდნენ შარსკებისადვის გაუგებარ ენაზე.

გარწმუნებთ, რომ ის არ იყო უკრაინული, ქართული და არც ტაჯიკური, რადგან მათი ენა კარგად მესმის, — გვითხრა პოლკოვნიკმა.

ქსენია პეტრეს ასულმა ჰმარის ნათქვამი დაადასტურა და თან დასძინა:

— მეუღლად ჩვენი ქალიშვილის ინგას სანახავად წავიდა, რომელიც თავის ოთახში მეცადინეობდა. ჩემი ყურადღება კი მოტორის და მიჯახუნებული კარების ხმაურმა მიიპყრო. გადავიხედე ფანჯრიდან და დავინახე, რომ ტრუტუარიდან უკუსვლით ღია ფერის „პოხედა“ მიდიოდა.

შარსკების ქალიშვილმა უცხო ენათა ინსტი-

ტუტის მეორე კურსის სტუდენტმა ინგამ განაგრძო:

— ჩათვლისათვის ვემზადებოდი. ოთხის ნახევარზე წინა ოთახიდან სასადილოში გავდი და რას ვხედავ, მამაჩემის ნაგაზი ძალი „ვისმარი“ კარებთან ატუხულა, ბეწვი ყალყზე დასდგომია, თვალზე უბრწყინავს, თათებით იფხოვრება და იღრინება. ჩემს შეძახილზე „გაჩუმდი მეტი“, არ დაწყინარებულა, თვითონაც არ ვიცი რატომ, კარები გავაღე და...

— მომესმა ინგას ხმაბალი ძახილი „მიშველეთ... აგრეთვე „ვისმარის“ ყეფა, — ჩაერთა ლაპარაკში შარსკი, — გავიქეცი და დავინახე აი ეს. — მან ხელი გაიშვირა მისი ბინის ზღურბლზე მწოლ მიცვალებულზე.

— კარების მიჯახუნება დავაპირე, — განაგრძო ქალიშვილმა, მაგრამ მამამ შეაწყვეტინა:

— შე ავუკრძალე, კატეგორიულად ავუკრძალე, დავტოვეთ ასე, როგორც არის. შემდეგ დავრეკე ჯერ ჩვენს განყოფილებაში, მერე კი თქვენთან.

— წავიდეთ, ყველაფერი ნათელია, გამდლობთ. — წამოილაპარაკა ტატინა სერგის ასულმა.

სასადილო ოთახში რომ შევედი, კაპიტანი შეჩერდა და ფანჯრიდან ქუჩაში გადაიხედა. აქედან ძალზე ნათლად ჩანდა მანქანის კვალი, რომლითაც მკვლელები მოსულიყვნენ.

საპროექტო ქუჩის № 64 სახლის შესასვლელთან ძალი შეჩერდა, იქვე ჩქარა მიმავალი, შემდეგ სწრაფად დამუხრუჭებული „პობედის“ ნაბორბლარი ჩანდა. წარბშეკმუხნულმა გლებოვამ ჩაილაპარაკა: — კაცი, რომელსაც კაუჩუკის ძირიანი ფეხსაცმელები ეცვა, იცდიდა, მან მიმავალი მანქანა გააჩერა და წავიდა. ასეც იყო მოსალოდნელი.

II

ცხედარს მთელი დამბური ეკავა. აშკარა მკვდარი თავდაპირველად დამჯდარ მდგომარეობაში ყოფილა, მაგრამ, როცა ინგას კარები გაუღია, ცხედარი დაბლა ჩამოცურებულა.

დამბურის წინ, თითქმის მთელი ფილაქანი დაეფარა შედედებულ სისხლის გუბეს, რომელზედაც ორ მამაკაცს გავლყო. ერთს — 45 წომიანი სათხილამურო, ხოლო მეორეს 40 წომის კაუჩუკის ფეხსაცმელი სცმია.

— რა ცინიკური თავხედობაა, — თქვა კაპიტანმა გლებოვამ, როცა დაიხარა და ორი თითით მოკლულის გასისხლიანებული მაკინტოშის კალთიდან შოკოლადის ნატეხი აიღო. — კლავდა რა ადამიანს ერთ-ერთი ავაზაკი შოკოლადს შეეჭკეოდა. აგერ ქაღალდიც... აიღეთ. 6. საბჭოთა სამართალი № 4.

მე შევასრულე ბრძანება და ავიღე შოკოლადის „რუსული ზღაპრების“ იარაღი.

მოკლულის მარჯვენა ფეხსაცმელის მახლობლად სამპროცენტინი ობლიგაციების შეკვრა ეგდო, რომელსაც მკაფიოდ აჩნდა თხელი თითების სისხლიანი ანაბეჭდი. ობლიგაციის შიგნით ორი ფოტოუსრათი იდო. ერთზე მომხიბლავი თმანუჭუჭა გოგონა მოჩანდა, სურათის უკან ეწერა: „ყოველთვის, ყველგან, შენთან ერთად“. მეორე სურათი თვით მოკლულის იყო. სანამ ექსპერტი სურათს იღებდა და დამბურში ფეხის ნაკვალევს ზომავდა, ტატინა სერგის ასული შემხვევის ადგილს დაკვირვებით ათვალიერებდა და ბოლოს გამს მიუახლოვდა. პავლე ივანეს-ძე შარსკი, ხელში ნათურით, რომლის ზონარი ოთახის სიღრმეში გაკიმულიყო, კარებთან იდგა, გზას უნათებდა კაპიტან გლებოვას, ექიმ პოლისოვსა და მათ მოქმედებას აკვირდებოდა.

მკვდარი შესახედავად 25-28 წლისა ჰგავდა. მას ნაცრისფერი ფერის შლიაპა, ახალი, ყავისფერსარჩულიანი, ხორცისფერი მაკინტოში, იმავე ფერის კოსტუმი და ოდნავ ქუსმოღრეცილი ფეხსაცმელი ეცვა. უეცარი სიკვდილი, გულში, განიერი, ალესილი სატევარის ძლიერი დარტყმის გამო მომხდარა. მკვლელი უჩვეულოდ ღონიერი ყოფილა. სანას გაუხერგეთა მაკინტოში, პიჯაკი, საფულე მარცხენა გულისჯიბეში, მკერდი, ბეჭის ქვემოთ გამოსულა და უკანა მხარეს ორნახევარი სანტიმეტრის სივანის ნახევი დაუტოვებია.

ექიმმა პოლისოვმა ჩუმად დაუსტვინა:

— ოი, ოი, ოი, რა მხეცური დარტყმა... დარწმუნებული ვარ, რომ გული შუაზეა გაობილი. მთლიანად გადმობრუნებულ მარჯვენა შიგნითა ჯიბის კიდეებზე სისხლიანი თითების მონაკიდი ეტყობოდა. მკვლელს, როგორც ჩანს, საბუთები ანდა სხვა რაღაც აინტერესებდა, რაც ობლიგაციების ნახვით დასტურდებოდა, რომელიც სინქარით დაპკარგვია, ან, როგორც გამოუსადეგარი ნივთი, გადაუგვია.

გაპრილ საფულეში აღმოჩნდა „ა“ კლასის ფეხბურთის გუნდების გათამაშების კალენდარი, სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის გამოშვების სახელმწიფო სესხის ცხრა ორმოცდაათამანეთიანი ობლიგაცია, პროფკავშირის ორასი ცალი ორმანეთიანი მარკა, დაზღვეული წვრილის ოთხი საფოსტო ქვითარი. ყოველივე ეს შედედებულ სისხლით გაყენდილიყო.

მიცვალებულს შარვლის ჯიბეებში — „შიპრით“ ნასხურები ცხვირსახოცი, ასანთის უხმარი კოლოფი, ჯაყვა, ეჭვსი ხუთმეტკაპიკიანი და თითბრის რგოლზე წამოცმული სამი გასა-

ღები ედო. მარცხენა ხელზე ოქროს სამაჯური-ანი დიდი ოქროს საათი ეკეთა.

— არავითარი პირადობის დამდგენი საბუთი არ არის, — ჩავილაპარაკე გულნაკლულად.

უეცრად სიჩუმე შარსკიმ დაარღვია.

— აი, ეს არ გამოგადგებათ?

ყველანი შემოვბრუნდით. პავლე ივანეს-ძემ ზღურბლს გადააბიჯა და ხელი გაიშვირა კედლისაკენ, სადაც გარკვეულად ჩანდა ერთ-ერთი მკვლელის მარცხენა ხელის ოთხი გასისხლიანებული თითის კვალი. კედელი ჩვენ ჯერ არ და-



გვეთვალეირებინა. სწორედ ამ დროს მზის სხივებმა, რომელიც დამბურის ფიცრულის ნაბრა-ლიდან შემოიჭრა, გაანათა საბედისწერო კვალი... რომელიც აპარატივად გადავიღეთ.

— სამწუხაროა, რომ არ შეიძლება მისი ამო-ღება, — ჩაილაპარაკა მაიორმა ლეუსმა.

შარსკიმ ხელი მხარზე მოუთათუნა.

— შეიძლება, დაერწმუნეთ მესანგრის სი-ტყვას, როგორც კი ნებამ დავერთავენ, შესანიშ-ნავად ამოვიღებთ.

ტატიანა სერგის ასული მანქანის მიერ დატო-ვებული ნაბორბლარის დათვალეირებასა და შესწავლას შეუდგა, ხოლო შარსკიმ ბინიდან გამოიტანა ხეწვი, სატენი, ჩაქუჩი და მაიორ ლეუსის დახმარებით საბედისწერო კედლის

ამოკვეთას ისე გულდასმით შეუდგა, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე ამ საქმის წყენი არა-ფერი ეკეთებინოს.

კუთხეში მდგომი კაპიტანი გლეზოვა ნაკვა-ლევს გაჰყვა და ჩემს მახლობლად შეჩერდა: — ცხადია... ეს „პობედის“ ნამოქმედარია. სადაო არაფერია, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ უკანა ბორბლის მარჯვენა საბურავი დეფექტია-ნია, ეტყობა ეს წარმოების წუნია, როცა მუ-შაობას დაამთავრებს მაიორი ლეუსი, უთხარით ამის ანაბეჭდიც გადაიღოს. კაპიტანი გლეზოვა უეცრად დაიხარა და ქვაფენილიდან ნამწვი აი-ღო. როგორც ხედავთ მკვლელი თვითნაკეთ პაპიროსს ეწევა, აი საბუთიც. შეხედეთ? და მე გამომიწოდა.

— რა არქაიზმია...

ტატიანა სერგის ასულმა შემომხედა.

— ვერ გავიგე.

— მაღაზიები სავსეა ყოველგვარი ხარისხის პაპიროსებითა და სიგარეტებით—ორმოც კაპი-ციანი „ოგონიოცი“-დან დაწყებული „გვარ-დიულით“ გათავებული, ჩვენს დროში აბა ვინ და სწევს გასახვევ თამბაქოს?

— გემოვნების საქმეა, ნაბოვნი კარგად შეი-ნახეთ.

პოლკოვნიკმა შარსკიმ და მაიორმა ლეუსმა კედლიდან სისხლიანი ანაბეჭდი ამოკვეთეს და საბურავის დეფექტთან კვალსაც გადაულეს სუ-რათი.

დოკუმენტაცია შარსკის ბინის შესავალში იქნა დამუშავებული, კაპიტანმა გლეზოვამ გადახედა რა ჩემს მიერ შედგენილ სპეციალურ გეგმას, წამოღდა.

— გვამი პროზექტურაში გადაიტანეთ.

სასამართლო-მედიცინის მუშაკების მიერ გვა-მის გაკვეთამ და ტანსაცმლის დეტალურმა შეს-წავლამ შედეგი არ მოგვცა. ექიმმა აუღო სის-ხლი ჯგუფის დასადგენად. კაპიტანმა გლეზოვამ კი განკარგულგება გასცა: მოექმნათ წუნდებ-ბულ საბურავიანი ლიავფრის „პობედა“, ფოტო-სურათი გადაეცათ გასამრავლებლად, საფოსტო ქვირთვები ტექსტის აღსადგენად გავგზავნათ ლაბორატორიაში, სპეციალისტებს თამბაქოს ხარისხი დაედგინათ.

თავით ხელეზზე დაყრდნობილი ტატიანა სერ-გის ასული უხმოდა, თვალდაუხამამებლად დას-ცქეროდა მის წინ გადაშლილ გეგმას, ბოლოს როგორც იქნა ჩემსკენ შემობრუნდა.

სანამ მივიღებდეთ დექტილოსკოპიურ და ლა-ბორატორიულ ანალიზების შედეგებს, საჭიროე-ბა მოითხოვს, ჩვენ თვით მოვისინჯოთ საქმის მდგომარეობა, რას ფიქრობთ ამ მკვლელობაზე?

ჩემთვის აუცილებელია თქვენი მოსაზრებებით ჩემი თავიც შევამოწმო.

მე მოვასხენე:

— ვფიქრობ, რადგან ხელუხლებელია საათი, რომელიც სამიათას ხუთასი ღირს და ათას შვიდასი მანეთის ობლიგაციები, მკვლელობა გაძარცვის მიზნით არ არის მომხდარი. შესაძლებელია ეს საზარელი საქმე ჩადენილია იმისათვის, რომ დაეფარად დიდი ბოროტმოქმედება, რის შესახებაც მოკლულმა იცოდა. ანდა ეს ახალგაზრდა ხელს უშლიდა ავაზაკების ბრბოს განზრახული დანაშაულის ჩადენაში. არ არის გამორიცხული, აგრეთვე რომ ბანდიტებმა შური იძიეს გადასახლებიდან დაბრუნებულ ადამიანზე, წარსულში მათი მხილებისათვის...

კაპიტანმა გლებოვამ გეგმაზე რაღაც აღნიშნა.

— შემდეგ...

— შემდეგ, დაღუპული ყმაწვილი შინ ბრუნდებოდა. მკვლელები უთვალთვალდნენ დიაფერის „პობედიდან“, რომელსაც როგორც თქვენ დაადგინეთ წარმოების მიერ დეფექტიანი საბურავი ეკეთა. ახალგაზრდამ დობროლუნი ბოგის ქუჩაზე შეუხვია, შარსკების შესასვლელს აუარა, და უეცრად ერთ-ერთმა ავაზაკმა დაუძახა. უბედურს შეეძლო გზა განეგრძო, გაქცეულიყო, შველა ეთხოვა, მაგრამ ის შეჩერდა, უკან შემობრუნდა. მასხადაამე, მან იცნო დამძახებელი, მაგრამ მისი განზრახვა არ იცოდა. ბრძოლის კვალი არ ჩანს. რათა შემთხვევითი მოწმეების ყურადღება არ მიეპყრო, მოკლულიც და მკვლელები დაშტურში შევიდნენ, დაიწყეს საუბარი. ერთ-ერთი მკვლელი ლაპარაკობდა, მეორე კი ჩუმად იდგა და შოკოლადს ღეჭავდა. უეცარი დარტყმა დანის...

— ეს დანა კი არა, ორპირა მახვილია. — შემაწყვეტინა გლებოვამ.

— მართალია, — დავუმოწმე. — მახვილის უეცარი დარტყმა და მსხვერპლი უხმოდ ეცემა. ბანდიტი, რომელიც შოკოლადს ქამდა, დაუშთავრებელ ლუქმას აგდებს, მოკლულის ჯიბიდან იღებს საბურავს და იშას, რაც აინტერესებს. მას შემთხვევით უვარდება ხელიდან ანდა როგორც არა საჭირო ნივთი, გადისერის ობლიგაციებს. მიდის საპროექტო ქუჩისკენ, № 64 სახლის წინ ჯდება მანქანაში, რომელიც მას უცდის. ესაა კაუჩუკის ძირიანი ფეხსაცმლის პატრონი. მეორე, რომელსაც სათხილამურო ფეხსაცმელები აცვია, უკუსვლით უახლოვდება „პობედას“. და შოგ იმალება. ნომერ პირველს მკვლელს ახალი მოდის ფეხსაცმელები აცვია. სიმაღლით ასსამოც სანტიმეტრს აღწევს.

პირის ღრუში მარცხენა საკბეჩი კბილი მოტეხილი ან მოქლიბული აქვს.

კაპიტანმა გლებოვამ გაიღიმა და თავი წყნარად დააქნა.

— ხოლო მკვლელი, — ნომერი მეორე — განვაგრძე მე, — ახოვანი ტანის ასოთხმოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლის მამაკაცია. ტატიანა სერგის ასული წამოდგა და ჩემს მაგიდას მოუახლოვდა.

— და ეწევა თხელ ქალაღში გახვეულ ძვირფას თამბაქოს, მაგრამ მოკლული? მოკლული ვინ არის?

— შეიძლება ქალაქის მორიგემ მიიღოს განცხადება ადამიანის დაკარგვის შესახებ?

— შესაძლებელია. მოვიცადოთ ხვალამდე.

IV

დღის მეორე ნახევარში, სამეცნიერო ტექნიკური განყოფილების ლაბორატორიამ დაადგინა, რომ ყველა საფოსტო ქვეთარი თბილისში გაგზავნილ დაზღვეულ წერილებზე, კავშირგაბმულობის მეთორმეტე განყოფილების მიერ ყოფილა გაცემული. ადრესატების გაურკვეველ დაწერილ ვეარების ამოკითხვა ვერ მოხერხდა. ერთდროულად ფოტოლაბორატორიამ გადმოგვცა მოკლულის ფოტოსურათის ასლების მთელი შეკვრა. კაპიტანმა გლებოვამ ერთი მათგანი აიღო, ფანჯარასთან მივიდა და ყოველი მხრიდან თვალყურება დაუწყო.

— მოქიშეები არც რუსულად, არც ქართულად და არც ტაჯიკურად არ ლაპარაკობდნენ. მაშ, რომელ ენაზე საუბრობდნენ? ამის ცოდნა ბევრ რამეში დაგვეხმარებოდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, კოსტია?

მე ვღმუმი.

— ლამაზი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ვაჟი, ჰქვიანური თვალებით, მაღალი შუბლით, ნიკაბით, რომელიც ხასიათის სიმტკიცეს ამჟღავნებს, — ფანჯარაძობდა იგი — ჩემის აზრით უფრო ჩეჩენს წააგავს. თუმცა ასევე დაჯერებით შეიძლება იფიქროთ, რომ იგი ჩერქეზი ან კუმბიკია. ერთი სიტყვით — მთიელი, სხვათაშორის მათ ხორხისმიერი მეტყველება აქვთ. თქვენ რას იტყვიან?

— ძნელი სათქმელია.

— რა გაეწყობა, — გლებოვამ სურათი საერთო შეკვრაში ჩადო და დაჯდა.

ვიართ არაპირდაპირი გზით. ზოგჯერ ისინი უფრო მოკლეა ხოლმე, თუმცა ეს პარადოქსია. მაგრამ პრაქტიკით შემოწმებულია. დაუყოვნებლივ გავუზგავნოთ ფოტოდებემა თბილისელ ამხანაგებს. გადავცეთ საბრალო ახალგაზრდის სურათი, შევატყობინოთ თარიღი და ქვითარის ნომერი. ვთხოვოთ იპოვონ ადრესატები და შე-

ეცადონ დაადგინონ მოკლულის ვინაობა! რას გვატყობინებს ცენტრალური შემნახველი სალარო?

ტატიანა სერგის ასულს ჩემს მიერ მოტანილი ცნობა გადავეცი.

— ძალზე ცოტას. ობლიგაციების მოძრაობის თვალის მიდევნება შეიძლება მხოლოდ ცენტრალური და რაიონული სალაროების გზით. ამჟამად სახალხო მეურნეობის განვითარების 1955 წლის გამოშვების სახელმწიფო სესხის 334 თანრიგის 198925 სერიის ორმოცდაათმანეთიანი ობლიგაციები ხელმოწერლებზე დასარიგებულად პერვომისკის რაიონის სალარო მიიღო. იქ ასე მითხრეს: „ჩვენ ვცვაუს ასოთხმოცდაათი კოლექტიური ხელისმომწერი და მათ ობლიგაციებს ერთბაშად ვურაგებთ“.

კაპიტანი გლეზოვა გამოცოცხლდა, ერთი წუთით თვალები დახუჭა:

ყური დამიდგეთ, კონსტანტინ ლვოვის ძეგ სინდის ვეფიცებით, ეს არც თუ ისე ცუდია, შესაძლებელია მოკლულის ვინაობის დადგენა. აბა კარგად დაუვიკრიდით ჩემს მოსაზრებებს? მოკლული ახალგაზრდა კაცია, სტუდენტის ასაკის, მას მარჯვენა ხელის შუათითის ფრჩხილის ქვემოთ პატარა კორძი აქვს, ხანგრძლივად წერისა და მუშაობის გამო. ის რომ სტუდენტია, ამას აღასტურებს საფულეში აღმოჩენილი ორასი ცალი პროფკავშირის ორ მანეთიანი მარკები. რატომ? იმიტომ, რომ იგი ადგილკომის წევრი ყოფილა და პროფკავშირის საწევრო ანარქსებს იღებდა მხოლოდ იმ პირებისაგან, ვისი გამოშვებაც 300-400 მანეთს არ აღემატებოდა. სად შეიძლება ნახოთ ერთნაირი ხელფასიანი მუშაკების უფრო დიდი რაოდენობა? არაიშინა? — ეს საკითხი მოხსნილია. უფრო საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს სტუდენტსა და მათ სტიპენდიებთან. სტუდენტი, ფაკულტეტის პროფორგი ყოფილა. განვაგრძოთ შემდეგ: 1955 წლის გამოშვების სესხზე ხელი არაუშეტეს ერთი თვის ხელფასზე მოუწერია, საფულეში კი ცხრა ორმოცდაათმანეთიანი ობლიგაცია, ესე იგი სტუდენტის თანხაა. ამასვე ამტკიცებს ის ვარემოვა, რომ პერვომისკის რაიონში, თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელია თავმოყრილი, ხოლო ობლიგაციები, რომლებიც ჩვენს ხელთაა, გაცემულია ამ რაიონის შემნახველი სალაროს მიერ, და კიდევ კავშირგაბმულობის განყოფილება, საიდანაც გავზავნილი იქნა წერილები თბილისში, აგრეთვე იმავე რაიონშია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მახლობლად. ცხადია მოკლული სტუდენტი პროფორგია. წერილები გაუგზავნია ინსტიტუტში მიმავალს, ან პირიქით. დიხს! იგი უნდა ვეძიოთ

ინსტიტუტებში სურათისა და მეშვეობით.

კაპიტანმა გლეზოვამ მაგიდიდან მოკლულის ერთ-ერთი სურათი აიღო.

— სწრაფად გავგზავნი შეკითხვას თბილისში, შემდეგ პერვომისკის რაიონისკენ გავწვით, პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან დავიწყით და დღის ბოლომდე ვნახოთ რა გამოგვივა. თქვენს ქალაქის მორიგეს დაურეკეთ და რაღვეთ ხომ არ მიუღიათ რაიმე განცხადება აღამიანის დეკარგვის შესახებ.

V

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოსაცდელში ბევრი ხალხი ირეოდა. კედლის გასწვრივ, ნახევრად რბილ სავარძლებში დარბაისიერი აღამიანები ისხდნენ, თითქმის ყველა მათგანს სქელი პორტფელი ეკავა. ოთახის შუაგულში ხუთი სტუდენტი იდგა და ჩურჩულით ცხარედ კამათობდნენ.

ტატიანა სერგის ასული მდივანს ხმადაბლა გამოელაპარაკა. იგი წამოდგა, გადმომხედა და დირექტორის კაბინეტში შევიდა. ორიოდე წუთის შემდეგ ჩვენს წინ კარი გაიღო!

— კაპიტანო გლეზოვა, თქვენ და ის, ვინც გახლავთ, შემობრძანდით.

ტატიანა სერგის ასულმა დირექტორს ჩვენი ვინაობა გააცნო, დაჯდა და მოკლულის ფოტოსურათი გაუწვოდა.

— ჩვენ ვაინტერესებს ეს მოქალაქე.

დირექტორს ქვედა ტუჩი აუკანკალდა, შუბლი შეიკმუხნა და აბურძგვნილი ვერცხლისფერი წარბები მალლა ასწია.

— გვარლიანი? — ესლა მაკლდა.

— თქვენ ცნობთ მას?

— ვინდა აი იცნობს. ყველა პროფესორი და სტუდენტი... თენჯის გვარლიანი, ჩვენი სიამაყე, გამოსაშვები კურსის სტუდენტი, ფრიადოსნობის დიპლომის ნამდვილი კანდიდატი, ჩემპიონი შტანგაში, უკვივანესი ყმაწვილი, რომელსაც აქვს მიღრეკილება მეცნიერული მუშაობისაკენ და ახლადთვისებულ რაიონში გავზავნას მოითხოვს. რა ჩაიდინა? თუ გსურთ გამოვიძახებ, მოველაპარაკებით, მის ასაკში შეიძლება წაბორძიკება და შეცდომის დაშვება...

დირექტორმა ხელი ზარისაკენ გაიშვირა. კაპიტანმა გლეზოვამ ღრმად ამოიხორა:

— დარეკვა არ არის საჭირო. ვერ მოვა... ორში ღამით იგი მოჰკლეს.

— შეუძლებელია!... ჩახლენილი ხმით წარმოსთქვა დირექტორმა. — თენჯინი? მოჰკლეს? — იგი წამოხტა, და ოთახში რამოდენიმეჯერ ბოლთა დაარტყა.

— მოიცათ, ამხანაგო, ნუთუ ეს სინამდვილეა? რასაკვირველია, მართალია, რადგან ამას ამბობენ ისეთი ადამიანები, როგორც თქვენ ბრძანდებით... ოჰ, თენგიზ, თენგიზ! ჩვენო სახელოვნო მთიელო... ესეც შენი ჩემპიონობა!

ერთი საათის შემდეგ ინსტიტუტიდან გამოვედით. ხელთ შემდეგი მონაცემები გვქონდა:

მოკლულია სამთო ფაქულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი — თენგიზ ნიკოლოზის ძე გვარლიანი. დაბადებული 1930 წელს, ეროვნებით ქართველი, მისამართი — კრასინის ქუჩა № 51.

— მაშ, ასე, ამხანაგო ტახოვ. გვარლიანის ბინაზე გავემგზავროთ, წარმოსთქვა ვლებოვამ.

აღნიშნულ მისამართზე თენგიზს არავინ იცნობდა, რადგან საბინაო წიგნში ჩაწერილი არ იყო და ბინადართა შორის არ ითვლებოდა. ბეჭითი გამოკითხვის შემდეგ, ერთმა კირკიტა დედაბერმა წამოილაპარაკა:

— მართას აღრინდელ მდგმურს ხომ არ კითხულობენ?

მარია გურსკიამ, დარბაისელმა, ცისფერ თვალებიანმა ქალმა, კეთილად მივიღო და სურათში თენგიზი ამოიცნო:

— ოთხი წლის წინათ ჩემთან ცხოვრობდა, კარგი ბიჭია. მოკრძალებული, წყნარი, მეორე კურსზე რომ გადავიდა, ოთახზე უარი თქვა, რადგან უბედურება შეემთხვა: მშობლები ავტომანქანის ავარიის დროს დაეღუბა. მათ სანახავად გამემგზავრა და შემდეგ ჩემთან აღარ დაბრუნებულა. სადღაც სხვაგან ცხოვრობს, რაშია საქმე?

კაპიტანმა მადლობა გადაუხადა მარია ილიას ასულს და სახლის ბინადართა ცნობისმოყვარე მზერის ვაცილებულნი ქუჩაში გამოვედით.

— ესეც შენი მისამართი... ინსტიტუტმა არ იცის სად ცხოვრობს მისი საუკეთესო სტუდენტი. საძალობაა. როგორ მოვიქცეთ?

— სამისამართო ბიუროში წავიდეთ. — შევთავაზებ მე.

სამისამართო ბიურო მოუწყობელი იყო. კედლებთან და ოთახის შუა ადგილას კარადები იდგა, რის გამო სიმკიდრევე შექმნილიყო. თანამშრომლები არა თავზაიანი ჩანდნენ.

დირექტორი თვითონ წავიდა მისამართის დასადგენად. ტიხარს იქით ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ვალიუშა, თქვენ ისევ აგირევიათ ბარათები...

— საიდან დასკვენით, კლავდია დანიელის ასულო? ყველაფერი რიგზეა...

— მაშ რატომ ვერ მიბოვნია გვარლიანი... ანბანი „გ“ სულ გადავათვალე რე და არ არის...

— თქვენც აიღეთ და დაწერეთ „აჰ, არცნოვრობს თქო“.

— ის კი ცხოვრობს... ამას შეიძლება უსიამოვნება მოჰყვეს.

ცოტა ხნის დღემილის შემდეგ ლაპარაკი კვლავ განახლდა.

— აბა ეს რა არის? აი გვარლიანი თენგიზი და ასე შემდეგ...

— კი, მაგრამ რატომ მოხვდა იგი ასო „დ“ ზე.

— რატომ — რატომ... ალბათ ვინმემ მოითხოვა მის შესახებ ცნობა და როცა ბარათს უკან სდებდნენ; შეეშალათ. ეს სულ იმ დოკუმენტი ნაღის ბრალოა...

ტატიანა სერგის ასულმა ხელი გამკრა. გამარჯვებულის სახის გამომეტყველებით გამოჩნდა დირექტორი და ჩვენს წინ ბარათი დადო.

— აი, გეთაყვა, ცხოვრობს მილიციის მეთექვსმეტე განყოფილების მახლობლად. კოპერაციის ქუჩა № 21, ბინა 5. მეორე სართული.

— მაშ ასე, ჩაგწეროთ — ტატიანა სერგის ასულმა ავტოკალამი ამოიღო, — მაგრამ ერთი სასაქონბია კიდევ გასარკვევი. ჩვენამდე ვინ და როდის დანტერესდა გვარლიანის მისამართით.

ყოყმანა გამომეტყველების პაჭუაცხვირა ქალიშვილი მოგვიხალოვდა და საუბარში ჩაერია.

— ვასულ კვირას გეგმის მიხედვით შევამოწმე ანბანი „გ“ და „დ“. ყველაფერი რიგზე იყო. მაშასადამე ცნობა მის შემდეგ გაუციათ. ხოლო ვინ ითხოვს ცნობას, ჩვენ არ ვიცით, რადგან შესავსები ანკეტა ყრუა და კლიენტს უკან ვუბრუნებთ.

ტატიანა სერგის ასული წამოდგა და ქალიშვილს მიმართა.


— ჩემი თხოვნა ხვალ დილით 9-10 საათზე ჩვენთან შემოიაროთ. რა გვარი ბრძანდებით?

ქალიშვილმა გვითხრა თავისი გვარი, ჩვენ გარეთ გამოვედით, ტატიანა სერგის ასულმა „ტაქსი“ გააჩერა.

— წავიდეთ კოპერაციის ქუჩაზე. გზად გავუაროთ ოპერაწმუნებულს და მაიორი ლეუსიც გამოვიძახოთ.

VI

კაპიტანი გლებოვა, ოპერაწმუნებულო, ლეიტენანტი გორაევი, სახლმმართველი და მე № 21 სახლის მეორე სართულზე ავედით. კარები გავვიღო 35-37 წლის ქალმა, რომელსაც ხელში



ოცნი და ავეჯის მტერის გადასაწმენდი ჯაგრი-
სი ეჭირა.

— ჩვენ გვესაჭიროება თენგიზ გვარლიანი,
— წარმოსთქვა მისაღებ ოთახში შესვლისას ტა-
ტიანა სერგის ასულმა.

— თენგიზი? — შეგვეკითხა დიასახლისი —
მგონი შინ არ უნდა იყოს. ცხარე დროა, გამო-
ცდები დაიწყო. მობრძანდით, თქვენ თვითონ
ნახეთ.

მან გაგვატარა დერეფანი და შეჩერდა კარებ-
თან, რომელსაც ბოქლომი ელო.

— ხომ ვთქვი. წასულა. შესაძლებელია, სახლში
სულაც არ დაბრუნებულა. ამ დღეებში საწ-
ყლებს მთელი კვირაობით არ სძინავთ.

ტატიანა სერგის ასულმა ჩანთიდან მოკლულის
ფოტოსურათი ამოიღო და დიასახლისს გაუწოდა.

— ესაა?

ქალმა ოცნი და ჯაგრისი კარების კუთხეში
მიაყუდა.

— დიახ, რატომ კითხულობთ? რა მოხდა?

ტატიანა სერგის ასული ხელით ბოქლომს
შეეხა.

— ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. სხვა გასაღე-
ბი არა გაქვთ?

გასაღები მოიძებნა. კაპიტანმა გლებოვამ ბოქ-
ლომი გახსნა, კარები შეაღო და ოთახში შევი-
და. დიასახლისმა სინათლე ჩართო.

წესიერად მილაგებული საწოლი, ტანისამოსის
კარადა. კედელთან საწერი მაგიდა, ორი სკამი,
მაგიდაზე რადიომიმღები „მოსკვიჩი“, ფანჯა-
რაზე თხელი ფარდა. ირგვლივ სისუფთავე და
ყველაფერი წესრიგში იყო.

— თვითონ ალაგებს, თუ თქვენ ულაგებთ
ოთახს? — შეეკითხა გლებოვა როცა საწერ მა-
გიდას მიუახლოვდა.

— ხან თვითონ, ხან მე... შეილივით ვუვლი.

მაგიდაზე ეწყო სახელმძღვანელოების გროვა,
მალვიძარა საათი, რომელიც ექვსის ნახევარზე
გაჩერებულიყო, უბრალო პლასტმასის სამელნე,
ჭიქა და წყლიანი გრაფინი. კედელზე ლემპი-
ების ცხრილი, ტაბელ-კალენდარი, სსრ კავში-
რის რუკა, ხოლო გრძელ ლურსმანზე ლეკა-
ლების შეკვრა, სამკუთხედები, ცენტრში კი
ჩვენს მიერ მკვლევლობის ადგილზე ნაპოვნი გო-
გონას ლამაზ ჩარჩოში ჩასმული სურათი ეკი-
და.

ტატიანა სერგის ასულმა ჩამოხსნა სურათი,
გადააბრუნა და ამოიკითხა იგივე, რაც ჩვენს მი-
ერ მკვლევლობის ადგილზე ნაპოვნი სურათზე
ეწერა „ყველგან, ყოველთვის, შენთან“.

მაგიდის თითქმის ყველა უჯრაში წყევბო-
კონსპექტები ეწყო.

კაპიტანი გლებოვა კაბრაში ჩაწყობილ ქა-
ლადებს ათვალერებდა. ოპერწმუნებული
„ისევ ორიანს“ სურათის რეპროდუქციით გა-
ერთო. მე ტანსაცმლის კარადა გამოვლედ და
ნიეთებს თვალერებას დავუწევა. კარებზე მიყ-
რდნობილი სახლმმართველი ყველაფერს გულ-
გრილი თვალებით შესცქეროდა. გლებოვას მახ-
ლობლად მდგარ დიასახლისს ხელები წინსაფრის
ქვეშ ამოედო.

— აი, ეს საინტერესოა, წარმოთქვა ტატიანა
სერგის ასულმა.

მე და ოპერწმუნებული მაგიდას მივეახლოვ-
დი. კაპიტან გლებოვას ხელში იისფერი კონ-
ვერტი ეჭირა, წარწერით:

„აქვე კოპერაციის ქ. 21 ბ. 5. თენგიზ გვარ-
ლიანს საკუთარ ხელში“. კონვერტის კუთხეში,
მარკას მეექვსე საფოსტო განყოფილების მი-
ერ 31 მაისს, დათარიღებული შტამბი ერტყა.

— ეს მან ორში დილით მიიღო, — აგვისსნა
დიასახლისმა — წაიკითხა, გაბრაზდა და წერი-
ლი დაწვა. აგერ ფერფლიც, მან თავი ფანჯრი-
საკენ მიაბრუნა.

— მართლაც, ფანჯრის მახლობლად, იატაკზე,
ხელისგულისოდენა დამწვარი და დაკრუნჩხუ-
ლი, მთლიანი ქალადის ფურცელი ეგდო. ტა-
ტიანა სერგის ასულმა ჩაიმუხლა. ფერფლის
ზედაპირზე მომწვანო ასოები ბრწყინავდა. კა-
პიტანმა საათს დახედა.

— რატომ იგვიანებს მაიორი ლეუსი? ეს ფე-
რფლი, ასაღებია...

დიასახლისი ჩუმად გავიდა. ჩვენ კი დათვა-
ლიერებას შევუდექით. მე კარადას დაუბრუნ-
დი და როცა უკანასკნელ ნივთს ადგილზე ვკი-
დებდი, მოულოდნელმა ყვირილმა შემაყრათო.

— რას შევებით?!

კაპიტანი გლებოვა ფართოდ გაღებული თვა-
ლებით და აღელვებული სახით დიასახლისს შე-
სცქეროდა, რომელიც ფანჯარასთან ჩაცუტქუ-
ლი სველი ტილოთი იატაკს წმენდა.

— ეს რა ჰქენით?

ქალი წამოვლიდა, სველი ტილო წყლიან ტაშ-
ტში ჩაავლო.

— თქვენ ხომ თქვით „ასაღებიაო“ აი, მეც
ავიდე. რა გაყვირებთ?

ოთახში ჩქარი ნაბიჯით მაიორი ლეუსი შე-
მოვიდა. კაპიტანი გლებოვა მას მივარდა:

— ამხანაგო მაიორო, დაიგვიანეთ, ამ ქალბა-
ტონმა, მოსპო ძვირფასი ნივთიერი მტკიცება,
ფერფლი დამწვარი წერილისა, რომელიც გვარ-
ლიანს სიკვდილის წინა დღეს მიუღია.

საქართველო
საბჭოთაო

უკანასკნელი სიტყვების გაგონებისას ღიასხლისმა ხელები ვაასავსავა, ნელ-ნელა ძირს დაეშვა, რის გამო ტაშტი გადაბრუნდა და წყალი იატაკზე დაიღვარა.

მაიორმა ლუქსმა და სახლთმმართველმა დედაცაი წამოაყენეს, ლოგინზე დააწვინეს და გაფითრებულ სახეზე წყალი მიასხურეს.

ექსპერტმა დასველებულ ფერფლის რამდენიმე საცოდავი ნათლევი აკრიფა და გამადიდებელი შუშით სექტიკურად შეხედა.

— უიმედოა, არაფერი გამოვა. აფსუს... ღიასხლისი მომჯობინდა, საწოლიდან წამოდგა და ბარბაცით გულბოვასთან მივიდა.

— თქვენ ამბობთ, რომ თენგიზი მოკლულია? — და პასუხს არ დაუცადა, ხმაპალილი მოთქმით ოთახიდან გავარდა.

— რა გვაქვს ახლა ხელში? — იკითხა გლუბოვამ, როცა სამმართველოში დაგბრუნდით, და ამ კითხვას პასუხი თვითონვე გასცა.

— მოკლულის ვინაობა დადგენილია. გამორკვეულია აგრეთვე რამდენიმე დეტალი. გვარლიანს სიკვდილის წინა დღეს მიუღია წერილი, რომელსაც იმდენად აუღელვებია და გაუბრაზებია, რომ დაუწვავს. ბარათის ავტორი მაინცდამაინც განათლებული არ ჩანს, ვფიქრობ, რომ ის რუსი არ არის. დიახ... უნდა დაეფიქრდეთ... დაკავშირებულია თუ არა მკვლელობა ამ წერილთან? ჰმ...

ტატიანა სერგის ასული ცოტა ხანს გაჩუმდა, შემდეგ კი განაგრძო:

— მკვლელობის გახსნის საქმე, მაშინ, როცა ვინაობა დადგენილია, შედარებით ადვილია. ხვალ გვექნება დაქტილოსკოპური ანალიზის შედეგები და უთუოდ სხვა ცნობებსაც მივიღებთ. რატომღაც ღია ფერის „პობედის“ დეფექტიანი საბურავის იმედი მაქვს. მართალია, ცოტა მკლე და სუსტი საბუთია, რადგან, შესაძლებელია კამერა დაეშვას და მკვლელმა მისდა უნებურად შეცვალის იგი და ამით მოისპოს კვალი, შეიძლება წუნიანი საბურავი წინა, მარცხანა ბორბალზეც აღმოჩნდეს... მაგრამ იმედი მაინც ბევრს ნიშნავს. მე ახლა დარეკავ და ვიტყვი რომ ეძიბონ მანქანა, რომელსაც დეფექტიანი საბურავი აღმოაჩნდება, არა მარტო უკან, მარჯვანა მხარეს, არამედ საერთოდ.

VII

მეორე დღეს, როცა კაბინეტში შევედი, კაბინეტი გლუბოვა ტელეფონით ლაპარაკობდა.

— დიახ, დიახ, გაეცით საშვი, მთელი ოცეული? ჰმ... მივიციტ მთელ ოცეულს... ნუ ვედარდებთ, დაეტვიან...

კაბიტანმა გლუბოვამ ყურმილი დადო, მომესალმა და ღიმილით მითხრა:

— გვარლიანის საქმეზე სტუდენტები მოვიდნენ, ახლავე შემოვლენ.

დერფანში ფეხის ხმა და ჩურჩული გაისმა.

— ალბათ აქ არის. აი ნომერი...

მოისმა ფრთხილი კაკუნი. კარები გაიღო და კაბინეტში ერთმანეთის მიყოლებით ოთხი ჭაბუკი და სამი ქალიშვილი შემოვიდა. კაბიტანი წამოდგა:

— გთხოვთ, ამხანაგებო, გთხოვთ შემობრძანდეთ, კარები მჭიდროდ დახურეთ. მოთავსდით როგორმე.

ექვსნი დაჯდნენ. მალალი, სიმპათიური ახალგაზრდა ფეხზე დგომას განაგრძობდა.

— ჩვენ, ამხანაგო კაბიტანო, თქვენთან ვართ...

— ხედავ.

ჭაბუკმა ცოტა დაიმორცხვა, შეიშმუნა.

— თენგიზის მკვლელობის გამო მოვედით...

— მივხვდი...

დამარცვლილი, ერთის შეხედვით გულგრილი პასუხების გამო მოლაპარაკე ჭაბუკი სულმოლად დაიბნა. ქალიშვილმა, რომელსაც ოდნავ პაჭუა ცხვირი და ჭორფლით დაწინწყლული სახე ჰქონდა, მოწაფის ჩვეულებისამებრ თითი ასწია:

— შეიძლება?

— სიამოვნებით. ილაპარაკეთ.

— ჩემი გვარია ზიბკინა. ჩვენი ინსტიტუტის ყველა სტუდენტი აღშფოთებულია ამხანაგ თენგიზის მოკვლით. გთხოვთ, მკვლელი გასამართლებულ იქნას საჩვენებელი პროცესით სტუდენტთა ქალაქში, ან ჩვენს სააქტო დარბაზში.

ტატიანა სერგის ასული მოსულეხს ყურადღებით ათვალერებდა.

— მე თქვენ გავიგეთ, მაგრამ სხამართლის საკითხი მომავლის საქმეა და მას ჩვენ არ ვწყვეტთ. შესაძლებელია და სავსებით მოსალოდნელია, რომ დაკმყოფილებულ იქნას სტუდენტთა თხოვნა, თუმცა... დამნაშავე ჯერ არ არის ნაპოვნი... ვეჭვობ...

ჭაბუკმა, რომელმაც საუბარი დაიწყო, დასძლია დაბნეულობა და წინ წამოდგა.

— ჩვენც სწორედ იმისათვის მოვედით, რომ მკვლელზე მივითითოთ.

— როგორ? გაკვირვებით წარმოთქვა კაბიტანმა, — გსურთ დაასახელოთ მკვლელი, თუ თქვენი მოსაზრება, ან ეჭვი გამოთქვია?

— როგორ გითხრათ, ეს ჩვენი აზრით სინამდვილეა.

გლუბოვა ჩაფქვრდა. ჩამოვარდა სიჩუმე.



სტუდენტები ტატიანა სერგის ასულს დაძაბულ-
ნი შეპყურებდნენ.

— აი რა ყმაწვილებო, მამატიეთ, ასე რომ
მოგმართავთ, საქმე სერიოზულია, ჩემთვის გა-
საგებია თქვენი კეთილშობილური მისწრაფება,
მაგრამ უნდა-გაგაფრთხილოთ, ასეთი მკვლელო-
ბისათვის მოსალოდნელია სასჯელის უმადლესი
ზომა. დაეუშვით, რომ თქვენ მართალი აღმოჩ-
ნდით. მაშინ — კარგია, ბოროტმოქმედებთან
სალაპარაკო ცოტა გვექნება. მაგრამ თუ შეეც-
დით? თუ ექვმიტანილი უდანაშაულოა, ჩხრე-
კა, პატიმრობა და სხვა ამგვარი აღმამინში ფსი-
ქიურ ტრავმას გამოიწვევს და შეიძლება დავა-
სახიჩროთ ახალგაზრდა კაცის ცხოვრება, ამო-
ვადლოთ იგი კალაპოტიდან.

— იმისთანას, — შეაწყვეტინა გლებოვას ჩა-
სუქებულმა, შავთვალა სტუდენტმა ქალიშვილ-
მა, — კალაპოტიდან ვერ ამოვადებთ.

— ნუთუ? — გაუკვირდა ტატიანა სერგის ას-
ულს — მოდიოთ დავფიქრდეთ, თქვენ მეგობრები
ერთი კოლექტივის წევრები ხართ, ჩვენ კი



ვისთანაც მოხვედით, ძსინი ვართ, ვინც ხალხის
ნდობას იმსახურებენ. გამოთქვით თქვენი მო-
საზრება, ჩვენ მოვიფიქრებთ და ავწონდავწო-
ნით.

სკამიდან ჯმუხი, ჩაფსკენილი, სიმაპათიური
სახის სტუდენტი წამოდგა.

— მე ვოლაპარაკებ. ოცდარვა მისს შესვენე-
ბის დროს, ჩვენ ყველანი, ვინც აქა ვართ, სა-
სადილოში ვიყავით, ვსაუზმობდით. განაპირა
მაგიდასთან, ყველა ჩვენთაგანისათვის საყვარე-
ლი თენგიზ გვარლიანი იჯდა. დარბაზში „სო-
პი“ შემოვიდა:

ტატიანა სერგის ასულმა ხელი ასწია:

— ბოდიში, ეს რა უცნაური გვარია. ვინ
არის იგი?

ვილცამ ჩაახველა. მოლაპარაკეს გულობა.

— მამატიეთ... „სოპი“ — ეს რომ გავ-
შიფროთ, ნიშნავს თანამდებობიანი მამის
„შვილიკოს“. თენგიზის ენამახვილობის წყა-
ლობით, ჩვენ ასე ვეძახით სტილიაგებს და
პიუონებს, რომლებიც, სამწუხაროდ კიდევ მოი-
პოვებებიან ჩვენს წრეში. ამგვარად... სამთო ფა-
კულტეტის მეთრე კუტრის სტუდენტი ნიკო-
ლოზ გიორგის ძე ვოლგინი შემოვიდა. ყველა
მაგიდა დაკავებულ იყო. მან მებუფეტეს ერთი
ბოთლი ლუდი, რამდენიმე ბუტერბროდი გა-
მოარაგა, გვარლიანთან მივიდა, როგორც ჩანს
დაჯდომის ნებართვა სთხოვა და მის პირდაპირ
ჩამოჯდა. ამას ყურადღება ყველამ მიაქცია.

ვინაიდან თენგიზი „სოპიკოების“ რისხვა იყო
და აბუხად იგდებდა მათ. ვოლგინი საზიზღრად
ღრბიჯებოდა, იცინოდა, თანამოსაუბრე მას ყუ-
რადღებით უსმენდა, შეიკითხვებს აძლევდა.
უცებ გვარლიანი წამოდგა და ხმამაღლა, ყვე-
ლას გასაგონად ჩაილაპარაკა: „არამზადავ“ და
ვოლგინს სახეში გაარტყა. ყველანი გაქვავდნენ:
თენგიზი ცნობილი იყო, როგორც კულტურული
აღმამიანი. მას უდიდესი ფიზიკური ძალა ჰქონ-
და, რომელსაც არასდროს ბოროტად არ იყე-
ნებდა და უეცრად... ვოლგინს გაარტყა...
მერე თენგიზი წყნარად შეტრიალდა, არა-
ცისთვის არ შეუხედავს და ნელი ნაბიჯით სა-
სადილოდან გავიდა. როგორც კი თენგიზი კა-
რებს მიეფარა, ვოლგინი წამოხტა, ბუფეტის
დახლთან მიიბრინა, პურის საჭურველ დანას ხელი
სტაცა და მხეცური ყვირილით შეურაცხმყო-
ფელს დაედევნა. ვასია ნორკინმა, ტოლია
სნეგოვმა და მე — ალექსანდრე ხალდინმა,
გზა გადავუღობეთ ვოლგინს, რომელიც გამ-
ქვინვარებულნი წინააღმდეგობას გვიწევდა, და-
ნა ხელიდან გამოვგლიჯეთ, ცოტა გვერდები და-
ვუზილეთ, ეზოში გავიყვანეთ და წაჩხუბების
მიზეზის გამოკითხვა დაეუწყეთ.

„სოპი“ თვალგის მხეცურად ატრიალებდა და
გაიძახოდა: „მან მომაცენა ისეთი შეურაცხყო-
ფა, რომლის მორტყვა მხოლოდ სისხლით შეი-
ძლებაო. თენგიზი მოკლული იქნება და მას მო-
ვკლავ მე—ვოლგინიო“. „სოპი“ გონზე არ იყო
და ამხანაგების რჩევით შინ წავიყვანე. იგი
მთელი გზა გაიძახოდა: „დღეს თუ არა, ხვალ
მოვკლავ“ და აი, თენგიზიც მოკლული ნახეს.

— ხოო... — გააგრძელა სიტყვა კაპიტანმა
— ყველაფერი ნათელია, აბა, კიდევ ვის სურს
ლაპარაკი?

წამოდგა ზიბკინა.

— მე დაუშვებთ. ორ ივლისს მეგობარ-
თან ვიყავი, რეა მარტის ქუჩაზე, № 80 სახლში.

სალამოს 10 საათზე ჩემმა ამხანაგმა და მისმა ძმამ შინ გამაცილეს. ქუჩა განათებული იყო. შესასვლელიდან ცოტა მოშორებით ვოლგინი იდგა და ერთ მაღალ სტუდენტს ელაპარაკებოდა, რომელიც ჩვენს ინსტიტუტში არ სწავლობს, ანაზღად შემომესმა „მე მოვკლავ იმ ქვეწარმავალს, სულერთია, მოვკლავ“, მეორე დღეს ვოლგინმა პირველ ლექციაზე დააგვიანა, მთელი დღე მოღუშული დაიარებოდა, წარბებს ქვემოლან იყურებოდა, არავის ელაპარაკებოდა და არც თავხედობდა.

— მოიცათ, ქალიშვილო — წყნარი ხმით შეაჩერა იგი გლეზოვამ, — ხომ არ მიგიქცევით ყურადღება, როგორ ეცვა?

— ჩვეულებრივად, თუთიყუშისვით.

ყველამ გაიცინა.

— ზუსტად ვერ მეტყვი?

— ზუსტად? შლიაპა, პიჯაკი, ღია ფერის უჯრედებიანი „ბუტილკის“ შარვლი და კაუჩუკის ფეხსაცმელები.

— ხო... ყველაფერი რაც გვიამბეთ, ოქმით უნდა გვაფორმობოთ...

შავგვრემან ყმაწვილს, რომელსაც იდაყვდაკემსილი, ნაცრის ფერი პიჯაკი ეცვა და ხალათზე ნაჩქარევად განასკვული ჰალსტუხი ეკეთა, აქამდე ღიტიყვაც არ დაცდენია, ახლა კი სათვალეს ზემოდან გადახედა ამხანაგებს და წამოდგა:

— ნება მომეცით, ეთქვა... მე გვერდით მაგიდაზე ვსაუზმობდი, „სობისა“ და თენგიზის ლაპარაკი კარგად გავიგონე. ჩემის აზრით, ეს მნიშვნელოვანია...

გლებოვა დაეთანხმა.

— მაშ ასე... ოც მაისს ბიუროზე განიხილეს რამდენიმე სტუდენტის საქციელი. ბიუროს წევრი გვარლიანი, თავს დაესხა ვოლგინს, რომელიც ამხანაგებს ყოყმურად, უხეშად, ხოლო გოგონებს ბილწად ექცეოდა. სწორედ იმ დღეს „სობი“ თენგიზს მიუჯდა და ერთდ ქიქა ლუდი შესთავაზა. გვარლიანმა უარი უთხრა.

— მისმინე ნიკოლოზ, უთხრა თენგიზმა, — ჩვენ ახლა მარტონი ვართ. გირჩევთ გონს მოხვიდე და ცხოვრებაზე შეხედულება შეიცვალო. ვფუხვარ, რომ არ მიიღეს ჩემი წინადადება, შემდეგ ბიუროზე შენ საკითხთან დაკავშირებით მამაშენის მოწვევის შესახებ, მაგრამ ახლა თვითონ წავალ მამაშენთან და არ მოგცემ იმის უფლებას, რომ ყველასათვის პატივსაცემი ადამიანის პატიოსანი სახელი შეგბღალო. შეცვალე შენი დამოკიდებულება ჰაბტუკებისადმი, ისწავლე ქალიშვილებისადმი პატივისცემა, ხომ

იცი, რომ ყოველ ქალიშვილს ყავს ვაჟი, რომელიც მზად არის დაიცვას იგი. სინდისს ვფიცავ, არ გამოვიკრძლება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ვინმე ცხვირპირს ჩაგმტვრევს. უმსგავსო საქციელის გამო ყველა დაგცინის.

— ყველა? არა, ეგ მეთისმეტი მოგივიდა, — ბიჭები სიცულში მალავენ იმ შეურაცხყოფას, რომელიც გამოწვეულია ქალიშვილებთან ჩემი არაჩვეულებრივი წარმატებებით — უბასუხა ვოლგინმა.

— ქალიშვილებიც რომ დაგცინიან. — ჯინიანობდა თენგიზი.

— ქალიშვილები? — ვოლგინმა ლუდი შესვა და იქ მყოფთ თვალი გადაავლო.

— იცი რა გითხრა! დამცინის ის, ვისაც ყურადღებას არ ვაქცევ, ან ვისთანაც სეირნობა შეეწყვიტე. შენ ქალებზე ძალზე რაინდული შეხედულების ყოფილხარ, მათ მხოლოდ ფული აინტერესებთ. სტიპენდია კი კინოში, საცეკვაო მოედნებზე და მუსკომედიაში სასეირნოდ არ გეყოფა. რაზედაც გინდა დანახლევდეთ: დამისახელე რომელიმე ქალიშვილი და ნახავ, რომ სამი დღის შემდეგ კისერზე მეყოლება ჩამოკიდებული. უნდა იცხოვრო, ძმობილო, იცოცხლო, და კი არ უნდა გაბითურდე. მე თქვენ კომიტეტის წევრებს ვაჩვენებ სეირს. გავიგებ ვისთან დადიან, წაერთმევ საცოლეს და თავზე რქებს დავადგამ.

— ნუ ბოდილობ, თორემ... — გააფრთხილა თენგიზმა.

— ნუ მაშინებ, — ვოლგინმა კვლავ შესვა ლუდი — მე ნერვიული კაცი ვარ, შეშვინდებია, გავიგებ ვინ არის შენი საცოლე და მთელი სიცოცხლე მარტონელა დაგტოვებ.

თენგიზმა ველარ მოითმინა და „სოსხ“ სილა გააწნა. აი ესეც შენო...

ბოდიში, დამავიწყდა მეთქვა, მე, ნორკინი, გასილი ნორკინი ვარ.

— კეთილი, ამხანაგო ნორკინ, რაც მოყვით ძალზე მნიშვნელოვანია.

სტუდენტების დაკითხვამ საათნახევარი გასტანა. ისინი თვითონ წერდნენ. დაწერილი ჩვენებები კი ბევრად დამაჯერებლად და მკაფიოდ გამოიყურებოდა. კაპიტანმა გლებოვამ გადახედა ყველა ჩვენებას და ფანქრით მაგიდაზე ნელა დააკაჟუნა.

— ამხანაგო ტახოვ, მე წავალ პოლკოვნიკს მოველაპარაკები. თქვენ კი უზრუნველყავით ცნობა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს „სობი“.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)

გამომცემლის პროფესიონალური დახელოვნებისათვის

საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურამ ამას წინათ ჩაატარა სამდღიანი რესპუბლიკური სემინარი სახალხო გამომცემლებისათვის თემაზე: „განზრახ მკვლელობის საქმეთა გამოძიება“, ამავე თემაზე სამდღიანი სემინარი მოეწყო ქ. სოხუმში აფხაზეთის ასსრ პროკურატურის სახალხო გამომცემლებისათვის.

სემინარი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ ა. გიგაურმა. იგი შეეხა მკვლელობის საქმეების გამოძიებისას დაშვებულ კონკრეტულ შეცდომებს, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამართალწარმოების საფუძვლებით და საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გაზრდილია გამომცემლის არა მარტო პროცენტული დამოუკიდებლობა და როლი, არამედ პასუხისმგებლობაც მის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომცემლო განყოფილების უფროსის გ. მეგრელიშვილის მოხსენება „1960-1961 წლებში მომხდარ მკვლელობათა საქმეების გამოძიების პრაქტიკა“. მოსმენილი იქნა აგრეთვე მოხსენებები: „პირველადი საგამომცემლო მოქმედებანი და გამოძიების დაგეგმვა მკვლელობის საქმეებზე“ (მ. ბრაინინი), „პროკურატურის გამომცემლის და მომკვლევ ორგანოების მუშაობის კოორდინირება მკვლელობის საქმეების გახსნაში და გამოძიების წარმოებაში“ (შ. ბარკალაია), „კრიმინალისტიკის ტექნიკის მიღწევები სსრ კავშირისა და უცხოეთში“ (მ. ბრაინინი) და სხვა.

ცხოველი ინტერესი გამოიწვია ლექციებმა, რომელიც ჩატარდა პრაქტიკული მეცადინეობის თანხლებით შემდეგ თემებზე: „გამომცემლის მიერ დანაშაულის ადგილზე ხელის, ფეხის, ცხლმსროლელი იარაღის და სხვა კვალის აღმოჩენა, მათი ამოღება და შემდგომი დამუშავება“ (გ. ვაჩიშვილი და ე. ვოლკოვა), „გამომცემლის მიერ დანაშაულის, კერძოდ მკვლელობის ადგილის დათვალიერება და სათანადო ოქმის შედგენა“ (მ. ბრაინინი, გ. ყორ-

დანია და შ. ბარკალაია), „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა მკვლელობის საქმეებზე“ (ბ. აბაშიძე), მკვლელობის საქმეებზე ნივთიერ მტკიცებათა სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა (ი. თვალჭერლიძე), სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა მკვლელობის საქმეებზე“ (ე. თევდორაძე) და სხვა.

ქ. თბილისში სემინარის მუშაობის დღეებში მოეწყო მკითხველთა კონფერენცია, რომელიც მიიქმნა სსრ კავშირის პროკურატურის კრიმინალისტიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოშვებული წიგნები: „შემთხვევის ადგილის დათვალიერება“ და „დანაშაულთა გამოძიების დაგეგმვა“. სიტყვებით გამოვლენენ რესპუბლიკის პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამომცემლები: დ. ქორიძე, გ. გვახალია და გ. ნადარეიშვილი, ქ. თბილისის პროკურატურის საგამომცემლო განყოფილების უფროსი გ. ყორანია, ქ. რუსთავისა და წითელწყაროს რაიონების გამომცემლები გ. ყურაშვილი და სეფიაშვილი.

სემინარზე სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გაამახვილა სამ ძირითად საკითხზე: 1) დანაშაულის ადგილის დათვალიერება, 2) დანაშაულის ვერსიების შერჩევა და გამოძიების დაგეგმვა და 3) გამომცემლის და მომკვლევ ორგანოების მუშაობის კოორდინირება. აღნიშნულ საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მკვლელობის საქმის გახსნისა და წარმატებით გამოძიებისათვის.

სემინარზე ზაზი გავსვა იმას, რომ ყოველი მკვლელობის ან გვამის აღმოჩენის ადგილზე უნდა გამოცხადდნენ გამომცემელი და პროკურორი, მილიციის სამეცნიერო ტექნიკური მუშაკი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი და თანამოწმეები, ხოლო მათ მისვლამდე დანაშაულის ადგილი დაცული უნდა იყოს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზანია დანაშაულის კვალის და სხვა ნივთიერ დამამტკიცებელი საბუთების გამოძიება, მოკლულის ვინაობის დადგენა, როდის, რომელი იარაღით, სად რა მიზნით რამდენი პირის მიერ და როგორ ვითარებაში იქნა ჩადენილი მკვლელობა. ყურადღება უნდა მიექცეს იმა-საც, რომ ადგილზე მყოფ მოქალაქეთა გამოკითხვით შესაძლებელია დადგენილ იქნეს საქ-

მისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებანი და თვით დამნაშავეც.

დაუშვებელია და არ არის სწორი, როდესაც გამოძიებელი შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ჩამოვლილ საკითხებს გვერდს უვლის, არ ეძებს დამამტკიცებელ საბუთებს და აწარმოებს შემთხვევის ადგილის ე. წ. ინვენტარიზაციას, როგორცაა სახლის მდებარეობის, ოთახში არსებული ავეჯის განლაგების და სხვა საქმისათვის უმნიშვნელო დეტალების აღწერილობას.

სემინარზე შემუშავდა საერთო აზრი, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერება ფოტოგრაფირების შემდეგ, როგორც წესი უნდა დაიწყოს გვამის და მისი ტანსაცმლის სრული გარეგანი დათვალიერებით, სასამართლო სამედიცინო ექსპერტის დახმარებით, იმის გათვალისწინებით, რომ არ იქნეს განადგურებული არსებული კვალი, ხოლო შემდეგ მილიციის სამეცნიერო ტექნიკური მუშაკის დახმარებით ხდება დანაშაულის კვალის და სხვა ნივთიერი მტკიცებათა, მათ შორის მკვლელობის საშუალებათა ძებნა და გამომჟღავნება.

მიზანშეწონილია, რომ აღმოჩენილი ნივთ-მტკიცებანი, როგორცაა მაგალითად ადამიანის თითების ანაბეჭდი ბოთლზე, თეფშზე, ჭიქაზე, ტყეფები, ვაზნები, ცეცხსროლელი იარაღები და სხვა, ამომღებელი და გაგზავნილი იქნეს საექსპერტო-კრიმინალისტურ დაწესებულებაში სათანადო გამოკვლევისათვის, გამოძიებლის მიერ წინასწარი დამუშავების გარეშე, ხოლო ისეთი ნივთიერ-მტკიცებანი, რის ამოღება და გადაგზავნა შეუძლებელია უნდა დამუშავდეს ადგილზე სპეციალისტის მიერ.

სემინარზე ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ არ შეიძლება გამოძიების წარმოება მხოლოდ ერთადერთი არჩეულ ვერსიით, რადგან თუ არჩეული ვერსია მცდარი გამოდგება, დანაშაულის გახსნა გაძლიერდება და შესაძლოა მას მოყვებს უდანაშაულო მოქალაქის უკანონო დაპატიმრება და ნამდვილი დამნაშავეს დაუსჯელობა. დანაშაულის ადგილის დათვალიერების და ყველა მტკიცებათა ამოღების შემდეგ უნდა შედგეს ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს დათვალიერების ყველა მონაწილე და უამსწრე პირი.

ამასთან დაკავშირებით სემინარზე წამოიჭრა საკითხები, შეაძლება თუ არა დანაშაულის ადგილის დათვალიერება და გვამის სასამართლო-სამეცნიერო ექსპერტიზა სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე და აუცილებელია

თუ არა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გვამის აღმოჩენის ყველა შემთხვევაში.

ამ კითხვებზე გაცემულ იქნა ამომწურავი პასუხები. დანაშაულის ადგილის დათვალიერება მიეკუთვნება საგამომძიებლო მოქმედებას და ამიტომ როგორც წესი მასი ჩატარება შეიძლება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ. მაგრამ შეიძლება გამოწვევას იქონიოს, მაგალითად, როდესაც გამოძიებელი მიიღებს შეტყობინებას გვამის აღმოჩენის შესახებ და გაემზავრება ადგილის დასათვალიერებლად, საქმე შეიძლება ჯერ არ იყოს აღძრული, რადგან მან ჯერ კიდევ არ იცის, მკვლელობას აქვს ადგილი თუ ბუნებრივ სიკვდილს. ამ შემთხვევაში გამოძიებელი გარდა ადგილობრივი დათვალიერებისა ატარებს გვამის არა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზას, არამედ სამედიცინო გამოკვლევას და თუ დადგინდება, რომ მკვლელობას არა აქვს ადგილი გამოძიებელი გამოიტანს საქმის არ აღძვრის დადგენილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამოიტანს დადგენილებას საქმის აღძვრის შესახებ იმ პირობით, რომ ადგილის დათვალიერება და საქმის აღძვრა უნდა მოხდეს ერთი და იმავე დღეს და საქმეზე აუცილებლად უნდა ჩატარდეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და სათანადო ოქმის შედგენის შემდეგ მკვლელობის ყველა საქმეზე აუცილებელია გამოძიების ჩატარების გვერდს შემუშავება.

სემინარზე აღინიშნა აგრეთვე გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მნიშვნელობა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ტარდება გამოძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე, რომელიც ძირითადად დაყენებული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები: სიკვდილის მიზეზი, მისი დადგომის დრო, გვამზე არსებული დაზიანებათა ხასიათი, განლაგება, სისხლის ნიშნის აღება და სხვ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება დაუშვებელია მარტოოდენ გვამის გარეგანი დათვალიერებით ან არასრულყოფილი, სამივე ღრუს გაკვეთის გარეშე. ამავე დროს გვამის გაკვეთის ყველა შემთხვევას უნდა ესწრებოდეს გამოძიებელი. არა ნაკლებ მნიშვნელობისაა საგამომძიებლო მოქმედება, როგორცაა გამოძიებლის ვალდებულება, გამოიკვიოს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებანი და მიიღოს ზომები მათ ასაცილებლად (საქართველოს სსრ სსკ 60 მუხლი). აქვე ხაზი გაესვა ამავე კოდექსის 213 მუხლში მე-11 პუნქტის მოთხოვნას რომლის სა-



ფუძველზე პროკურორი დანაშაულის ხელშემწყობი პირობების გამორკვევის გარეშე ვერ წარმართავს საქმეს სასამართლოში.

სემინარზე წამოიჭრა საკითხი, აუცილებელია თუ არა ყველა მკვლელობის საქმეზე სასამართლო ფსიქიატრული ექსპერტიზის ჩატარება. გამოითქვა აზრი, რომ ესეთი ექსპერტიზის ჩატარება ყველა მკვლელობის საქმეზე არ არის სავალდებულო. საქართველოს სსრ ახლადმიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71 მუხლში არ არის ნათქვამი, რომ ფსიქიატრული ექსპერტიზის ჩატარება აუცილებელია მკვლელობის ყველა საქმეზე.

სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გამომძიებლის და მომკვლევით ორგანოების მუშაობის კოორდინირებას მკვლელობის საქმეებზე. გამომძიებელმა და მომკვლევებელმა ორგანოს ოპერატიულმა მუშაკმა ერთობლივად უნდა აწარმოონ მუშაობა მკვლელობის ყველა საქმეზე დამნაშავეის დადგენამდე, ე. ი. საქმის გახსნამდე.

გამომძიებლის და მომკვლევებელ ორგანოს მუ-

შაობის კოორდინირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს აგრეთვე მილიციის ოპერატიულ მუშაკის ჩაბმა მკვლელობის საქმის გამოძიების დაწყებიდანვე. ამიტომ სწორი არ არის, როდესაც გამომძიებელი გამომკვლევებელ ორგანოს დაგვიანებით მიმართავს დასახმარებლად დანაშაულის გაუხსნელობის გამო სისხლის სამართლის საქმის შეჩერების შემდეგ. გარდა ამისა გამომძიებელმა მილიციის მუშაკი უნდა გააცნოს საქმეს, მითითებანი და დავალებანი მილიციის მუშაკებზე უნდა იყოს, როგორც წესი, წერილობითი, მისი შესრულება გამომძიებელმა უნდა შეამოწმოს პერიოდულად.

რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილებას განზრახული აქვს მომავალშიც მოაწყოს ანალოგიური ხასიათის სემინარები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგამომძიებლო დარგის მუშაკებს პროფესიულ დაოსტატებაში.

შ. ბარკალაია,

საქ. სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

მეტი პასუხისმგებლობით მოვაქილოთ დახატური ლიტერატურის გამოსაქვეყნებას

აღ. იასლაშვილის რომანის „მგლის ბილიკის“ ირგვლივ

სახელმწიფო გამომცემლობამ — „საბჭოთა საქართველო“, ამასწინათ გამოსცა ალექსანდრე იასლაშვილის რომანი — „მგლის ბილიკი“.

წიგნი ძირითადად აგებულია ოპერატიულ-საგამომძიებლო პრაქტიკის ფონზე. ცნობილია, რომ ასეთ სინტერესო თემაზე ქართულ ენაზე ნაკლებად მოგვებოვება ლიტერატურა; ამ მხრივ ავტორს უთუოდ დადებითი და სასარგებლო შრომა აქვს გაწეული. წიგნი ინტერესით იკითხება, ჩვენი სახელმწიფოს და სამართლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმას დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში — ასეთი წიგნის მიწოდებას მკითხველისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

სამწუხაროდ წიგნს გააჩნია სერიოზული შეცდომები და ხარვეზები, როგორც ლიტერატურული, ისე საგამომძიებლო-ოპერატიული მუშაობის ვაშუქების თვალსაზრისით. ლიტერატურულ ხარვეზებზე ალბათ თავიანთ აზრს გამოთქვამენ სპეციალისტები, ჩვენ შევეცდებით რამდენიმე შენიშვნა გავაკეთოთ საგამომძიებლო ორგანოს მუშაეის თვალთახედვით. წიგნში თხრობა იწყება იმით, რომ სისხლის სამართლის სამეცბრო განყოფილების ოპერატიული მუშაეი არჩილ ჩოხელი, შვეებულებიდან ადრე დაბრუნებული, განყოფილების უფროსს პოდპოლკოვნიკ ზურაბ ლომოურს წარუდგენს მის მიერ ნადირობის დროს ტყეში ნახულ ადამიანის თითს, რომლის პატრონის ვინაობის დასადგენად და დამნაშაეის აღმოსაჩენად იწყება ოპერატიულ-მოკვლევითი და საგამომძიებლო მუშაობა. მილიციის სხვა ოპერატიულ მუშაეებთან ერთად რომანში მთავარ მოქმედ პირებად გვევლინებიან ზურაბ ლომოური, არჩილ ჩოხელი და ხუტა ვაწერელია. ჩვენი შენიშვნა მინდა დავიწყო თითის წარმოდგენის დროს არჩილ ჩოხელისა და ზურაბ ლომოურს შორის გამართული დიალოგით:

„არჩილი გულდასმით უსმენდა ზურაბ ლო-

მოურს, — ეს რადა? წამოიძახა ლომოურმა, — დახე, არჩილ ფრჩხილის ძირში თამბაქოს მტვერი, ეს ჩვენი ქერა ქალბატონი თამბაქოს ეწეოდა თურმე“... (გვ. 8). გამოთქმა „ჩვენი ქალბატონი“ ჩემის აზრით უადგილო გამოთქმაა, ეს უფრო ირონიულ გამოთქმას ვაგს მავსინ, როცა ყოველგვარი ეჭვი არსებობს, რომ დაზარალებული რაღაც ბოროტების მსხვერპლია და ოპერატიული მუშაეები ღრმა განცდითუნდა აფასებდნენ მათ ხელში არსებულ პირველად მასალებს. ანდა იმავე ლომოურის გამოთქმა „დაუშვათ, რომ ეს ასეც მოხდა და გვამი ნადირობა შესასნლეს, ძვლები და ტანისამოსის ნახეეები მაინც, ხომ დარჩებოდა ნიშნად“... (გვ. 13). სიტყვა „შესასნლეს“ იმავე თვალსაზრისით, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, უადგილოა.

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, — თითის აღმოჩენის შემდეგ იხსნება ექიმ ნატოსულიაშვილის მკვლელობის საქმე და ამასთანავე ბეერი სხვა საქმე, რომლებიც აგრეთვე მკვლელობასა და შეიარაღებული ძარცეებს შეეხება. როცა წიგნის კითხვის დროს ამ საქმეებზე ოპერატიულ-საგამომძიებლო მუშაობის პროცესებს ეცნობი, არ შეიძლება არ შენიშნო ზოგიერთი შეუსაბამობა, ხელოვნურობა, არარეალობა.

ცნობილია რომ ჩვენი კანონმდებლობით მკვლელობისა და შეიარაღებული ძარცვის საქმეებზე გამოძიებას პროკურატურის ორგანოები აწარმოებენ. აუცილებელია ამ კატეგორიის საქმეებზე გამოძიების დასაწყისშივე ჩანდეს არა მარტო მომკვლევი ორგანოს — სისხლის სამართლის სამეცბრო განყოფილების ოპერატიული მუშაეების საქმიანობა, არამედ გამოძიებაში პროკურატურის წარმმართველი როლი, რომანში კი ეს არამც თუ არ ჩანს, არამედ დამოუკიდებლად ახდენენ გამოძიებასა და დამნაშაევათა დაპატიმრებას პროკურატურის გარეშე, მაშინ, როცა ცნობილია, რომ საბჭოთა კანონმდებლობით პირვნების დაპატიმრება დაშვეებულია მხოლოდ პროკურატორის სანქციით ან სასამართლოს განაჩენით და დადგენილებით; შე-

საძლთა აქ ზოგიერთი შეგვედაოს და თქვას, ეს ხომ რომანია — აქ ყველაფერი დადგენილი წესის მიხედვით არ შეიძლება მოხდეს. მაგრამ ჭერ-ჭერობით სერიოზულად არავის უმტიკიციბია რომანში ფაქტები რეალურად არ უნდა აისახოსო.

შევვხთ მეორე საკითხს, ნატო სულიაშვილის გვამის აღმოჩენამდე მისი ყოფილი ქმრის გიორგი ქურხულის დაპატიმრებას. გიორგი ქურხულის მიმართ საკმარისი მასალები არ არის შეგროვებული, მას ბრალად დებენ ცოლის მკვლელობას და აპატიმრებენ ისე, რომ იგი დაკითხულიც კი არ ყავთ. საგამომძიებლო პრაქტიკაში პიროვნება აუცილებელია დაიკითხოს, თუნდაც მის დასაპატიმრებლად საქმით მასალები არსებობდეს. კონკრეტულად ამ შემთხვევაში კი ჭერჭერობით დაზარალებულის გვამიც არ არის აღმოჩენილი, ქურხული დაკითხულიც არ არის, ჭერ კიდევ საეჭვოა ნატო მოკლული იყო თუ არა, რომ „არჩილმა ქურხულს ჩხრეკისა და დაპატიმრების ორდერი წარუდგინა“ (გვ. 34). ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ დაპატიმრების „ორდერი“ არ არსებობს, უნდა იყოს დაპატიმრების დადგენილება.

ანდა რეციდივისტ პეტრე ნაპირელის მაგიერ, შეცდომით მისი ძმის პავლეს დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა. სასამართლოს თავმჯდომარე კითხულობს განაჩენს „როგორც სოციალურად მავნე ელემენტი მიესაჯოს უმაღლესი ზომა — დახვეწა, მისი პირადი ქონების კონფისკაციით. განაჩენი საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება“ (გვ. 138). ამ დროს გამოდის ნამდვილი დამნაშავე, პავლე ნაპირელის ძმა პეტრე და აცხადებს, რომ სიკვდილმისჯილი არ არის დამნაშავე, რომ „ავაზაკი მე ვარ, მე მეკუთვინის თქვენი სასჯელი“. საკმარისი არის ვილაც შეუმოწმებელმა პიროვნებამ ეს განაცხადოს და იქვე ათავისუფლებენ სიკვდილმისჯილ პატიმარ პავლეს, იგი პირდაპირ სასამართლოს დარბაზიდან გადის ზღვის პირას და ფიქრს მიეცემა (გვ. 139). განა კანონმდებლობით ან ცხოვრების პრაქტიკით ეს ასე ხდება და შეიძლება მოხდეს?

ერთის მხრით თვებობით საქმის გამოძიება, შემდეგ სასამართლო განხილვა და განაჩენი, — მეორეს მხრივ უცნობის უბრალო აღიარება და ყველაფერს ხაზი გადაესვა. განა საქმით არ იყო უცნობის ვერსიის შემოწმება?, ხოლო შეცდომის გამოსასწორებლად განაჩენის გაუქმება, როგორც ამას კანონმდებლობა მოითხოვს?

შრომაში საკმაოდ დასაბუთებული არ არის ნატო სულიაშვილის ოჯახიდან გაქცევა. ცალმხრივი, ვილაც უცნობი ქალის განცხადება საქ-

მარის აღმოჩენა, რომ ნატოს მისი საყვარელი ადამიანი გიორგი გულიდან ამოეგლჯა, მისთვის არაფერი ეკითხა და იგი სამუდამოდ მიეტოვებინა, ამაში ნატოს ნებისყოფის სიმტკიცე არ გამოსჭვივის, როგორც ეს სურს დაგვიხატოს ავტორს, არამედ უნებისყოფობა; მას არ შეუძლია იმოქმედოს გიორგიზე, რათა კვლავ შეინარჩუნოს მტკიცე ოჯახი, თუმცა მას ისევე ძველებურად უყვარს იგი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორს ზოგჯერ დადებით და უარყოფითი ტიპებს შორის შედარების დროს, უარყოფითი ტიპები უფრო ნებისყოფიან და გამძლე ადამიანებად ყავს გამოყვანილი, ვიდრე დადებითი. მაგალითად გერმან ბაზილი, იგივე ვადიმ ურლოვი, თითქმის ყოველთვის ჯონანის ოპერატიულ მუშაებს მოსაზრებაში, მოქმედებაში, ეს რეციდივისტი, ავაზაკი, მთელი ათეული წლები დაუსჯელია და ყოველი მისი მოქმედება სიკვდილსა და ქარცეცხლს იწვევს. მისი ბანდა მოქმედებს არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის სხვა და სხვა ადგილებში. ანდა ვერონიკა, ადამიანი, რომელიც ყოველივე სისძაგლის ჩამდენია ურლოვთან ერთად, ქალი რომელიც შხამსა და სიკვდილს თესავს, რომელიც საზოგადოების ზედმეტი მუწუჯია, დიდ სამამულო ომამდე, ომის პერიოდში და მას შემდეგაც წლობით ისე მარჯვედ ტრიალებს დამნაშავეთა წრეში, რომ მისი გამოაშკარავება არ ხერხდება.

მერი მალდონატი იგივე მაკრობული, გერმან ბაზილის თანამგზავრი ყველა ბინძურ საქმეში, რომელსაც ტანსაცმელი მოწამლული ქინძისთავეებით აქვს საკვე და რომელსაც ორი ქმარი ყავს მოკლული (გვ. 300). ქალი, რომელმაც შეძლო ისეთ ავაზაკსა და რეციდივისტზე ბრძანებლობა, როგორც ბაზილი იგივე ურლოვი იყო (გვ. 306). საბოლოოდ მიაბიტი აღმზრდელი დედის როლში გამოდის და მას სასჯელისაგან ანთავისუფლებს "ოპერატიული მუშაკი ხუტა გაწერელია იმ მოტივით, რომ მოკლული კირა ზაბორას შვილი სვეტლანა უნდა აღზარდოს. მერი არამც თუ გამოსწორების გზას დაადგა, არც დაგმო თავისი ავაზაკური წარსული; თუმცა არც ეს იძლეოდა პასუხისმგებლობიდან მისი განთავისუფლების საფუძველს. როცა ხუტა გაწერელიამ მას აგრძნობინა დახმარებულა ურლოვის ბანდის შეპყრობაში, მერიმ განუცხადა „ვიცი რასაც გულისხმობ, გაცე და ხელისუფლებას ხელში ჩავუგდო? არავითარ შემთხვევაში არ ვზამ ამას, ამ პირებს, რომლებთანაც ვიყავი დაკავშირებული, ვერ გავცემ... ახლა წავალ მე სვეტლანას მივხედავ“. და ხუტა გაწერელია საბოლოოდ ასკვნის „მე ვადიმის მეშინია, თურმე მერი უფრო


საშიში ტიპი ყოფილა, ნამდვილი ალქაჯი“ (გვ. 306). ასეთი პიროვნების პასუხისმგებლობიდან განთავისუფლება, როგორც კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ისე მორალურად და იდეურადც გაუმართლებელია.

ოპერატიული თვალსაზრისით ზოგიერთი ადგილი წიგნში არ არის დამაჯერებელი. მაგალითად, ხუტა გაწერელის მიერ მერი მალდონატის დამუშავება საბოლოოდ გადაიზარდა იმაში, რომ მერის მართლაც შეუყვარდა ხუტა, ხოლო ამ უკანასკნელმა ყველაფრის გათვალისწინებით, ეს რეციდივისტი პასუხისმგებლობიდან გაანთავისუფლა. ფაქტიურად მერიმ და ვადიმ ურალოვმა უფრო ოპერატიულად დაამუშავეს თვით ხუტა გაწერელია, „მე დიდი ხანია დავრწმუნდი, რომ არავითარი აფხაზი შენ არა ხარ და არც ჩაჩბა არის შენი ვეფარი... შენმა სიყვარულმა მიბიძგა სწორ გზაზე დადგომა“ ეუბნება მას მერი (გვ. 305). ანდა ურალოვის სიტყვები „ეს სურათი მე გადავიღე საიდუმლოდ ისე, რომ შენ ამაზე წარმოდგენაც კი არ გქონდა“ (გვ. 297). ამასთანავე მას ურალოვმა დამბაჩაც ამოართვა, ფაქტიურად ხუტა როგორც ოპერატიული მუშაკი გამოყვანებული იყო, მიუხედავად ამისა ამ სისხლისმსმელობა აღამიანებმა ვადიმმა და მერიმ იგი შეიცოდეს და ვითომც აქ არაფერი დამბაჩაც კი დაუბრუნეს. რა თქმა უნდა ეს ეპიზოდი დაუჭერებელია.

საკმაო სიცხადით ვერ არის ასევე გაბათილებული ხუტა გაწერელისა და ვადიმ ურალოვის საუბრის დროს, ურალოვის რაღაც „ანარქის“ თეორია. კირა ზაბორას საბოლოო აღსარება წიგნში 26 გვერდზეა გადმოცემული. არ არის დამაჯერებელი, რომ ეს შესძლოს მომაკვდავმა აღამიანმა (გვ. 245-271). ამ აღსარებაში კირა ზაბორა, გადმოსცემს რა თავისი ცხოვრების ყოველი კუნძულის სიმართლეს, იმ აზრს ატარებს, რომ დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებოდა ვადიმ ურალოვის გავლენის ქვეშ და მის დავალებებს იძულებით ასრულებდა; მაგრამ აქ დავიწყებულია, რომ სწორედ კირა ზაბორა იყო, როცა პირველი დაკითხვის დროს არჩილ ჩოხელის, გიორგი ქურხულისა და ნატო სულიაშვილის ოჯახურ უსიამოვნებაზე უჩვენა „ანგარიშმიუცემლად, გაუფრთხილებლად შევადე კარი და დავინახე ბრგე, ახოვანი მამაკაცი ბებუთით ხელში, სახე არეული, თითქოს ეს არის უნდა მივარდეს ქალს და სიცოცხლეს გამოასალმოსო. ნატო მის შორი-ახლო წყნარად იღდა“ (გვ. 28). სწორედ ბებუთი უნახეს ჯიბე-

ში ქურხულს ჩხრეკის დროს სისხლიანი (გვ. 35), რასაც ამაგრებდა კირა ზაბორა, რომ მითითებული ჩვენება, რომ ნატოს მკვლეელი უნდა ყოფილიყო მისივე ქმარი ქურხული და არა სხვა ვინმე. აქედან გამომდინარე, ზაბორას წინასწარ განზრახვით მიცემულ ტყუილ ჩვენებასა და აღმოჩენილ სისხლიან ბებუთს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი; იგი ეხმარება ურალოვსა და ყარაშვილს, თავიანთი დანაშაული მიჩქალონ, ნატოს მკვლელობა ქურხულს გადააბრალონ და კირა ზაბორა ამაში აქტიურ დახმარებას თავისი ინიციატივით ეწევა, რაც საბოლოოდ მომაკვდავის აღსარებაში ავტორის გათვალისწინებული არ აქვს; აღნიშნულს კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს მკითხველის თვალში ამ უარყოფითი ტიპის საბოლოო დახასიათებისათვის.

ოპერატიული თვალსაზრისით ზოგიერთი ადგილები წიგნში ბუნდოვანია; მაგალითად, მას შემდეგ, რაც სანდრო ყარაშვილზე ეჭვი იქნა მიტანილი, ნატოს ბეჭედის გაყიდვაში, მისი ოპერატიული დამუშავება სუსტად მიმდინარეობს. გაუგებარია პროფესორ პავლე ნაპირელის გაცემა, როდესაც მას წარუდგინეს სურათი და უთხრეს, რომ ეჭვიმიტანილია დანაშაულში. „შურაბ ლომოურმა უჯრიდან პროფესორ ნაპირელის სურათი ამოიღო და გაუწოდა მას. ნაპირელმა თვალეები დაჰყვია, გაფითრდა, ეს ხომ ჩემი სურათია, საიდან, როგორ?... — ძლივს ამოილულულა მან“ (გვ. 119). და როდესაც მას აგრეთვე უთხრეს, რომ ამ სურათში დაზარალებულთა ჯგუფმა ამოიცნეს მათი მძარცველი, პროფესორმა წამოიძახა — „დამაპატიმრეთ, რაღას უცდით, მე ხომ ავაზაკი ვყოფილვარ! ნაპირელი წამოხტა სკამიდან, მაგრამ დაზარადაც და ისევ დაეშვა“ (გვ. 120). ანდა, „მე არ ვარ, ეს სწორია... მაგრამ ვინ არის, — ვანა არ იცის პროფესორმა, რომ სურათი, რომელიც მას წარუდგინეს მისი ძმის სურათია და ასე უქირს მისი ძმის ამოცნობა? მაშინვე ყვება თავგადასავალს, რომ არამც თუ იცის მისი ავაზაკი ძმის შესახებ, არამედ მის მაგივრად ერთ დროს სიკვდილიც ქონდა მისი? არ არის დამაჯერებელი აგრეთვე შეპყრობილ ურალოვის მიერ არჩილ ჩოხელსა და შალიმ გაფუროვზე პაპიროსების შეცვლა; ოპე-



რატეულობა მოითხოვს, ჩხრეკის დროს პირადი ნივთები ჩამოერთვას დაკავებულს, ხოლო ჩოხელი ამბობს „წინასწარ გაჩხრიკეთ და პაპიროსისა და ასანთის გარდა არაფერი დაუტოვოთ ჯიბეში“... (გვ. 308). თითქოს წინასწარ არის დატოვებული ისეთი ხარვეზები, რასაც შემდეგ მოწამლული პაპიროსით შეეცვლა, ოპერატიული მუშაკების დაძინება და დაკავებულის გაქცევა უნდა მოყოლოდა.

წიგნი აუცილებლად მოიგებდა, რომ მასში უფრო მეტად ჩანდეს საზოგადოებრიობის როლი დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ერ-

თეულები, როგორც არის რეზოლუციონური მაკარი, ამ ხარვეზებს ვერ ავსებენ, მითუმეტეს, რომ მაკარი იგივე ყოფილი ოპერატიული მუშაკია. დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში საზოგადოების როლის წინა პლანზე წამოწევა ეს მხოლოდ აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიება როდია, იგი ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკაა, რამაც ცხოვრებაში თავისი გამართლება პოვა. ავტორს კი აღნიშნულ რომანში ქონდა შესაძლებლობა ეს გამოკვეთილად ეჩვენებინა.

ალ. ჟღენტი,

ქ. ქუთაისის პროკურორი.

3560 50 353.



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 4

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР